# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 26 ივნისი, 2007 წელი.

№ 118 (5719)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## კიკუს სინდრომი



3-4

ეს სინდრომი მრავალ ჩვენს თანამედროვე გოგონას და დარბაისელ მატრონას გადმოალაგებინებს თავის „ავლადიდებას“ ფოტოობიექტივის თვალშესავლებად

## საქართველო მტერთან მარტო, პირისპირ არ დარჩება

აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში სამხედრო მოქმედებების ნებისმიერი სახით დაწყება, რუსეთის მხრიდან საქართველოზე აგრესიად შეფასდება და თურქეთსა და ირანში მცხოვრები ქართული დიასპორები ისტორიულ სამშობლოს სამხედრო დახმარებას აღმოუჩენენ. ინტერნეტ-გამოცემა „კავკაზმემოს“ ცნობით, ამის შესახებ თურქეთსა და ირანში მცხოვრები ქართული დიასპორების პრესსამსახურებმა სპეციალური განცხადებები გაავრცელეს.

თურქეთსა და ირანში მცხოვრები ქართული დიასპორები აღნიშნავენ, რომ მოვლენათა სამხედრო სცენარით განვითარების შემთხვევაში, მზად არიან, საქართველოს ნებისმიერი სახის დახმარება გაუწიონ, მათ შორის, ფინანსური, იარაღითა და მოხალისეებით.

ირანელი ქართველობა, ისტორიული სამშობლოს კონფლიქტურ რეგიონებში საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, ერთი კვირის ვადაში საქართველოს 50 ათასი მეომრის შეკრებას დაპირდა.

თურქეთის ქართული დიასპორა კი ყველას შეახსენებს, რომ თურქეთში მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს.

ფერეიდნელი ქართველები აფრთხილებენ ყველას, რომ „ამჯერად საქართველო მტერთან მარტო, პირისპირ არ დარჩება“. თურქეთის ქართველები კი აცხადებენ, რომ „ამჯერად უკვე არავინ დაუშვებს საქართველოს ტერიტორიების დაუსჯელად მიტაცებას და იქ ქართველების ეთნოწმენდის მოწყობას, როგორც ეს 1992-93 წლებში აფხაზეთში მოხდა“.

აღსანიშნავია, რომ თავის მხრივ, თურქეთის აფხაზურ-ადიღეური დიასპორის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ „საქართველოს მხრიდან აფხაზი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შემთხვევაში, აფხაზეთი მარტო არ იქნება და მთელი მსოფლიოს აფხაზები ისტორიული სამშობლოს დასაცავად დადგებიან“.

„საქართველომ კოდორის ხეობაში 1500 შეიარაღებული პირი შეიყვანა. მის ამ ქმედებას ოკუპაციად ვაფასებთ. კოდორის ხეობა – აფხაზეთის ტერიტორიაა“, – ნათქვამია, თურქეთის აფხაზურ-ადიღეური დიასპორის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ჯო-ეიბ-ენი



7-8

## მითვისებული საქართველოს ისტორია

რა საერთო ჰქონდათ აფსუებს სომხებთან?

## სასამართლომ გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე განსასჯელს თავისუფლების აღკვეთა პირობითი პატიმრობით შეუცვალა

8



## რატომ და ვინ ჩაშალა აჭარაში მიწის რეფორმა?

6

ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ თავგასულობასაც და ხალხის მოთმინებასაც აქვს საზღვარი

ეს პროექტი შენელებული მოქმედების ბომბია და იგი, შეიძლება ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ხელში აფეთქდეს

## პან-თურქულმა მოძრაობამ 100 მილიონი ევრო გადაიხადა?!

2



# სახელმწიფო

● ხელისუფლება თავადვე განმარტავს, რომ ეს საავადმყოფოები კომერციული სექტორის დახმარებითა და დაფინანსებით უნდა აშენდეს, ამ საავადმყოფოების აშენება და აღჭურვა ბიუჯეტის საქმე აღარ ყოფილა. აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურად ჩნდება კითხვა: სად მიდის 54 მილიონი ლარი?



◎ ბნელა?!

## თუ საავადმყოფოებს კომერციული სექტორი აშენებს, ბიუჯეტიდან სამისოდ 54 მილიონი რატომღა გამოიყოფა?

**ახლა ერთიორად დიდი უბედურებაა, თუ ოჯახში ვინმე ავად გახდება, რადგან ვერც ერთი საშუალო დონის, ან სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოქალაქე ვერ მო-**

### სიღარიბის ზღვარს მიღმა 700 000 ოჯახია



**ახერხებს მკურნალობას იმ ტარიფებით, რომელსაც ჯანდაცვის სამინისტრო გვიწესებს.**

სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა 700 000 ოჯახია. მათ მედიკამენტების ყიდვისა და სრულფასოვანი სამედიცინო გამოკვლევის შესაძლებლობა არა აქვთ. სტაციონარებს და პოლიკლინიკებს ხურავენ, მედპერსონალს ქუჩაში ერეკებიან. ყოველივე ამის ხარჯზე კი ხელისუფლება და ჯანდაცვის სამინისტრო მილიონებს „ტეხავს“.

ამის გამო, საქართველოს ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ პრესკონფერენცია გამართა.

მან 2007 წლის სახელმწიფო პროგრამა წარმოადგინა, სადაც მოცემულია, რომ ბიუჯეტიდან ჯანდაცვის სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროგრამისათვის 54 120 000 ლარია გამოყოფილი.

„ეს თანხა, თითქოსდა, ახალი სტაციონარების ასაშენებლად უნდა დახარჯულიყო, მაგრამ ეს პროგრამა სტაციონარების კერძო ბიზნესისათვის გადაცემას და მათ დაფინანსებას ითვალისწინებს. რადგან ხელისუფლება თავადვე განმარტავს, რომ ეს საავადმყოფოები კომერციული სექტორის დახმარებითა და დაფინანსებით უნდა აშენდეს, ამ საავადმყოფოების აშენება და აღჭურვა ბიუჯეტის საქმე აღარ ყოფილა. აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურად ჩნდება კითხვა: სად მიდის 54 მილიონი ლარი? — აცხადებს კახა ძაგანია.

ნებისმიერი უწყების ბიუჯეტი, ამ შემთხვევაში ჯანდაცვის დარგის განვითარებაზე უნდა იყოს გათვლილი და ტარიფიც ხალხის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით დააწესოს. ჩვენმა ხელისუფლებამ კი, სამწუხაროდ, დარგის განვითარება კერძო ბიზნესს გადასცა. ამის გამო, უამრავი საავადმყოფო იხურება, ტარიფები კი ძვირდება.

**მანანა გასიტაშვილი**

◎ ტრანსპორტი

## მოგვეცით არსებობის საშუალება!

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანთა უფლებების დაცვის“ პრეზიდენტის გიორგი ლალიძის თაოსნობით, თბილისის მერიასთან აქცია გაიმართა. შეკრებილებმა მუნიციპალურ ტრანსპორტზე გადასახადის გაზრდა გააპროტესტეს.**

„გადასახადის გაზრდა დაუშვებელია!“ „ნუ წავართმევთ ხალხს სიცოცხლის უფლებას! „მოგვეცით არსებობის საშუალება!“ — ამ ლოზუნგებით გამოვიდნენ აქციის მონაწილეები.



ბოლო დროს საქართველოში ადამიანის უფლებები საგრძნობლად დაირღვა, რისი ატანაც უკვე შეუძლებელი ხდება. გააძვირეს კომუნალური გადასახადები, გააუქმეს ყოველგვარი შეღავათი. უახლოეს მომავალში კი მუნიციპალურ ტრანსპორტზე გადასახადის გაორმაგებას აპირებენ, რაც უმძიმეს ტვირთად დააწვება ჩვენს მოსახლეობას. უმრავლესობა, ალბათ, სამსახურშიც ველარ წავა. ამდენად, ხელოვნურად იქმნება იმის პირობა, რომ ხალხმა სამსახური დატოვოს და სრულიად უსახსროდ დარჩესო, ითქვა აქციაზე.

„ქვეყანაში მძიმე სოციალური ფონია, რის გამოც, მოსახლეობა გაზრდილ გადასახადს ვერ გადაიხდის. ეს ძალიან ბევრისათვის სავალალო შედეგებით შეიძლება დასრულდეს.

თბილისის მერიისგან გვინდა ოფიციალური დოკუმენტი მოვითხოვოთ, თუ რის საფუძველზე აპირებენ ტარიფის მომატებას“, — განაცხადა გიორგი ლალიძემ.

**თუ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, აქციის ორგანიზატორები სარჩელის სასამართლოში შეტანას აპირებენ და აქციების პერმანენტულად გამართვას გეგმავენ.**

**სოფიო გოგლიძე**

◎ დავემშვიდობოთ იპოდრომს?

**„თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა იპოდრომის გაყიდვის შესახებ პრესკონფერენცია გამართა.**

ცნობილია, რომ „თანასწორობის ინსტიტუტის“ წარმომადგენლებმა და მოქალაქეებმა, იპოდრომის გასხვისების გამო, 16 აპრილს ადმინისტრაციულ სასამართლოში ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს.

## ფულზე გაყიდული ჯანმრთელობა

### ხელისუფლება სასამართლოზე ზეწოლას ახდენს?

ლაშა ჩხარტიშვილის განცხადებით, მათი დავის მთავარი საგანია ის, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ კანონის დარღვევით განახორციელა იპოდრომის პრივატიზება, ანუ დაირღვა კანონით გათვალისწინებული სათანადო ნორმები და არ გაითვალისწინა მოქალაქეთა ინტერესები.

„ვასაჩივრებთ აქტს, რომლითაც იპოდრომის ტერიტორიის გასხვისება კანონით დადგენილი პროცედურების დარღვევით მოხდა. სარჩელი წარმოებაში მიღებულია, მაგრამ სასამართლოს მესამე სხდომაზე მოსამართლე სოფიო მაჭავარიანმა სარჩელის განხილვა შეწყვიტა, რასაც მასზე განხორციელებული ზეწოლის შედეგად ვაფასებთ. ამ გადაწყვეტილებით, ხელისუფლებამ საზოგადოებრიობის აზრი კიდევ ერთხელ უარყო. სარჩელს მხარს უამრავი ადამიანი უჭერდა. ვითხოვდით, რომ იპოდრომი ძველ ტერიტორიაზე დარჩენილიყო, რადგან ის მნიშვნელოვანია ჯანმრთელობისთვის, ისტორიული თვალსაზრისით და სპორტული სამყაროსთვის“, — თქვა ჩხარტიშვილმა

ადვოკატის ხათუნა მამალაძის განმარტებით, მოსამართლე საქმის განხილვის პირველ ეტაპზე ობიექტურად მოქმედებდა, მაგრამ მან მოულოდნელი და უკანონო გადაწყვეტილება გამოიტანა. მისი თქმით, საქმის განხილვაში მესამე პირად იპოდრომის ამჟამინდელი მეპატრონის „ჟოკეი-კლუბის“ წარმომადგენელი ჩაერთო, რომელმაც სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა და საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

„ჩვენი სარჩელი აბსოლუტურად საფუძვლიანი და სამართლიანია, ვინაიდან იპოდრომის გასხვისებით და მისი შემდგომი განაშენიანებით მოქალაქეების კონსტიტუციით მინიჭებული უფლება — ჯანსაღ გარემოში ცხოვრება, ილახება. მეგონა, რომ მოსამართლე იქნებოდა ობიექტური და საქმის წარმოებას არ შეწყვეტდა, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, თუ რა საფუძველი ჰქონდა მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას“, — აღნიშნა მამალაძემ.

**„თავისუფლების ინსტიტუტი“ ამ გადაწყვეტილებას აუცილებლად ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრებს და ბრძოლას არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპულ არენაზეც განაგრძობს.**

**ინდირა მანველიშვილი**

◎ პრეზიდენტი

## მიხეილ სააკაშვილი ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფუძნებას ითხოვს

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მიმდინარე სასესიო კვირას პარლამენტს, ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფუძნებასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მიღებას სთხოვს. ეს თხოვნა პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილემ ზურაბ დეკანოიძემ გვამცნო.**

ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფუძნებისთვის საჭიროა პარლამენტმა თანხმობა დადგენილებით გამოხატოს, შესაბამისად, სესიაზე საკითხი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში უნდა განიხილონ.

— მთავრობამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფუძნებასთან დაკავშირებით. მინდა აღვნიშნო, რომ ბანკის დაფუძნება საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია და ვითხოვთ, რომ პარლამენტმა აღნიშნული საკითხი განიხილოს, — განაცხადა დეკანოიძემ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი კოვზანაძის თქმით, დღეს კომიტეტის სხდომა გაიმართება, სადაც აღნიშნულ საკითხს განიხილავენ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ „თურქი მესხები“

## პან-თურქულმა მოძრაობამ 100 მილიონი ევრო გადაიხადა?!

### „ეს პროექტი შენელებული მოქმედების ბომბია და იგი, შეიძლება ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ხელში აფეთქდეს“

**საქართველოში ე. წ. „თურქი მესხების“ სავარაუდო ჩამოსახლებამ საზოგადოებრიობაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ნაწილი ამას დადებითად შეხვდა, მაგრამ უმრავლესობამ ეს ნაბიჯი ნაჩქარევად მიიჩნია.**

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახაბერ ძაგანიამ ამ საკითხზე პრესკონფერენცია გამართა.



„სააკაშვილის ხელისუფლების მიერ „თურქი მესხების“ ჩამოსახლება მხოლოდ ანგარებითია. ეს პროექტი პან-თურქულმა მოძრაობამ 100 მილიონი ევროთი უკვე დააფინანსა. ჯერ კიდევ 1999 წელს, ედუარდ შევარდნაძის დავალებით, სტრასბურგში მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში „თურქი მესხების“ ჩამოსახლების ცალმხრივი ვალდებულება აიღო. ამის საფასური 400 ათასი ევრო უკვე გაფლანგულია. ანალოგიური პროექტები და ვალდებულებები ევროკავშირის არც ერთ ქვეყანას არა აქვს და ის არც სომხეთში, აზერბაიჯანში, რუსეთში, რუმინეთსა და გერმანიაში არ განხორციელებულა“, — განაცხადა მან.

მისივე განმარტებით, პან-თურქული მოძრაობის იდეოლოგია ნაციონალურ-შოვინისტურია.

„ეს პროექტი შენელებული მოქმედების ბომბია და იგი, შეიძლება ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ხელში აფეთქდეს. ის დეპუტატები, რომლებიც ამ კანონპროექტს მხარდაჭერას გამოუცხადებენ, ქვეყნისა და ერის მტრები იქნებიან“, — დაასკვნა კახაბერ ძაგანიამ.

რატომ წამოიწია ე. წ. „თურქი მესხების“ რეპატრიაციის საკითხმა? ვის ინტერესებს ემსახურება ეს განზრახვა? ამ კითხვებზე ზუსტი პასუხის გაცემა რთულია, მაგრამ ცხადია, რომ ეს საკითხი ე. წ. „მესამე ძალის“ ინიცირებულია. ზოგიერთი ორგანიზაციის შორსმიმავალი, მზაკვრული პოლიტიკა საქართველოს სახელმწიფოებრიობას საფრთხეს უქმნისო, — განაცხადა კ. ძაგანიამ.

**მაია ხორგუაშვილი**

**● პრესკონფერენციის მონაწილეებმა, ყოფილმა პოლიტპატიმრებმა, ერთხმად აღნიშნეს, რომ ბათიაშვილი სინდისის პატიმარია და სპეციალური მიმართვა გაუგზავნეს საერთაშორისო ორგანიზაციებს**



◎ პრესკონფერენცია

# ირაკლი ბათიაშვილის თავისუფლების მოთხოვნას ჭაბუა ამირეჯიბიც აწერს ხელს

*ირაკლი ბათიაშვილის დაპატიმრების შესახებ ქართულ პრესაში იმდენი რამ დაწერილა, ახალს ვერაფერს ვიტყვით. ამ ფაქტით უცხოელი უფლებადამცველები და მსოფლიოში ცნობილი პოლიტპატიმრებიც დაინტერესდნენ. ამის შესახებ ითქვა „თანასწორობის ინსტიტუტის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც ბათიაშვილის გათავისუფლების კომიტეტის თაოსნობით გაიმართა. მონაწილეებმა საზოგადოებას აცნობეს, რომ პოლონეთში გაიმართა დისიდენტთა და პოლიტპატიმართა დიდი საერთაშორისო ფორუმი. საქართველოდან მას ესწრებოდნენ საბჭოთა პერიოდის პოლიტპატიმრები — დავით ბერძენიშვილი, ვახტანგ ძაბირაძე და ტარიელ ღვინიაშვილი. სხვადასხვა ქვეყნის ცნობილმა დისიდენტებმა ხელი მოაწერეს ი. ბათიაშვილის დაუყოვნებლივ გათავისუფლების მოთხოვნას.*



„თანასწორობის ინსტიტუტში“ გამართულ პრესკონფერენციას გოგა ხაინდრავა უძღვებოდა. მან საგანგებოდ აღნიშნა, რომ ი. ბათიაშვილის დაპატიმრების გამო, პროტესტი გამოთქვეს ცნობილმა დისიდენტებმა: ვლ. ბუკოვსკიმ, ალ. ბოდრაბინიკმა, პ. შუსტროვამ და ნ. გორბანევსკაიამ. მათ საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვეს, დაუყოვნებლივ გამოუშვან ციხიდან ი. ბათიაშვილი.

პრესკონფერენციის მონაწილეებმა, ყოფილმა პოლიტპატიმრებმა, ერთხმად აღნიშნეს, რომ ბათიაშვილი სინდისის პატიმარია და სპეციალური მიმართვა გაუგზავნეს საერთაშორისო ორგანიზაციებს:

„გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ უპრეცედენტო, შემაშფოთებელ მოვლენაზე. XXI საუკუნის დასაწყისში, საქართველოში სინდისის პატიმარი გაჩნდა. ეს — ირაკლი ბათიაშვილია, რომელიც განსხვავებული აზროვნების გამო 10 თვეა ციხეში, სრულ იზოლაციაში იმყოფება. სააკაშვილის რეჟიმმა მისი სატელეფონო საუბრის ფალსიფიცირება მოახდინა, მაგრამ მიუხედავად ამისა, არც ერთი ფრაზა ამ საუბრისა არ შეიცავს რაიმე სახის კრიმინალს. ბათიაშვილი მხოლოდ შერიგებისა და მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებდა დაპირისპირებულ მხარეებს. ბრალდება — „ამბოხის ინტელექტუალური მხარდაჭერა“ — მართლაც სასაცილოა“, — ნათქვამია მიმართვაში. მას, ყოფილ პოლიტპატიმრებთან (ნ. კაკაბაძე, ი. წერეთელი, თ. ჩხეიძე, მ. ბაღდავაძე და სხვებიძ ერთად, ცნობილი ქართველი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბიც აწერს ხელს.

„მამის დაკრძალვასაც არ დაასწრეს, ოციოდე წუთით გამოუშვეს ციხიდან და სასწრაფოდ უკანვე დააბრუნეს. ის პოლიტიკური მოტივით დააპატიმრეს და ეს უნდა იცოდეს მთელმა მსოფლიომ, საერთაშორისო კამპანია ი. ბათიაშვილის განთავისუფლების მოთხოვნით ძალას იკრებს და მას სულ უფრო მეტი ადამიანი უნდა შეუერთდეს!“ — აღნიშნეს პრესკონფერენციის მონაწილეებმა.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

◎ რეპლიკა

## სულ უფრო „წონადი“ ვალიდოლი

**კომერციული აფთიაქებიდან ამა თუ იმ პრეპარატის პერმანენტული გაქრობა, ფაქტობრივად, მასზე ფასის მომატებას რომ ნიშნავს, ამის თაობაზე „საქართველოს რესპუბლიკა“ ცოტა ხნის წინათაც წერდა. მაშინ, ლაპარაკი იყო ისეთი ფართო მოხმარების წამლებზე, როგორიც, კერძოდ, ვალიდოლი, ზოგიერთი სხვაა.**

და, აი, ბოლო დღეებში ვალიდოლი ისევ გამოჩნდა აფთიაქებში, ოღონდ, როგორც ვვარაუდობდით, უფრო „წონად“ ფასად — (10 აბიძ, აფთიაქების ქსელში ახლა უკვე 30 თეთრი ღირს. აბების ზომაც, ადრე გამოშვებულებთან შედარებით, მცირეა. იმასაც ვიტყვით, რომ წლის დამდეგიდან ვალიდოლის ფასი 3-ჯერ გაიზარდა.

მართლაც რომ სავალალოდ გვაქვს საქმე, არა, ბატონებო?!

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ ცხოვრების დიალექტიკა

# კიკუს სინდრომი

სიბერემდე — სიქაჩლეო.

**ანუ, რომ არ ელოდები, რომ ვერც გაიფიქრებ, ისეთი რამ მოგეწევაო.**

**მართლაც, სწორედ ის მოგვეწია, ყველაზე ავ სიზმარშიც რომ ვერ ვიხილავდით, „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო“, თავმომწონე ხალხი.**

მარტო აფხაზეთსა და სამაჩაბლოში გადახდენილს, სისხლად წამოდინებულს არ ვგულისხმობ (ისე, მაგრად, კაცურად რომ ვმდგარიყავით, ანუ ერთი პირი გვქონოდა და ნაწილი ჩირგვებში არ შევმძვრალიყავით და ნაწილს იმ გაგანია ომის დროს დუბაიში წანწალი არ აგვეტეხა სასპეკულანტოდ, სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელობაც ნორმალური გვყოლოდა, რუსეთი იქნებ ვერც მოგვრეოდაძ.

არანაკლები სხვაც დაგვემართა.

იქნებ უარესიც.

აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დავიბრუნებთ, როცა იქნება.

აი, ხალხის გადაგვარებას და გათახსირებას რა ეწამლება, ძნელი სათქმელია.

ბოლო ოცმა წელიწადმა მართლაც ბოლო მოგვილო.

წარმოვიდგენდით ოდესმე, რომ ქართველი მწერალი (ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე უწოდებს თავსძ დაწერდა: **„მიდგება, როცა ტუალეტში შევალ, საიდანაც ეს-ესაა დედაჩემი გამოვიდა და იმის ბაყვებით შემთბარ უნიტაზზე ჩამოვჯდებიო“.**

ახლა ხომ უნდა აილოს მამამისმა და ბაღლინჯოსავით დააჭყლიტოს იმ მაცდუნებელ უნიტაზზე ეს ბინძური კაცუნა?

(ისე, სიტყვამ — „უნიტაზმა“ მოიტანა და, თუ ასეთ „ინტელიგენციას“ უწოდებს ჩვენი პრეზიდენტი „ჩასარეცხს“, აფერუმ მის ხატოვანი შემტეობის უნარს! მარტო კი არ უნდა ჩარეცხო, იმ ნარეცხიდან თავი საერთოდ არ უნდა ამოაყოფინო.

იმას კი არ ვამბობ, საკუთარი დედისადმი ბილწი ლტოლვა ვინმე ზაზა ბურჭულაძემდე თავში არავის აღმოცენებია-მეთქი.

ადამიანის ტვინი საკანალიზაციო ჭას ჰგავს. იქ შეიძლება ისეთი სიბინძურე ამობუყბუყდეს, კომოდოს კუნძულის დრაკონიც კი სახტად დატოვოს.

იმპერატორი ნერონი დედასთან იყოფდა სარეცელს...

ბოლოს და ბოლოს, ფროიდი საგულდაგულოდ გვიხსნის ფსიქოანალიზურ მექანიზმს, ადამიანის ქვეცნობიერ წარმოსახვაში საიდან, როგორ და რატომ შეიძლება დაიბადოს ოიდიპოსის კომპლექსი.

მე ის სიმსუბუქე და სითამამე მაფიქრებს და მაწუხებს, რომლითაც თავის ამ მკრეხელურ ლტოლვას უმხელს ბინძური კაცი გლობალიზაციის ჯუნგლებში ცხვრებივით შერეკილ ჩვენს თავგზაარეულ საზოგადოებას.

ამის შემდეგ პირადად მე აღარაფერი გამიკვირდება (თუმცა აქამდეც, რა ხანია, დამიჩლუნგდა ეს უნარიძ

**არ გამიკვირდება, რადგან მივედი სამწუხარო (ჩემთვის და ჩემისთანა „გოიმებისთვის“ძ დასკვნამდე, რომ ის, რაც სიმპტომურია დანარჩენი „განათლებული“ მსოფლიოსთვის, უკვე დღეს არის, ან ხვალ იქნება სიმპტომური საქართველოსთვისაც, ამ გარდუვალობიდან გამომდინარე ყველა შესაძლო შედეგით. თუმცა კი საქართველო ყველა პარამეტრით ისე ჩამორჩება იმ „განათლებულ“ მსოფლიოს, როგორც კურდღელს კუ.**

თანაც, არა უბრალოდ სიმპტომურია, არამედ სიმპტომურია მძვინვარედ და უკანმოუხედავად.

და სულმოუთქმალად, დაჩქარებით ვინაზღაურებთ იმ „დანაკლისს“, რაც ჩვენი უკვე საირონიოდ ქცეული ტრადიციების, ადათწესების გადამკიდე მოგვივიდა, რასაც აქამდე კბილებითა და ფრჩხილებით ვაკავებდით.

ამიტომ თანდათან ვეჩვევი საყურიანი, კეკლუცი ვაჟებისა და სვირინგიანი მოხუცი გოგონების მომრავლებას.



ოღონდ, მომრავლება იმდენი არაფერი, მოძალებაა თავზარდამცემი.

ეს ზვავივით დაძრული მოძალება ბოლოს გეიაღლუმებამდე, ანუ „დიად თავისუფლებამდე“ მიგვიყვანს.

ან რატომ არ უნდა მიგვიყვანოს? თუ ცივილიზაციისა და დემოკრატიის მეღროშე ამერიკასა და ევროპაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ცისფრებისა და ვარდისფრების მრავალათასიანი საზეიმო, გამარჯვებული სვლები, თუ უკვე დაჟინებით ისმის ერთსქესიანთა მიჯნურობის და ქორწინების საყოველთაოდ „სამოქალაქო აღიარების“ მოთხოვნა, საქართველო, ყოველგვარ დასავლურზე თვალი რომ ისე უჭირავს, როგორც მიმინოს მწყერზედა, როდემდე იჯდება მეშჩანური ჩამორჩენილობის, პაპა-ბებიების დროინდელი სასაცილო აკრძალვების ჭაობში?

გაიხარეთ: შორს აღარ არის, მკითხველნო, ის დრო, როცა სიყრმის მეგობარი, ფიცვერცხლი რომ გაქვთ ნაჭამი სანგარში ტამიშთან, მოგწერს წერილს „გთხოვ, მეწვიო ჩვენი შვილების უშანგისა და თემიკოს ქორწილშიო“ და რომ გეგონება, ორივე ბიჭს ერთად აქორწინებსო, ბრიყვი უშანგის გვერდით, პატარძლად წვერკიკინა, პირველი ღამის მოლოდინით აყირმიზებული თეიმურაზი შეგრჩება.

ან ლალის და დალის ქორწილში მოგიწევს ყანწების ცერა თითზე დაფერთხვა...

ამას, როგორც ხედავთ, ვამბობ იოტისოდენი გაღიზიანების გარეშე, უბრალოდ, სადღეისო ვითარებას ავღნუსხავ და სახვალიოს განვჭვრეტ ამ დასაბრმავებელი თვალებით.

გაუღიზიანებლად, ოღონდ გულისტკივილით. რადგან, კარგად მახსოვს: 45-50 წლის წინანდელ თბილისში სულ სახელებით ვიცოდით თითებზე ჩამოსათვლელი პედერასტების — ქიშოს, ტუზიკას ან გახმაურებული ბოზების — ლია ს-შვილის, ციცინო ბ-ძის სახელები.

რა თქმა უნდა, უეჭველად სხვა გომიკები და კახპებიც იყვნენ, მაგრამ სახალხოდ არ ყელყელაობდნენ, დღევანდელივით არ გეჩხირებოდნენ თვალში, გინდა თუ არა, „იმნაირი“ ვარო, გინდა თუ არა, პატივი ეცი ჩემს „განსაკუთრებულობასა“ და „ინდივიდუალობასო“.

აქეთ სხვა ბზიკი გვეტაკა: თვალის დახამხამება ვერ მოვასწარით ამ დამოუკიდებელ, სუვერენულ საქართველოში, რომ ორგანიზებული პროსტიტუცია ცხოვრების აუცილებელ დანამატად გვექცა. იგი ამოვიდა ქართული ყოფიერების ღრმა იატაკქვეშეთიდან, ურცხვად გაშიშვლდა და მუხლებზე დაუჯდა შეცბუნებულ საზოგადოებას.

პირველი უძველესი პროფესია...

ისტორიამ შემოგვინახა უდიდეს მეძავთა სახელები.

ათენელმა ტაისამ ტაძარი დააწვევინა მთვრალ ალექსანდრე მაკედონელს.

მესალინამ მარტო იმპერატორ კლავდიუსის ოჯახი კი არა, მთელი რომი არია.

დედოფლად აღზევებული თეოდორა ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს ბოროტი გენია იყო.

მარკოზია ათწლეულების მანძილზე ფაქტობრივად მართავდა ვატიკანის საქრისტიანო საყდარს.

ლუკრეცია პაპ ალექსანდრე VI-ის ქალიშვილი, ცოლი და რძალი იყო.

იხ. 4 გვ.

№ 118. სამშაბათი, 26 ივნისი, 2007 წელი.

## დღევანდელობა

**„იბადებიან გარკვეული კატეგორიის ქალები, რომლებმაც აუცილებლად უნდა გაიხადონ“**



### ცხოვრების დიალექტიკა

# კიკუს სინდრომი

(მესამე გვერდიდან)

ძველი საბერძნეთი იცნობდა ჰეტერების ინსტიტუტს, საფრანგეთი – კურტიზანებისას, იაპონია – გეიშების...

პარადოქსია: საბედისწერო ლამაზმანები სახელმწიფოებს აზანზარებდნენ და წყევლით იხსენიებიან, მათი უფრო მოკრძალებული ლიტერატურული ხატებანი კი დღესაც ცრემლს აწურვინებენ მილიონობით მკითხველს:

მანონ ლესკო,
მარგარიტა გოტიე,
კატია მასლოვა,
ქრისტინე,
თამრო...

**„ქალის მრუშობა თვალთა ზეაპყრობით და მისი წამწამებით გამოიცნობაო“, ნათქვამია ბიბლიაში.**

შეგიმჩნევიათ ეს დამახასიათებლად „ზეაპყრობილთვალებიანი და წამწამებიანი“, ქალების (და კაცების) ურდოები თბილისის ქუჩებში (სულაც არ ვგულისხმობ მაინცდამაინც ცირკის მიმდებარე ადგილებს)?

თავისუფალი მეძაობა (პირველი უძველესი პროფესია) არც როდის გვაკლდა, მაგრამ იგი ახლა სექსბიზნესად ტრანსფორმირდა. გაჩნდა ნახევრადლეგალური პრიტონები, დაიწყო მეძავთა როგორც ექსპორტი, ისე იმპორტი...

ეს მთელი ინდუსტრიაა თავისი განშტოებებითა და იერარქიული საფეხურებით. ელიტური იატაკქვეშა ბორდელებისთვის საგანგებოდ არჩევენ ქალებს (უფრო – ოჯახის ქალებს – ინტელექტი, გარეგნული მონაცემები). ფასიც მაღალია. აქ ემსახურებიან უცხოელ დიპლომატებს, შეძლებულ „სამამულო“ ბიზნესმენებსა და თანამდებობის პირებს.



დაბალი რანგის უცხოელები და საშუალო ფენა „მისაწოდებელი საქონლის“ ხარისხით მეორე კატეგორიაში გადიან...

უფულო, გაღლეტილი მოსახლეობის ამძუვნებული ნაწილი, თუ 20-30 ლარი მოიგდო ხელში, ქუჩის „ძუკნებით“ კმაყოფილდება...

თბილისში მომრავლდა საეჭვო დისკოთეკები, ღამის ბარები, საუნები, მასაჟკლუბები... მომსახურე გოგონებით, რომელთა მოვალეობაში სექსმომსახურებაც შედის.

გაიფურჩქნა ე.წ. „საგზაო სექსბიზნესი“: ცენტრალურ ტრასებზე უცხო ქვეყნების (თურქეთის, ირანის, ბულგარეთის...) სატვირთო მანქანათა მძღოლებს (სუტენერები პირდაპირ კაბინაში მიართმევენ ქალებს სუტენერობა, თავისთავად, ახალი პროფესიაა).

თურქეთი წალეკეს ქართველმა ხათუნებმა.

მაქვს ასეთი მონაცემი: სარფის საბაჟოზე ერთი წლის მხოლოდ 6 თვეში აღირიცხა თურქეთში „მოღვაწე“ 4 ათასი საქართველოს მოქალაქე „გასტროლიორი“ ქალბატონის გასვლა-გამოსვლა (ისინი ძირითადად 18-35 წლის ასაკისანი იყვნენ).

ოღონდ, ეს აღრიცხვა მანამდეა, სანამ თურქეთთან საზღვარი მოღიავდებოდა. ახლა იქ „მომუშავე“ ჩვენი მეძავების რაოდენობა, ალბათ, გაორმაგებული იქნება.

ანდა ასეთი მაჩვენებელი: დღეს საბერძნეთში 134 ათასი საქართველოს მოქალაქე ქალია გასული სამუშაოდ. უეჭველია, რომ მათგან, სულ ცოტა, 10 პროცენტი მაინც მეძავობით ირჩენს თავს.

პროსტიტუცია იყო, არის და იქნება დედამიწის ყველა მხარესა და ყველა ერში. ჯერ კიდევ როდის – ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში დიდმა ბერძენმა კანონმდებელმა სოლონმა დააარსა ქალთა საზოგადოებრივი სახლები – დიქტერიონები (სამეძაოები) და ყველა იქ მოსიარულისთვის თანაბარი გადასახადი დააწესა.

დიქტერიონი საღვთო ტაძარივით ხელშეუხებელი იყო. მას სახელმწიფო მფარველობდა.

არ დაგავიწყდეთ: ეს ის სოლონი გახლდათ, რომელმაც ჯარიმა შემოიღო ბილწსიტყვაობისთვის და სიკვდილით დასჯა – გარყვნილებისთვის.

დიქტერიონების ოფიციალურად დაარსებას არ მოვითხოვ (ისე, ამის დროც შეიძლება დადგეს), მეძაობის, როგორც დღეს ტაბუახსნილი სოციალური მოვლენის შესახებ ვლაპარაკობ.

ეს არ არის უბრალო პრობლემა.

ამ პრობლემამ ჩვენ მხოლოდ ახლა მოგვიკაკუნა კარზე, როგორც ბევრმა სხვა აქამდე დაფარულმა, მიჩუმათებულმა, საქვეყნოდ გასამხელად აკრძალულმა.

**ქალის მიწოდება გარყვნილებისთვის უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მოთხოვნა. ყოფის გაუარესება, უმუშევრობა, გარეგნულად ბრწყინვალე და ვითომდა თავისუფალი ცხოვრებისკენ მისწრაფება – ეს ყველაფერი ხელს უწყობს მეძაობის ახალ-ახალი კანდიდატების გაჩენას საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფში.**

პროსტიტუციის მოსპობა შეუძლებელია, რადგან იგი სქესობრივი ურთიერთობის შედეგია, ადამიანის ბუნებაზეა დამოკიდებული და ხშირად ქალს თან დაჰყვება დაბადებიდან.

ეს სიტყვები შეიძლება ჩვენი (უფროს თაობას ვგულისხმობ) სოციალისტურად გახედნილი ყურისთვის რამდენადმე მოულოდნელად ჟღერდეს, მაგრამ ამით საქმის არსი არ იცვლება.

ოღონდ ერთმანეთში ნუ ავურევთ მეძაობას და თავისუფალ სქესობრივ კავშირს.

ერთმანეთში ნუ ავურევთ „გლახის ნაამბობის“ თამროს, რომელმაც მეძაობა ძალადობის, სხვა გზის უქონლობის გამო დაიწყო და „დათა თუთაშხიას“ კიკუს, რომელმაც მხოლოდ გაიხადა, რადგან შიშვლად ჩვენებაში ფული შეაძლიეს.

კიკუ სულ სხვაა. კიკუ განსაკუთრებული მოვლენაა.

ის ქართულ სინამდვილეში ლიტერატურულად დამოწმებული პირველი ქალია, რომელიც საჯაროდ იხდის, რათა კაცებს ეჩვენოს.

ამდენად, ის მხოლოდ დიდი მწერლის მიერ დახატული ლიტერატურული პერსონაჟი არ არის.

კიკუ, კაცმა რომ თქვას, კრებსითი სახეა ქალთა გარკვეული კატეგორიისა, რომელიც მზად არის გაიხადოს ფულის გულისთვის.

მხოლოდ გაიხადოს (ჯერჯერობით! ამას ხაზს ვუსვამ).

აქ ლაპარაკი არ არის უხამს ეროტიკაზე, პორნოგრაფიაზე. ლაპარაკია ქალის შიშველი სხეულის სილამაზეზე (როცა, რა თქმა უნდა, მართლაც ლამაზ სხეულს გთავაზობენ სახილველად) და არა ზოგადად შიშველ ქალზე, რომელთაგანაც ბევრმა შეიძლება ზიზღიც კი აღგიძრას თავისი არაესთეტურობით.

ასე იხდიდნენ პრაქსიტელის, ბოტიჩელის, რუბენსის მოდელები, რომელთა ქვაში თუ ტილოზე გადატანილი სხეულები დღესაც იწვევს და ათასი წლის შემდეგაც გამოიწვევს აღტაცებას ხორცის მშვენიერებით.

ასე ვუყურებ პირადად მე ჟურნალ „ფლეიბოიში“ დასურათხატებულ ნანა წკრიალაშვილისა და ქეთი ყიფშიძის სიშიშვლეს.

ფოტომოდელობა დიდი ხანია ქალთა შემოსავლიანი პროფესიაა დასავლეთში.

(ისე, მე თუ მკითხავთ, პოდიუმის მოდელობა, რომლის ბასტიონებსაც ასე გულდაგულ უტევენ დღეს ჩვენი გრძელფეხება ასულების (და მათი დედების) ლეგიონები, სიშიშვლით დიდად არ განსხვავდება ფოტომოდელობისგან).

ამდენად, „ფლეიბოიში“ ქართული სიშიშვლის გამო დაკომპლექსება არ ღირს.

ოღონდ, როგორც ქართველ „ტრადიციონალისტს“, მაინც მერჩივნა ეს ჟურნალი ქართულ ენაზე არ გამოსულიყო. „ცუდი“ მაგალითი გადამდებია და დარწმუნებული ვარ, პირველი ორი „მატროსოვი“ კიკუს შემდეგ, ჟურნალის რედაქციაში კიკუთა გრძელი რიგი დადგება და არ მინდოდა ჩემი თანამემამულე გოგონების ასეთი ძალისხმევა მეხილა.

ძველი კაცი ვარ და დღესაც გრიგოლ რობაქიძის სიტყვები მიწივის ყურში – ქართველ ქალს კანზე რა ადგილზეც შეხედავ, ის ადგილი გაუწითლდებაო.

ნუ გადაფიჩინდებით, ძვირფასო მკითხველებო, სიცილით, ეს რა რუდიმენტული რამ ამოუშვა ამ კაცმა პირიდანო. თვითონაც ვიცი, რომ სისულელეა, ვიცი, არც გაუწითლდება და არც გაუმწვანდება, ის კი არა, კაფეში, პარკში თუ პირდაპირ ქუჩაში (ერთი სიტყვით, „საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში“), მილეთი ხალხის თვალწინ გააფთრებით რომ ბურჯგნიან ერთმანეთს შელერებული გოგო-ბიჭები, თვალშიც შეატყდე, წარბსაც არ შეიხრიან.

შევაჯამოთ: გვინდა-არ გვინდა, ამ „ფლეიბოის“ საქართველოში შემოსვლას ვერ ავიცილებდით. ოღონდ, რა თქმა უნდა, შეგვეძლო კარი არ შემოგვენგრევინებინა, იმხელა რეკლამით არ შემოვძღოლოდით, როგორითაც ტელეშოუ „რე-აქციამ“ გადაიჭრა ვენები და საზოგადოება აჯაგრა.

არა მგონია, რომელიმე საკუთარი თავის პატივისმცემელი სახელმწიფო ასე ზარ-ზეიმით, ასე გულ-ზოყვამოვარდნით შეგებებოდა ამ ჟურნალის (პრინციპში, საეჭვო რეპუტაციისა და ღირსების გამოცემის) მის სივრცეში ყოვლად უზოდიშოდ გამოჩენას.

**რატომ გაიგიჟა თავი „სახელმწიფოებრივი, ეროვნული პოზიციის მქონე“ ტელეშოუს წამყვანმა ინგა გრიგოლიამ და ორი საღამო, ორი სარეკლამო გადაცემა მიუძღვნა ამ არაფრით გამორჩეულ, არაფრით საინტერესო მოვლენას? ისინი სწორედ და აშკარად სარეკლამო იყო, რაგინდ იუაროს ჩემმა ძვირფასმა კოლეგამ. თანაც, არა უბრალოდ ინფორმაციული თვალსაზრისით სარეკლამო, არამედ აგრესიულად მხარდამჭერი, საწინააღმდეგო აზრის ხიშტმომარჯვებულად უარმყოფელი.**

**რატომ იყო ქალბატონი ინგა ასე შემტევი, შეუპოვარი, თვალში თითის მტაკებელი, გეგონებოდა, ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხს არჩევდა?**

რა, თემები დაელია ამ ერთიანად თემატიკად ქცეულ საქართველოში?

კიდევ ვიმეორებ, „ფლეიბოის“ და ყბადაღებული გლობალიზაციის სხვა ათას სიკეთესა თუ სიგლახეს საქართველო კი არა, ფუნდამენტალისტური ირანი ვერ ასცდება, როცა იქნება. დრო მოვა, „ნატვრის ხის“ ანარქისტ იორამივით, მიწას დააყურადებენ მისი ხელმძღვანელები, უკვე მოდის თუ არაო.

(სხვათა შორის, აი, ამის მაჰმადიანურ აღმოსავლეთში აქამდე არსმენილი ნიშანი: სირიაში ოტებულ ერაყელთა ბევრი ოჯახი თავს საკუთარი ქალიშვილების პროსტიტუციით ირჩენს, რასაც ეს მართლმორწმუნე მუსლიმანები, ალბათ, ვერასგზით წარმოიდგენდნენ ხუთიოდე წლის წინათ, სანამ პრეზიდენტი ბუში მათ ქვეყანას თავს დაეცემოდა დემოკრატიის დასამყარებლად)

**მაგრამ რად უნდა გარდაუვალობას რეკლამირება-წაქეზება, ძალისძალად აგორება, პიონერი კიკუების ეროვნულ გმირებად წარმოსახვა და ასიათასობის მაყურებლის წინაშე გაწევ-გამოწევა – „შენ გაიხდი – მე არ გავიხდიო“, ტელეწამყვანის მიკერძოებული დირიჟორობით?**

რა, განა არ გვქონდა გამოცდილება? თავის დროზე; 1990-იანი წლებიდან, ძალიან ჩუმად, უხმაუროდ შემოვიდა საქართველოში (ზოგი შემოვიდა, ზოგიც ადგილზე იშვა) ათასი ჯურის ეროტიკული თუ მყრალი პორნოგრაფიული ჟურნალ-გაზეთი, რომლებმაც წალეკა ბაზარი და რომლებიც, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ პოლიგრაფიული დონით ჩამოუვარდებოდა დასავლური მედიის „გვირგვინს“ – „ფლეიბოის“, თორემ სიშიშვლე, ისე ეყარა მის ფურცლებზე, როგორც ხაშლამა – გულუხვ კახურ სუფრაზე.

ზოგი მათგანი ძალზე საზიზღარი იყო, ზოგი – ასატანად უხამსი, საერთოდ კი – უგემოვნო და უსახური. უმრავლესობა თავისით გაქრა, მყიდველი აღარ გამოუჩნდა, ზოგი ისევ ბოგინობს და სულს ღაფავს აფრიკული ჭირით დაავადებული ღორივით.

პირველ ხანებში ასეთ „უცხო სანახაობას“ უჩვევი და დახარბებული ხალხი ხალისით (ოღონდ მაინც თვალსმიფარებულად) ყიდულობდა, მაგრამ მერე და მერე მოყირჭდა, ბოლოს კი საერთოდ შეზიზღდა.

ახლა „ფლეიბოი“ გამოჩნდა. მისი შემოსვლაც შეუმჩნეველი დარჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მართლაც გამოირჩევა ბეჭდვის ხარისხითა და შიშველი ნატურის მაღალი ესთეტიკით.

მაგრამ, არა! რაკი ამერიკელია, რაკი „ყველგან“ გავრცელებულია, აუცილებლად ზარების დარისხებით უნდა შემოგრიალებულიყო, ხმაურიანი „ღრმააზროვანი“ ტელედებატებით უნდა გაგვერკვია, ჩვენმა ქალებმა გაიხადონ თუ – არა.

არადა, ვისაც გახდა უნდა, ის აუცილებლად გაიხდის, თოფიანი დარაჯიც რომ დაუყენო.

**„როგორც გამოგვერევიან ხოლმე გენიოსები და სულელები, ახოვანები და ჯუჯები, ასევე იბადებიან გარკვეული კატეგორიის ქალები, რომლებიც საროსკიპოს გზას უნდა დაადგნენ“ – XIX საუკუნის გერმანელი ჰიგიენისტის გ. რუზნერის ამ მიგნების ასეთი პერიფრაზირებაც უპრიანია: „იბადებიან გარკვეული კატეგორიის ქალები, რომლებმაც აუცილებლად უნდა გაიხადონ“.**

ამრიგად, მარტო ცხოვრებისეული იძულება არ არის მთავარი, ისინი ასეთებად იბადებიან.

და ჯაჭვითაც რომ დააბა, მაინც გაიხდიან.

ჰოდა, ღმერთმა შეარგოთ, გაიხადონ!

ეს, გახლავთ კიკუს სინდრომი.

ეს სინდრომი ბოლოს მრავალ ჩვენს თანამემამულე გოგონას და დარბაისელ მატრონას გადმოალაგებინებს თავის ავლა-დიდებას ფოტოობიექტივის თვალშესავლებად.

ასეთია ცხოვრების დიალექტიკა და მისი ერთ-ერთი კანონი – კიკუს სინდრომი.

**ალეკო ასლანიშვილი**

# „უფროსი ძმა"

● დღევანდელი მოსკოვის მიერ არჩეული მცდარი პოლიტიკური კურსი ეკონომიკური კულტურის ნაკლებობით და არარაციონალურად მიმართული ეროვნული ცნობიერებით არის განპირობებული



## ◎ კითხული კაცის აზრი

# პუტინის რუსეთი: „მომავალი რემონტზეა დაკეტილი..."

ნათლად ჩანს, რომ **რუსეთის ხალხის და, რაც უფრო საკვირველია, მმართველი პოლიტიკური წრეების კოლექტიურ ცნობიერებაში დასავლეთი კვლავაც რჩება ირაციონალური ეჭვის აღმძვრელ ფანტომურ მოწინააღმდეგედ, რომელთან ბრძოლაში აიგება რუსეთის საგარეო პოლიტიკა. კერძოდ, 2007 წლის მარტში ჩატარებული ერთ-ერთი მსხვილი სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგების მიხედვით მოსახლეობის მხოლოდ 16 პროცენტი მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივი მოწყობის ფორმებს შორის უმჯობესია დემოკრატიის დასავლური მოდელი (ამ მაჩვენებლის მაქსიმუმი 90-იან წლებშიც 25 პროცენტს არ აღემატებოდა), 35 პროცენტისთვის – საბჭოთა სისტემაა უმჯობესი, დანარჩენისთვის მისაღებია დემოკრატიზაციის მხოლოდ განსაკუთრებული რუსული გზა.** ერთი ამერიკელი დიპლომატის სიტყვებით, რუსები მოლაპარაკების მაგიდასთან კვლავაც ისე სხდებიან, როგორც „ცივი ომის" დროს: თუ დასავლეთის მხარე რამე სურვილს გამოთქვამს – ეს თავიდანვე ცუდია მოსკოვისთვის. დასავლეთისადმი „ზურგის შექცევა" და რაღაც შინაგანი იზოლაციონიზმი თითქოს რეფლექტორულ დონეზე მოქმედებს: „რაც არ უნდა გავაკეთოთ, დასავლეთს მაინც არ მოვწონვართ". შესაბამისად, **მოქმედებს ფსიქოლოგიური უკურეაქცია – რაც უფრო მეტს აკრიტიკებენ პუტინს საზღვარგარეთ, მით უფრო მეტად უყვართ ის რუსეთში.** მეორე მხრივ, დასავლეთისადმი „ზურგის შექცევა" და, შესაბამისად, ჩინეთისკენ შემოტრიალება, როცა ორივე ქვეყნის ტოტალიტარული წყობა მხარს უმაგრებს ერთმანეთს, შეიძლება რუსეთის დღევანდელი რეჟიმის საბედისწერო შეცდომად იქცეს.

დასავლეთი მაქსიმალურად ცდილობს, გამოიყენოს რუსეთთან თანამშრომლობის პოტენციალი. პირველ რიგში, რაც შეეხება ბირთვული იარაღის პრობლემებს ირანსა და ჩრდილოეთ კორეაში, ბრძოლას რადიკალური ისლამისტური ტერორიზმის წინააღმდეგ, საერთაშორისო ენერგეტიკული უსაფრთხოების მიღწევას, სხვა გლობალური ხასიათის პრობლემებს. მაგრამ, თუ დასავლეთი აჰყვება რუსეთის იზოლაციონისტურ მისწრაფებებს, მართალია, უფრო უკეთ შეძლებს რომ ავნოს მას მრავალი მიმართულებით, მაგრამ ამით რუსეთის ლიბერალიზაციის საქმე კვლავ დიდი ხნით გადავადდება. ეს კი არ შეესაბამება არც რუსეთის და არც საერთაშორისო თანამეგობრობის გრძელვადიან ინტერესებს.

უცხოეთის პოლიტიკური მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ რუსეთის საქმიანობა საერთაშორისო არენაზე ღრმად გააზრებული გრძელვადიანი სტრატეგიის ნაცვლად დაავადებული, მენტალურ გაჭივრებაში მყოფი საზოგადოების ნევროზულ რეაქციას უფრო ჰგავს. აღმოჩნდა, რომ ავტორიტარული რეჟიმის მთავარი საზრუნავია მისი პირველი ოფიციალური პირის ისეთი პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური სურათის შექმნა, სადაც ის გამოიყურება რუსეთის დამცირებებისგან მხსნელად, მის ჩამომყალიბებლად ანგარიშის გასაწევ ძალად და ხალხში ქვეყნით სიამაყის გრძნობის აღმძვრელად.

რუსეთის პოლიტიკურ არსენალშია ენერგეტიკული იარაღი და გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსი. მაგრამ ამ რესურსის გამოყენება რუსეთის ამჟამინდელი მმართველი ელიტის მიერ მოკლებულია გააზრებულ ზომიერებას და პერსპექტივის ხედვას. გლობალურ კრიზისებში წვრილი ინტრიგებით ჩარევით და უშუალო მეზობლების გაუთავებელი და უმიზნო აფორიაქებით იხარჯება არსებული პოლიტიკური კაპიტალი, რომელიც ეწირება დღევანდელი პოლიტიკური ელიტის თვითგანდიდების წამიერ სიამოვნებას.

რუსეთის საგარეო პოლიტიკა სპეციალური ინტერესების ჯგუფების მიერ არის პრივატიზებული. ამიტომ ერთიანი საგარეო პოლიტიკა არ არსებობს, პოლიტოლოგიური აზრი კი, თავისი პლურალისტური ბუნების მიუხედავად, იმეორებს მოსახლეობაში მოარული ცრუ რწმენების და ილუზიების დამადასტურებელ ერთსა და იმავე იდეოლოგიურ შტამპებს. პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს მრავალჯერ აღუნიშნავთ, რომ რუსეთის ინტერესებშია, სტაბილური ქვეყნებით იყოს გარშემორტყმული. ეს რომ ნამდვილი სურვილი კი არა, პროპაგანდისტული კლიშეა, ჩანს პრაქტიკული საქმეებიდან, ვინაიდან რეალურად რუსეთი თავის გარშემო ქმნის ე.წ. „არასტაბილურობის სარტყელს": ამღვრეულ წყლებში ბიზნესის თუ პოლიტიკის სპეციალური ინტერესები უფრო ადვილად იჭერენ თევზს.

ამიტომაცაა, რომ რუსეთის საგარეო ურთიერთობები ღრმა ფსიქოლოგიზმით და მითოლოგიითაა გაჯერებული, რაც ვერბალურ დონეზეც კი ძნელად გამოიხატება. ამაოა იკითხო, თუ რა უნდა, ბოლოს და ბოლოს, რუსეთს საქართველოსგან. როცა ეს კითხვა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს დასავლეთის ჟურნალისტებმა დაუსვეს, ის კარგა ხნით გაჩუმდა და შემდეგ „შესანიშნავი" ფრაზა წარმოთქვა: „საქართველომ თვითონ იცის, ჩვენ რაც გვინდა მისგან". ასეთსავე კითხვაზე ვლადიმირ პუტინმა უპასუხა: **„საქართველომ უნდა შეწყვიტოს ანტირუსული საქმიანობა".**

**საერთო პრობლემა რუსეთთან ურთიერთობაში ის არის, რომ მოსკოვმა თვითონ არ იცის, რა უნდა საქართველოსგან, ესტონეთისგან, პოლონეთისგან, ამერიკისგან, ევროპისგან, ჩინეთისგან. მას უნდა ერთი რამ: მხოლოდ იმიტომ, რომ ფლობს ნავთობს, გაზს და ბირთვულ იარაღს, ყველამ აღუსრულოს მითიური სურვილი – აღიარონ და პატივი სცენ, როგორც „სუპერდერჟავას", ქვეყანას, რომელსაც უკვე მექსიკამაც კი გაასწრო მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით.** როგორც ერთი ვაშინგტონელი ექსპერტი ამბობს, რუსეთი მნიშვნელოვანი გარემოებაა ამერიკის საგარეო პოლიტიკაში. მაგრამ რუსებმა უნდა გაიგონ, რომ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობა აღარ აყალიბებს მსოფლიო მოვლენებს, როგორც ეს „ცივი ომის" დროს იყო, არამედ პირიქით, მსოფლიო მოვლენები თავის მთლიანობაში განაპირობებენ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებს.

თავისი მაღალი საერთაშორისო სტატუსის აღიარებისთვის რუსეთი მზად არის საერთაშორისო ურთიერთობების დაძაბვაზე წავიდეს. რუსეთს უცხადებენ, რომ ასეთი აღიარების მისაღწევად, საგარეო არენაზე ის უნდა მოქმედებდეს კონსტრუქციულად და თანამიმდევრულად, კერძოდ, ირანის ბირთვულ პრობლემებთან (სპეციალისტების აზრით, თეირანში მიაჩნიათ, რომ სტრატეგიული ხასიათის მთელ რიგ რეგიონულ პრობლემებთან დაკავშირებით ისინი რუსეთზე ზემოქმედების ბერკეტებს ფლობენ, რითიც შეუძლიათ უზრუნველყონ ბირთვულ პროგრამაში მოსკოვის ხილული თუ საიდუმლო მხარდაჭერა) და ავღანეთში მიმდინარე ოპერაციებთან დაკავშირებით მან უნდა შეწყვიტოს მდგომარეობის დესტაბილიზაციის მცდელობები საქართველოსა და უკრაინაში, მხარი დაუჭიროს გაეროს რეზოლუციას კოსოვოს დამოუკიდებლობის შესახებ და გააცნობიეროს, რომ დასავლეთს რუსეთთან თანამშრომლობა სურს, რომ თანამშრომლობის პირობებში რუსეთი შეძლებს მიიღოს მისთვის ესოდენ საჭირო ინვესტიციები და ტექნიკური დახმარება.

თუმცა, არც უცხოური ინვესტიციებისადმი დამოკიდებულება გამოირჩევა რაციონალურობით. ენერგეტიკული რესურსების მოპოვების, გადამუშავების, ტრანსპორტირების და უცხოეთში რეალიზაციის ციკლი მთლიანად სახელმწიფოს ხელშია და აქტივების ბაზრის დივერსიფიკაციაზე და ლიბერალიზაციაზე ამჟამად ლაპარაკიც კი ზედმეტია. საინვესტიციო პოლიტიკა მოპოვების და ტრანსპორტირების სფეროში იმდენად არასაკმარისი კაპიტალური დაბანდებებით ხასიათდება, რომ აქ დამატებითი უცხოური სახსრების დაბანდების გარეშე, რუსეთმა სულ რამდენიმე წელიწადში შეიძლება ვეღარ შეასრულოს ვალდებულებები, რითიც საგრძნობლად შეილახება ევროპის ენერგოუსაფრთხოება.

მაგრამ მთავარი აქ გლობალური ეკონომიკის ლოგიკის უგულებელყოფაა. საგარეო არენაზე ძლაუფლებისა და გავლენის მოსაპოვებლად ქვეყანამ თავისი ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა უნდა გაზარდოს, რაც მსოფლიო ეკონომიკაში შესვლის გარეშე არ ხდება. ეს უკანასკნელი კი შეუძლებელია მის მთავარ მონაწილეებთან, განსაკუთრებით მსოფლიო საფინანსო ნაკადების მაკონტროლებელ ბანკებთან, კორპორაციებთან, საფონდო ბირჟებთან და სხვა ორგანოებთან, თანამშრომლობის გარეშე. ამ სისტემის გარეშ (ნებისით თუ უნებლიედ) დარჩენილი სულ უფრო ღარიბდება და სუსტდება, რამდენი ნავთობი და გაზიც არ უნდა ჰქონდეს. თვითკმარი, მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციულ პროცესებს გამოცალკევებული ზესახელმწიფო, ანუ ავტარკია – უსიცოცხლო იდეა. **დღევანდელი მოსკოვის მიერ არჩეული მცდარი პოლიტიკური კურსი ეკონომიკური კულტურის ნაკლებობით და არარაციონალურად მიმართული ეროვნული ცნობიერებით არის განპირობებული.**

სიმართლისთვის უნდა ითქვას, და ეს ზოგადად ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკის პრობლემაა, რომ დღევანდელი რუსეთისთვის შეიძლება უფრო მეტად, მაგრამ ფსიქოლოგიზმის (ეროვნული სულის, ეროვნული მითოლოგიის, ეროვნული ქვეცნობიერის) და რაციონალურობის თანაფარდობის ოპტიმიზაცია ამა თუ იმ სამოქმედო გადაწყვეტილების მიღების დროს, ყველა ქვეყნის საგარეო პოლიტიკისთვისაა აქტუალური. აქ მარტო გაურკვევლობით და რისკებით გამოწვეული ნევროზული რეაქციების მოთოკვაზე არ არის საუბარი, თუმცა ესეც მეტად მნიშვნელოვანია. კარგად არის ცნობილი, მაგალითად, რომ **როცა ხელისუფლება ამა თუ იმ მიზეზების გამო თავის პროგრამულ დაპირებებს ვერ ასრულებს, პოლიტიკის რაციონალიზაციის ნაცვლად ის, როგორც შინ, ასევე საგარეო ურთიერთობებში, ფსიქოლოგიური ზემოქმედების ხერხებს ხშირად გადაჭარბებულად და არაადეკვატურად იყენებს, („მტრის ხატს" და ა. შ.) ამასთან, ჩვეულებრივ, თვითონვე მოექცევა ხოლმე მის ზეგავლენის ქვეშ. ასეთ დროს, უკეთესი, უფრო ეფექტური PR-ის საწარმოებლად, ზოგი ხელისუფლებით აღჭურვილი პირისთვის პოლიტიკური არენა „პოლიტიკურ პოდიუმად" გადაიქცევა ხოლმე.** უნდა ითქვას, რომ ასეთი სენისგან არც რუსეთის დღევანდელი ლიდერია თავისუფალი. არჩევნების მოახლოებასთან ერთად მისი სიმპტომები სულ უფრო აშკარად ჩანს.

ვლადიმირ პუტინის პრეზიდენტობის შედეგად მთელი რიგი ობიექტური წინააღმდეგობები ჩამოყალიბდა. ეს წინააღმდეგობები რუსეთს ახალ სიძნელეებს შეუქმნის, როგორც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, ასევე შემდგომ ადმინისტრაციის საქმიანობაში. კერძოდ:

● ესაა წინააღმდეგობა ხელისუფლების ნებას შორის, სრულად აკონტროლებდეს რუსეთის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებას და მისი წარმომადგენლების მიერ აშკარად გამოხატულ სურვილს შორის – არ დააკისრონ რაიმე პასუხისმგებლობა მათი მეთაურობით წარმოქმნილი უარყოფითი შედეგების მიმართ;

● წინააღმდეგობა ავტორიტარული (აზიური) ტიპის პოლიტიკური სისტემის მშენებლობასა და პროპაგანდისტულად აღიარებულ ევროპულ მიდრეკილებას შორის, რამაც ოდიოზური „სუვერენული დემოკრატიის" სახელწოდება მიიღო;

● წინააღმდეგობა პოლიტიკური ელიტების დემოკრატიული მონაცვლეობის პრინციპის დამკვიდრების აუცილებლობის და არსებული ისტებლიშმენტის მიერ ხელისუფლების კვლავწარმოების მექანიზმის შემუშავების ორგანულ უუნარობას შორის;

● წინააღმდეგობა ხელისუფლების ლეგიტიმაციის დონის ამაღლების აუცილებლობასა და ხელისუფლების შიგნით კლანური ბრძოლის დაძაბულობას შორის, რაც ზრდის პოლიტიკური ძალების ურთიერთდისკრედიტაციის საფრთხეს და ართულებს სახელმწიფოს საშუალო და გრძელვადიანი პოლიტიკური მიზნების მიღწევას;

● წინააღმდეგობა პრეზიდენტის პირადი პოპულარობასა და მის მიერ დატოვებული ბიუროკრატიული სისტემის უკიდურეს არაპოპულარობას შორის.

● ამასთან ერთად, თანამედროვე პირობებში საერთაშორისო პოლიტიკა აწყდება სრულიად ახალი ტიპის უპრეცედენტო გარემოებას, როდესაც ამა თუ იმ, დიდი თუ პატარა ქვეყნის ხელისუფლებას უწევს გაცილებით უფრო ფართო და გართულებული კონტაქტის გათვალისწინებით მოქმედება. საქმე ეხება ახალი გეოპოლიტიკის და გლობალიზაციის პროცესების ურთიერთმოქმედებას.

**ოთარ კანდელაკი,**
დოქტორი, საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 114-116.

# რაცა გვჭირს

**საკითხავი და გასარკვევია ერთი რამეც: რატომ რჩებოდა და დღესაც რჩება აჭარაში ადმინისტრაციული ორგანოების სათანადო რეაგირების გარეშე ყოფილი სახელმწიფო მეურნეობების მიწების უკანონოდ დაკავებისა და ამ ფართობებზე საცხოვრებელი სახლების უკანონო მშენებლობის ფაქტები**



## ◉ სათქმელი უნდა ითქვას!

# რატომ და ვინ ჩაშალა აჭარაში მიწის რეფორმა?

## ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ თავგასულობასაც და ხალხის მოთმინებასაც აქვს საზღვარი

**საქართველოში მიწის რეფორმა ჯერ კიდევ 1999 წლის 1 იანვრისათვის დამთავრდა, აჭარაში კი ამ საკითხისადმი წინა ხელისუფლების არასწორი მიდგომის გამო, პირობა შეიქმნა და მოსახლეობას მიწები უსასყიდლოდ არ გადაეცა, რეფორმა ჩაიშალა, მიწის განსაკუთრებული სიყვარულით გამორჩეული იქაური მოსახლეობის დიდი ნაწილი უმიწოდ დარჩა, არ განხორციელდა კანონი, რომლის მიხედვით, პირველ რიგში, 1992 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი უმიწო და მცირემიწიან კომლებსაც სასოფლო-სამეურნეო მიწები უნდა გადასცემოდათ უსასყიდლოდ.**

აჭარაში მოქმედი არასამთავრობო გაერთიანება „საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირი“ ამ საკითხით დიდი ხანია დაინტერესდა. აჭარის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე საკითხის არაერთგზის დასმას პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. ამ დავასა და უშედეგო ჯახირში მიწის რეფორმის გაგრძელებული ვადა 2006 წლის 31 დეკემბერს ამოიწურა, მიწის რეფორმა კი კვლავ ჩაიშალა და მოსახლეობა კვლავ იმედგაცრუებული დარჩა.

და კვლავ დადგა დღის წესრიგში მინიმუმ ორ კითხვაზე მაინც პასუხის გაცემის აუცილებლობა:

1. რატომ ჩაიშალა აჭარაში მიწის რეფორმა, რამ შეუშალა ხელი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის შესრულებას, რომელიც აჭარაში მოსახლეობისათვის მიწის უსასყიდლოდ გადაცემას ითვალისწინებდა?!

2. რომელმა უწყებამ, რომელმა სახელმწიფო მოხელემ, დააზარალა მოსახლეობა, ვინც, კანონის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო მიწის უსასყიდლოდ მიღებას ელოდებოდა?!

ვიდრე ამ ურთულეს კითხვებს პასუხს გავცემდით, თავი ვალდებულად ჩავთვალეთ, ჩვენი მოსაზრება გამოგვეთქვა ზოგიერთი ოპოზიციური პარტიისა და მასმედიის მიერ წამოწყებულ საპროტესტო კამპანიასთან დაკავშირებით, რომელიც ხელვაჩაურის რაიონის ექვსი საკრებულოს, ბათუმის მიმდებარე სოფლებში 1999 წლის 1 იანვრიდან 2004 წლის 26 ნოემბრამდე გაცემული მიწების საკუთრებაში გადაცემის სახელმწიფო რეგისტრაციის გატარების შეჩერებას შეეხება.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი დამოკიდებულება შემდეგი გახლდათ. დავიწყოთ იმით, რომ თუ ეს გადაწყვეტილება და მასთან დაკავშირებული მუშაობა 1999 წლის 1 იანვართან, ანუ იმ პერიოდიდან არის დაკავშირებული, როცა სრულიად საქართველოში მიწის რეფორმა დამთავრდა და ამის შემდეგ 2004 წლის 26 ნოემბრამდე პერიოდში მიწის განაწილების სამართლიანობა უნდა გადასინჯონ, რა თქმა უნდა, ეს გამართლებულია. ყველა ეს გადაწყვეტილება გადახედვას, ობიექტურ შესწავლას, გაანალიზებასა და შეცდომების გასწორებას მოითხოვს.

მაგრამ საინტერესოა ამ საქმის მეორე მხარეც. ეს ღონისძიება ხომ არ ემსახურება იმ პროგრამას, რომელიც ბათუმის მიმდებარე სოფლების პრესტიჟული მიწების ბათუმის მერიისთვის გადაცემას ითვალისწინებს, რაც ვერანაირ იურიდიულ და მორალურ ნორმაში ვერ თავსდება, ეტყობა, საქმე სულ სხვა პროცესთან გვაქვს. გასარკვევია, რა სჯობს, ის, რომ სასამართლო ილებდეს გადაწყვეტილებას რაიონის რამდენიმე სოფელში მიწების რეგისტრაციის შეჩერების თაობაზე თუ ის, რომ ეს საკითხი ინდივიდუალური წესით განიხილებოდეს? ბათუმის მერიის ხელმძღვანელობა არც ფიქრობს იმაზე, რომ ხელვაჩაურის რაიონის მოსახლეობის ინტერესებიც არის გათვალისწინებული და მან ცენტრალური ხელისუფლების ნდობა ბოროტად არ უნდა გამოიყენოს.

ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციის — „საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირის“ გამგეობის წევრებს მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს გაგვიჭირდა პასუხი გაგვეცა ერთ უმთავრეს კითხვაზე: გაბედავდა კი აჭარის ხელისუფლება საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების, კანონის შეუსრულებლობას?! მოსახლეობის ინტერესების უყურადღებოდ დატოვებას?

რა თქმა უნდა, არა.

ახლა, ფერიის გორაზე მომხდარი ფაქტის შემდეგ, ამ კითხვაზე პასუხი ნათელია. ცენტრის მადაგახსნილობას წინ ვერავინ აღუდგა. ამისათვის მშენებარე ეკლესიის დანგრევაც გაბედეს.

მხოლოდ ცენტრის ჩარევის შემდეგ ამოიღეს სარეფორმო ფონდიდან ბათუმის მიმდებარე სოფლების — გონიოს, ადლიის, კახაბრის ზღვისპირა თუ სხვა პრესტიჟული მიწებიც.

ყოველივე ამას თავისი ინტერესები ადგილობრივმა სახელმწიფო მოხელეებმაც დაუკავშირეს, ანუ მათ, ვინც ადრე დაშვებული უკანონობის დაკანონებას შეეცადა და, მიწის რეფორმა განმეორებით ჩაიშალა, ეს კი არ შეიძლება სათანადო შეფასების გარეშე დარჩეს.

საკითხავი და გასარკვევია ერთი რამეც: რატომ რჩებოდა და დღესაც რჩება აჭარაში ადმინისტრაციული ორგანოების სათანადო რეაგირების გარეშე ყოფილი სახელმწიფო მეურნეობების მიწების უკანონოდ დაკავებისა და ამ ფართობებზე საცხოვრებელი სახლების უკანონო მშენებლობის ფაქტები. მით უფრო, რომ ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონებში ამის არა ათობით, არამედ ასობით ფაქტია, რაც 2004 წლის მაისის ცნობილი მოვლენების შემდეგაც გაგრძელდა? ვფიქრობთ, ეს იმასთანაცაა დაკავშირებული, რომ ადმინისტრაციული ორგანოები ზედმეტად ცენტრალიზებულია, ამიტომ ისინი სათანადო რეაგირებას არ აკეთებდნენ, ბოლომდე პრინციპული არ არიან მიწების უკანონო დაკავებისა და მათზე საცხოვრებელი სახლების უკანონოდ აშენების ფაქტთან დაკავშირებით.

არავინ ინტერესდებოდა საარენდო ფართობების უკანონო გადაფორმების პროცესით, ან იმით, თუ როგორ ჩნდებოდა ყოფილ სახელმწიფო მეურნეობებში ახალი ოჯახები მაშინაც კი, როცა სახელმწიფო მეურნეობები გაუქმდა და მეურნეობას არანაირი დამატებითი მუშახელი არ ესაჭიროებოდა? არავინ აანალიზებს, იმას, რომ ყოფილი სახელმწიფო მეურნეობის მუშის ბინის შესყიდვა სრულებითაც არ ნიშნავდა ყოფილი მუშის უფლებების შესყიდვასაც. არავინ დაინტერესებულა იმითაც, რომ ყოველივე ეს საარენდო ფართობის ან მისი ნაწილის მრავალჯერად გადაფორმებასა და მასთან დაკავშირებით ფაქტობრივად მიწებით ვაჭრობის ფაქტებთან იყო დაკავშირებული.

დიახ, უნდა ვაღიაროთ, რომ, სამწუხაროდ, აჭარაში მიწის რეფორმა ჩაიშალა, მართალია იგი რთულ ვითარებაში, არასასურველი მემკვიდრეობის პირობებში მიმდინარეობდა, მაგრამ მისი განხორციელება და საქართველოს კანონის ფარგლებში მოქცევა მაინც შეიძლებოდა, ამ მიმართულებით მუშაობა სწორად რომ წარმართულიყო.

როცა მიწის რეფორმის ჩატარების არასასურველ მემკვიდრეობაზე ვმსჯელობთ, მხედველობაში გვაქვს ის, რომ აჭარის წინა ხელისუფლების დროს რეფორმის ნაცვლად მიწით ვაჭრობა სახელმწიფო ბიუჯეტის ე.წ. „სტრატეგიული გეგმების“ შესასრულებლადაც გამოიყენებოდა. არავინ დაინტერესებულა იმით, რომ ადრე ყოფილი კოლმეურნეობისა თუ სახელმწიფო მეურნეობების ხელმძღვანელებს ბიუჯეტში ის თანხა შეჰქონდათ, რომელიც ბუღალტერიაში არ ფიგურირებდა, რაც იმას ამტკიცებს, რომ „მიწით ნავაჭრი“ თანხის ნაწილი ბიუჯეტში დავალიანების დასაფარავად შეჰქონდათ.

ამ დროს მეორე დანაშაულებრივმა პროცესმა იჩინა თავი: რაიონებიდან მიწის სარეფორმო ფონდების დასამტკიცებლად მასალები აჭარის მინისტრთა საბჭოში იგზავნებოდა. სწორედ იქ ქმნიდნენ დანაშაულის განხორციელების საფუძველს, მთავრობაში სარეფორმო ფონდების დასახელება იცვლებოდა და სარეფორმო მიწების ნაცვლად, სარეფორმო სარეზერვო ფონდებს ამტკიცებდნენ, რითაც კომლების წარმოშობის პერიოდის მიხედვით მიწების გაცემის შეზღუდვა დღის წესრიგიდან იხსნებოდა, მიწები გაიცემოდა (ხშირად იყიდებოდაძ არა კანონის მიხედვით — 1992 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ კომლებზე, არამედ შემდგომ წარმოშობილ კომლებზეც, რაც მოქმედ კანონმდებლობას ეწინააღმდეგებოდა, მიწის სარეფორმო ფონდების შესახებ გადაწყვეტილებებს რაიონებისა და საკრებულოების მიხედვით კი არა, ცალკეული სოფლების მიხედვით იღებდნენ, რაც გარიგებებთან იყო დაკავშირებული. ეს პროცესი 2004 წლის მაისამდე გრძელდებოდა.

აჭარაში 2004 წლის მაისის მოვლენების შემდგომ, ავტონომიური რესპუბლიკის ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს აგრარულ და თვითმმართველობის საკითხთა კომიტეტი თავდაპირველად სწორად უდგებოდა იმ საკითხს, რაც აჭარაში მიწის რეფორმის დროს დაშვებულ დარღვევებსა და მათ გასწორებას შეეხებოდა. ამიტომ იყო, რომ სწორედ მისი ინიციატივით შევიდა აჭარის უმაღლესი საბჭო საქართველოს პარლამენტში ინიციატივით აჭარაში მიწის რეფორმის ვადის გაგრძელების შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა და 2004 წლის 26 ნოემბერს საქართველოს „სასოფლო-სამეურნეო მიწების საკუთრების შესახებ“ კანონში ცვლილება შეიტანა — აჭარაში მიწის რეფორმა 2006 წლის 31 დეკემბრამდე გააგრძელა.

კანონში, რეფორმის ვადის გაგრძელების გარდა, სხვა ცვლილება არ შეტანილა, ამიტომ კანონის მიხედვით მიწები უსასყიდლოდ, პირველ რიგში, 1992 წლის 1 იანვრამდე სოფლად მცხოვრებ უმიწო და მცირემიწიან კომლებს უნდა მისცემოდა, რაც ამ საკითხით დაინტერესებული უწყების ზოგიერთი ხელმძღვანელისა თუ გარკვეული კატეგორიის სახელმწიფო მოხელეებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ ადრე დაშვებულ სიყალბეთა მიჩქმალვასა და უკანონობის დაკანონებას შეეცადნენ.

აჭარის მთავრობის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტში მოამზადეს კანონის ალტერნატიული პროექტი, რომლითაც 2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი კომლების დაკმაყოფილებას ითვალისწინებდა. პროექტში მიწებით ოჯახების სულადობის მიხედვით დაკმაყოფილებასაც ითვალისწინებდნენ. ყოველივე ეს საქართველოს კანონმდებლობის ძირითად მოთხოვნას ეწინააღმდეგებოდა. არავინ გაითვალისწინა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში სხვა ორგანო ცვლილებას ვერ შეიტანდა.

რაც შეეხება აჭარის მთიან ზონაში, კერძოდ, ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონებში მიწის რეფორმის ჩატარებას, იგი არ ჩატარებულა და ამას არც არავინ ცდილობდა, რადგან იქ დაუწერელი კანონით იხელმძღვანელეს, მიწას ყოფილი მესაკუთრის მემკვიდრე დაეპატრონა, რასაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერაფერი დაუპირისპირა.

**იხ. 11 გვ.**

## ◉ ინფორმაცია

### რამ აღაშფოთა ოს სეპარატისტთა მთავრობა?

**სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობისთვის გაუგებარია, რატომ მიიწვიეს ბრიუსელში დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევი.**

**როგორც ოსური საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, სანაკოევი ქართული სპეცსამსახურების „პირმშო“ და ხელისუფლების მიერ დანიშნული საშუალო რანგის მოხელეა. ამიტომ, გაურკვეველია, რატომ ეძლევა მას ევროპარლამენტში მშობლიურ ენაზე გამოსვლის უფლება.**

**— საქართველოს მთავრობაში არაერთი ადამიანია, რომელიც კონფლიქტის უსისხლოდ მოგვარების მომხრეა და მზადაა ამის შესახებ ევროპარლამენტში სომხურ ან ბერძნულ ენაზე განაცხადოს. გაურკვეველია, რატომ აღმოჩნდა ევროპარლამენტში კონკრეტულად სანაკოევი?, — ნათქვამია ინფორმაციაში.**

**იქვე აღნიშნულია, რომ თუ ევროპაში ჯერ კიდევ არსებობს დემოკრატიისა და კანონიერების დაუმახინჯებელი ფორმა, „მაშინ სანაკოევის ბრიუსელში მიწვევა ან შეცდომაა, ან საქართველოს ხელისუფლების მორიგი ხრიკი“.**

**— სანაკოევი, სამხრეთ ოსეთში არსებული მდგომარეობის შესახებ საერთაშორისო საზოგადოების დეზინფორმირების ერთ-ერთი საშუალებაა. თუ ევროპარლამენტი არაკომპეტენტურობას გამოიჩენს და სანაკოევს დაუჯერებს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ევროპის ქვეყნებს წარმატებითასულელებს, — ნათქვამია ინფორმაციაში.**

**იქვე აღნიშნულია, რომ „თუ ევროპარლამენტმა სანაკოევის ჭეშმარიტი ფუნქციები იცის, ესე იგი ევროპარლამენტის წევრები თავიანთი ქვეყნების მოქალქეებს ატყუებენ“.**

**ინტერპრესნიუსი**

### გაიზიარებენ ჰოლანდიის გამოცდილებას

**გუშინ დაიწყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის ნატო გაგნიძისა და იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის უფროსის ნინო ცუხიშვილის ვიზიტი ნიდერლანდების სამეფოში. იუსტიციის მინისტრის მოადგილე და სამსახურის უფროსი ნიდერლანდების სამეფოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებს შეხვდებიან და გამოცდილების გაზიარების მიზნით, უფასო სამართლებრივი მომსახურების სპეციფიკას გაეცნობიან..**

**ვიზიტი, რომელიც ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ მხარდაჭერით ხორციელდება, 27 ივნისს დასრულდება.**

**ХО-ЕИБ-ЕНИ**

№ 118. სამშაბათი, 26 ივნისი, 2007 წელი.

# სიცრუე

**საბჭოთა პერიოდში მეცნიერებმა კომპრომისი გამონახეს და, მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო, ერთადერთ გამოსავალს მიაგნეს – ორაბორიგენობის თეორიას, ანუ საერთო ტერიტორიას და სხვა. მაგრამ სეპარატისტები ამტკიცებენ, რომ არა მხოლოდ ენგურს მიღმა ტერიტორია, არამედ მთელი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი აფსუური ტომებით იყო დასახლებულიო**



## „ყოველი სიტყვა სიყალბეა“

***„ყოველი წინადადება სიყალბეა ან ნახევარსიმართლე, რომელიც სიყალბეზე უარესია“, – ასე შეაფასა პროფესორმა ჯემალ გამახარიამ სოხუმში გამოცემული აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელო, რომლის ავტორები არიან ოლეგ ბღაჟბა და სტანისლავ ლაკობა. „სახელმძღვანელო განკუთვნილია მეათე და მეთერთმეტე კლასებისთვის, მაგრამ მისი შინაარსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ალბათ, უმაღლეს სასწავლებლებშიც გამოიყენება. ჯერჯერობით არ ვიცნობ ამ წიგნზე უფრო გაყალბებულ აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელოს, მათს უმაღლეს სასწავლებლებში რომ ისწავლებოდეს“.***

# მითვისებული საქართველოს ისტორია

## რა საერთო ჰქონდათ აფსუებს სომხებთან?

ბატონი ჯემალი ფიქრობს, რომ ამ წიგნის დედაარსი და მიზანია აფხაზეთის ისტორიის ისე წარმოჩენა, რომლის მიხედვითაც მას არასდროს საქართველოსთან და ქართულ სამყაროსთან საერთო არაფერი ჰქონია, პირიქით – ყველაფერი იმ ხალხს ეკუთვნოდა, რომელსაც დღეს აფხაზი ჰქვია, ხოლო აფხაზეთი პოლიტიკურად, ადმინისტრაციულად ყოველთვის განცალკავებული იყო საქართველოსგან.

სახელმძღვანელოს ავტორებმა დიდებულ „აღმოჩენას“ მიაგნეს: **თურმე აფხაზეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილი კი არ ყოფილა, არამედ საქართველო შედიოდა მის შემადგენლობაში, ოღონდ – მცირე დროით.**

სეპარატისტული ისტორიოგრაფიისთვის მიუღებელია არა მხოლოდ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე არსებული ტომების – აბაზგების, აბსილების, ჰენიოხების... ქართველურ ტომებად მიიჩნევა, არამედ ამ სახელმძღვანელოში ისინი ორაბორიგენობასაც კი არ ცნობენ. ჯემალ გამახარიას თქმით, **საბჭოთა პერიოდში მეცნიერებმა კომპრომისი გამონახეს და, მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო, ერთადერთ გამოსავალს მიაგნეს – ორაბორიგენობის თეორიას, ანუ საერთო ტერიტორიას და სხვა. მაგრამ სეპარატისტები ამტკიცებენ, რომ არა მხოლოდ ენგურს მიღმა ტერიტორია, არამედ მთელი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი აფსუური ტომებით იყო დასახლებულიო.**



„დადგა დრო, ამ საკითხზე სიმართლე დაიწეროს, თუმცა ეს სიმართლე სიახლე კი არ იქნება, არამედ კარგად დავიწყებული ძველის გახსენება. ჩვენ ქართულ კლასიკურ ისტორიოგრაფიას უნდა დავუბრუნდეთ. „ქართლის ცხოვრება“ ასე იწყება – ეგროსს ერგოს ლიხს იქითა ტერიტორია ყუბანამდეო. ეს იმას გულისხმობს, რომ ამ ტერიტორიაზე ეროვნის შთამომავლობა – კოლხები, მეგრელები ცხოვრობდნენ, და არა სხვა ვინმე. ამას მხოლოდ „ქართლის ცხოვრება“ კი არ მოგვითხრობს, არამედ უამრავი ბიზანტიური და სომხური წყარო.

სომხურ წყაროებში მოხსენიებულ აბაზგებში დასავლეთ საქართველო და ქართველები იგულისხმება. ზოგან აბაზგი, ზოგან ეგრისია ჩაწერილი და ერთი და იგივეს ნიშნავს, ასევე, ერთი და იგივეა ხან აფხაზეთის სამეფოს, ხანაც ეგრისის სამეფოს ხსენებაც.

ე. წ. სახელმძღვანელოში ერთი თავი აფხაზებისა და სომხების პოლიტიკურ ურთიერთობაზეა, მაშინ, როდესაც აფსუებს სომხებთან საერთო არაფერი ჰქონიათ. აფხაზეთის სამეფო მათ აფხაზურ სახელმწიფოდ გაასაღეს, რომლის საზღვრები სომხეთამდე იყო თურმე გადაჭიმული, ხოლო ზოგჯერ აფხაზეთად მთელი საქართველოც მოიხსენიება, ამ შემთხვევაში მითვისებულია საქართველოს ისტორია. ანუ ქართულ-სომხური, სომხეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობანი, დაპირისპირებანი... ეს ყველაფერი წიგნში წარმოჩენილია, როგორც აფსუებთან ურთიერთობა.

სომხურ წყაროებში ხანდახან აფხაზეთის მაგივრად ეგრისს ასახელებენ, აფხაზეთის მეფეების ნაცვლად კი ეგრისის მეფეებს, მაგრამ სახელმძღვანელოში ესეც გამოტოვებულია.

ერთი სომეხი ავტორის მტკიცებით, ივერიელები ესპანეთიდან ჩამოსულან და შავი ზღვის სანაპიროზე დასახლებულან, მერე გამრავლებულან, ძალიან დიდი სახელმწიფო – აფხაზეთი შეუქმნიათ. სეპარატისტ ისტორიკოსებს მოაქვთ ეს ნაწყვეტი, მაგრამ წინ რაც უძღვის – ივერიელების შექმნილი სახელმწიფო – ამოგდებულია.

ასე რომ, აფსილები, აბაზგები, მისიმიანელები თუ ჰენიოხები, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, აფხაზურ ტომებადაა მიჩნეული. ეს არის უდიდესი სიცრუე, თუნდაც სომხეთ-საქართველოს ურთიერთობის თვალსაზრისით. რომელ ასეთ ურთიერთობაზე ლაპარაკობენ, როდესაც ეს ხალხი აფხაზეთში მე-17 საუკუნეში მოვიდა და სომხებთან არანაირი ურთიერთობა არ ჰქონიათ?– ამბობს ჯემალ გამახარია.

### აფხაზეთში არაქართველური ტომების კვალიც კი არა ჩანს

ამ ვაიმეცნიერთა მტკიცებით, **თურმე მთელი შავიზღვისპირეთი ჩერქეზული, ადიღეური და აფსუური ტომებით ყოფილა დასახლებული, რითაც კოლხეთის ისტორიას ერთიანად ითვისებენ.** „ამას სახელმძღვანელოში ძალიან სერიოზულად ცდილობენ. ერთ-ერთ არგუმენტად მოაქვთ ის, რომ აიეტის ვაჟიშვილის სახელი აბსირტე თურმე პირდაპირ უკავშირდება აფსუას. ორაბორიგენობის თეორიის მიხედვით, პოლიტიკური მოსაზრების გამო, თუ ჩვენ კოლხეთის ისტორიის რაღაც ნაწილის დათმობა შეგვეძლო, ახლა სეპარატისტებმა მთელი კოლხეთის ისტორიის მითვისება დაიწყეს.

ამაზე ჩვენ განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება გვმართებს, ანუ დასაბუთება იმისა, რომ **არაქართველურ ტომებს ენგურიდან ფსოუმდე ტერიტორიაზე მე-16 საუკუნემდე არ უცხოვრიათ. მე-16 საუკუნეში მათ დაიკავეს დღევანდელი გუდაუთის ტერიტორია და მე-17 საუკუნის ბოლოს – ენგურამდე მოვიდნენ, თუმცა დღევანდელი გალის რაიონის ათვისება მათ ვერ შეძლეს. მისმა მოსახლეობამ ეროვნულობა შეინარჩუნა, ხოლო იქ ჩასახლებულმა თავადაზნაურობამ კი ასიმილაცია განიცადა.** იმიტომ, რომ ეს ტერიტორია დიდი ხნის განმავლობაში უფრო სამეგრელოს შემადგენლობაში შედიოდა, ვიდრე აფხაზეთის. გალის რაიონის გარდა, ყველგან, სამწუხაროდ, ეთნიკური იერსახე შეცვალეს. ჩერქეზულ-ადიღეურმა ტომებმა ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია მოახდინეს, ისინი დაიმონეს, თავადაზნაურობა ან ამოჟლიტეს, ან განდევნეს, გაანადგურეს სამღვდელოებაც.

ჯემალ გამახარიას თქმით, არის ასზე მეტი სასულიერო პირის განადგურების დოკუმენტები, რომ იქ მართლმადიდებელ მოძღვარს ყოფნა აეკრძალა. ეს იმიტომ, რომ მართლმადიდებელი სამღვდელოება და თავადაზნაურობა მხარს უჭერდა დადიანებს. ამიტომაც ისინი ან განდევნეს, ან ამოჟლიტეს.

**„მე-16 საუკუნემდე აფხაზეთში არაქართველური ტომების არანაირი კვალი არა ჩანს – არც არქეოლოგიურ მასალაში,არც არქიტექტურასა და ეთნოგრაფიაში, არც ეთნოკონფლიქტები ყოფილა. ამ ტერიტორიაზე არაქართველთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის (იქნება ეს პოლიტიკური თუ კულტურული მოღვაწეობა)ძ რაიმე ნიშანი არა ჩანს. სახელმძღვანელოში კი ისტორია ისეა წარმოჩენილი, თითქოს იქ ყველაფერი აფხაზური იყო, ქართული კი არაფერი არსებობდა.**

სხვათა შორის, აფხაზებს არ შეეძლოთ გვერდი აევლოთ ამ საკითხისთვის – ქართული წარწერებისთვის. სახელმძღვანელოში განმარტებულია, რომ **ამ ტერიტორიაზე მე-10 საუკუნემდე სახელმწიფო ენა ბერძნული ყოფილა, ხოლო ქართული წარწერები მე-10 საუკუნის ბოლოს ჩნდებაო. დააკვირდით, იმას კი არ წერენ, ქართული გახდა სახელმწიფო ენაო, არამედ – ქართული წარწერები გაჩნდაო. სახელმწიფო ენა რომ ახსენონ,** ეს უკვე აღარ შეესაბამება სახელმძღვანელოს პათოსს, რომლის მიხედვითაც არანაირი კავშირი საქართველოსთან არ შეიძლება არსებობდეს. ყველაფერი აფსუურია.

აი, აფხაზეთის ასეთი ისტორიასთან გვაქვს საქმე.

### სამეგრელო აფხაზეთს ყოველთვის სათავისო ტერიტორიად მიიჩნევდა

ახლა ვნახოთ, სეპარატისტი იდეოლოგები რას წერენ მე-17 საუკუნეზე. ამ პერიოდში ჩამოსახლდნენ ისინი აფხაზეთში. ჯემალ გამახარიას თქმით, მათ გვერდი ვერ აუარეს იმ ფაქტს, რომ მე-17 საუკუნის ბოლოს ნამდვილად აითვისეს ეს ტერიტორია და ენგურამდე მოვიდნენ. „ეს მოხდა ჩრდილოეთ კავკასიელთა ხელშეწყობით და დახმარებით. სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ და ამის თაობაზე სახელმძღვანელოში ჩაწერეს. მაგრამ ნახეთ, როგორ გაასაღეს ფაქტი – რაც მე-14 საუკუნეში დადიანმა წაგვართვა, ის მე-17 საუკუნეში დავიბრუნეთ. და აფხაზი ხალხის პოლიტიკური და ეთნიკური საზღვარი ჩვენ აღვადგინეთო. აი,ასეთ სისულელესაც იხილავთ ამ წიგნში. მე-17 საუკუნეში კი არა, დღესაც არავინ იცის, სად გადის ეთნიკური საზღვარი“, – ამბობს ბატონი ჯემალი.

სახელმძღვანელოში მოკლედ და ზერელედაა გაშუქებული მე-19 საუკუნე – რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის პერიოდი. „თუმცა, რამდენიმე მოსაზრებას სიამოვნებით დავეთანხმები. სეპარატისტები აფხაზეთის რუსეთთან მიერთებას უკანონო აქტად მიიჩნევენ. 1990-იანი წლების დასაწყისში ამაზე გია ანჩაბაძემაც გაამახვილა ყურადღება და, ვფიქრობ, მართებულადაც. მაგრამ **სახელმძღვანელოში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ სამურზაყანო რუსეთს შეუერთდა არა დანარჩენ აფხაზეთთან ერთად, არამედ დამოუკიდებლად. სამურზაყანოს მფლობელებმა აღიარეს სამეგრელოს მთავრისა და რუსეთის იმპერატორის უზენაესობა, სეპარატისტი ისტორიკოსები კი ამ ფაქტს მალავენ.**

**ასევე, წებელდა და ის ტერიტორია, რომელსაც ზემო აფხაზეთს ვუწოდებთ, დანარჩენ აფხაზეთთან ერთად არ შესულა რუსეთის შემადგენლობაში. ცალკე ხელშეკრულებით, 1915 წელს ჯერ სამეგრელოს მთავრისა და მერე რუსეთის იმპერატორის უზენაესობა აღიარეს.**

სახელმძღვანელოში მიჩუმათებულია ის ფაქტი, რომ, როდესაც სამეგრელოს სამთავრო ძალიან ცდილობდა აფხაზეთის შესვლას რუსეთის შემადგენლობაში, ყველა დოკუმენტში ხაზგასმულია და ნიკო დადიანის სახელით ჩაწერილია, რომ

იხ. 8 გვ.

• სახელმძღვანელო აგრეთვე გვამცნობს,რომ 1921 წლიდან 1931 წლამდე აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო ყოფილა. ესეც ძალიან დიდი სიცრუეა, არც აფხაზეთის, არც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით, აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის სუბიექტი არ ყოფილა, არამედ საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო



◉ „ყოველი სიტყვა სიყალბეა“

# მითვისებული საქართველოს ისტორია

(მეშვიდე გვერდიდან)

აფხაზეთი ჩვენი სამფლობელოს ნაწილიაო. სამეგრელო ყოველთვის მიიჩნევდა აფხაზეთს თავის ისტორიულ ტერიტორიად,რომელზეც კონტროლი დროებით იყო დაკარგული. სწორედ ამიტომ სამეგრელო ყველაზე მეტად იყო მონდომებული, რომ ამ ტერიტორიას რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღო და ამის შემდეგ შემოეერთებინა თავისი ისტორიული ნაწილი. თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ მერწმუნეთ, ძალზესაგულისხმო დეტალია“.

## ქართველი მეცნიერები აფხაზეთის ეთნოპოლიტიკურ ისტორიას ქმნიან

„სახელმძღვანელოში არაფერია ნათქვამი, თუ რა უბედურება დაატრიალა რუსეთმა ამ ტერიტორიაზე მაჰაჯირობის დროს, აფხაზების დამნაშავე ერად გამოცხადების გამო, — განაგრძობს ბატონი ჯემალი, — ასევე,იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო რუსეთმა აფხაზებისგან ანტიქართული პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბება და როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობდნენ ქართული საყაროსგან ამ ხალხის ჩამოშორებას. ეს ყველაფერი ასახულია იმ დოკუმენტებში, რომლებსაც აფხაზი ავტორები ან არ იცნობენ, ან საგანგებოდ თვალს ხუჭავენ“.

ჯემალ გამახარიას ყველაზე დიდ სიცრუედ მიაჩნია ის, რომ თურმე 1918 წლიდან საქართველოს მოუხდენია აფხაზეთის ოკუპაცია. „1918-21 წლების პერიოდი მთლიანად გაყალბებულია ამ წიგნში. ჩვენ მას სათანადო პასუხს გავცემთ“.

**სახელმძღვანელო აგრეთვე გვამცნობს,რომ 1921 წლიდან 1931 წლამდე აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო ყოფილა. ესეც ძალიან დიდი სიცრუეა, არც აფხაზეთის, არც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით, აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის სუბიექტი არ ყოფილა, არამედ საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო.**

სახელმძღვანელოში სიტყვაც კი არ არის ნათქვამი, თუ რა დათმობაზე წავიდა საქართველოს პირველი ეროვნული ხელისუფლება, როდესაც სერიოზული ცვლილებები შეიტანა აფხაზეთის კონსტიტუციაში. „1991 წელს სოხუმში დიდხანს მუშაობდა ქართულ-აფხაზური შერეული კომისია და კომპრომისული საარჩევნო კანონი შეიმუშავეს. ამ დათმობით მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილს — აფხაზებს წინასწარ მივეცით 28 ადგილი აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში და მოსახლეობის თითქმის ნახევარმა — ქართველობამ მიიღო 26 ადგილი. ამ კომპრომისის სანაცვლოდ, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ქართველი იქნებოდა, ხოლო აფხაზები ვერ დანიშნავდნენ მათთვის სასურველ მინისტრს,თუ ის ჩვენთვისაც სასურველი არ იქნებოდა.

საგულისხმოა, რომ ამ დათმობის შემდეგ, აფხაზებმა თავიანთ კონსტიტუციაში შეიტანეს ცვლილებები, სადაც საქართველოს სსრ-ს ნაცვლად ჩაწერეს საქართველოს რესპუბლიკა, რადგან 9 აპრილს დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ“.

28 ადგილის მათთვის მიცემა ძალიან დიდი დათმობა იყო. ამის შემდეგ აფხაზეთის კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ აფხაზეთის ახალი სტატუსი მას შემდეგ შევა ძალაში, რაც მას დაამტკიცებს საქართველოს პარლამენტი და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო. თავად აფხაზებმაც დათმეს. ეს იყო ქართველებისა და აფხაზების ძალზე გონივრული კომპრომისი, მაგრამ აფხაზეთის ისტორიის ახალ სახელმძღვანელოში ამაზე სიტყვასაც ვერ იპოვით. აი, ასე ყალბდება ეს ისტორია“, — დაასკვნა ჯემალ გამახარიამ.

მისი თქმით, არც აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება და არც ქართველი მეცნიერები ამას ვერ შეურიგდებიან. **უკვე შეიქმნა ქართველ მეცნიერთა ჯგუფი, რომელსაც ეს ისტორია დაყოფილი აქვს პერიოდებად, უძველესი დროიდან დღემდე და მუშაობს. ავტორების მიერ ნაშრომების წარმოდგენის შემდეგ, შენიშვნებიც გასწორდება და ეს ყველაფერი გამოიცემა. კოლექტიურ მონოგრაფიას ერქმევა „აფხაზეთი“ — ეთნოპოლიტიკური ისტორია.**

„ეს არც რეცენზია იქნება აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელოზე, არც ალტერნატიული სახელმძღვანელო, არამედ იქნება აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორია, სადაც წარმოჩინდება არა მხოლოდ ამ წიგნის სიყალბე, არამედ სეპარატისტების მიერ მომზადებულ სხვა წიგნებში გადმოცემული დიდი სიცრუეც“, — ამბობს ჯემალ გამახარია.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ ინფორმაცია

## დასავლეთ საქართველოში ელექტროენერგიის კრიზისია

**დასავლეთ საქართველოს დაახლოებით 76 ათას აბონენტს ელექტრენერგია არ მიეწოდება.**

**როგორც საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიიდან იტყობინებიან, ენერგომომარაგების შეფერხება იმერეთის და სამეგრელოს რეგიონებში მოსულმა კოკისპირულმა წვიმამ გამოიწვია.**

**წვიმის გამო გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ფილიალში ავარიულად გამოირთო მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები „ბაკისუბანი“, „სანავარდო II“ და „თერჯოლა 110“, ხოლო 10/6 კილოვოლტიან ქსელში ძაბვა არ მიეწოდება 15 ფიდერს.**

**ძლიერი წვიმების გამო, სამეგრელოს რეგიონში დაზიანებულია ელექტროგადამცემი ხაზი „ჭალადიდი“, რის გამოც ელექტროენერგია ქვესადგურ „ფოთი-2“-სა (ფოთის მომსახურების ცენტრი 11 228 აბონენტი) და ლანჩხუთის მომსახურების ცენტრს (4 195 აბონენტი) არ მიეწოდებათ.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 118. სამშაბათი, 26 ივნისი, 2007 წელი.

◉ სამართალი

# დაცვის სამივე შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, თუმცა...

## სასამართლომ გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე განსასჯელს თავისუფლების აღკვეთა პირობითი პატიმრობით შეუცვალა

**სასამართლო სისტემის არარსებობაზე და მის მიერ ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე ჩვენს ქვეყანაში მოქმედ არასამთავრობო სექტორს თუ მედიასაშუალებებს ბოლო დროს ხშირად უწევთ საუბარი... მათი დიდი ნაწილი ხმამაღლა ლაპარაკობს, რომ ამ სფეროში არ არსებობს გამჭვირვალეობა, რის გამოც ხელისუფლების მარწუხებში მომწყვდეულ სასამართლოს ობიექტური გადაწყვეტილებების გამოტანა უჭირს (!ძ.**

თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ არასამთავრობო სექტორის დახმარებით ეს მაჩვენებელი ოდნავ მაინც შეიცვალა. ამჯერად, ერთ-ერთ ასეთ ფაქტზე მოგითხრობთ.

რამდენიმე დღის წინათ, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურიდიული დახმარების ცენტრი მოქალაქე მ. პ.-ს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით საადვოკატო მომსახურებას უწევდა. მოქალაქეს ბრალი ედება ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემაში (სსს კონსტიტუციის 371[1] მუხლი,ძ. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციაში აცხადებენ, მას წინასწარი პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული. აღნიშნულ საქმეში **საია**-ს იურიდიული დახმარების ცენტრი ჩაერთო და წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ მთელი რიგი საპროცესო მოქმედებები განხორციელდა.



როგორც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ბექა კოკაია აცხადებს, ორგანიზაციამ მოქალაქის ავადმყოფობის (გონებრივი ჩამორჩენილობის მარტივი ფორმაძ შესახებ დოკუმენტები მოიპოვა, რის შემდეგაც მიმართეს როგორც სააპელაციო, ასევე უზენაეს სასამართლოებს კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნით. სასამართლო გამოძიების მიმდინარეობისას დაცვამ დააყენა სამი შუამდგომლობა. კოკაია იქვე იმასაც განმარტავს, რომ სამივე შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

— სწორედ ამ მოქმედებების შედეგად სახელმწიფო ბრალდებამ მოითხოვა განესაზღვრათ მისთვის პირობით გამოსაცდელი ვადა სამი წლით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით კი დაკისრებოდა 2 000 ლარის ჯარიმის გადახდა. დაცვის მხარე არ დაეთანხმა მოთხოვნას, როგორც ძირითადი სასჯელის ასევე დამატებითი სასჯელის ნაწილში და მოითხოვა პირობით გამოსაცდელი ვადის შემცირება და დამატებითი სასჯელის არდაკისრება. სასამართლომ მ.პ.-ს წელიწადნახევარი პირობით გამოსაცდელი ვადა განუსაზღვრა და იგი სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით სრულიად უსამართლოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დააკისრა ჯარიმის — 800 ლარის გადახდა. მოცემული განაჩენი ჯარიმის ნაწილში დაცვის მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. — აცხადებს ბექა კოკაია.

ზოგადად, ქართული სასამართლო სისტემის ობიექტურობასა და მის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარეს ქალბატონ ნანა კაკაბაძეს ვესაუბრეთ:

„ქვეყანაში ძალიან განუკითხავი სისტემა ჩამოყალიბდა, სადაც კანონი არ კანონობს და სასამართლო საერთოდ არ არსებობს. არანაირი დამცავი მექანიზმი ჩვენს ქვეყანაში არ მუშაობს. ძალიან მძიმე ვითარებაა შექმნილი. დემოკრატიული ლოზუნგებით მოსული ხელისუფლება, დღე და ღამ გვიკიჟინებს, წინა ხელისუფლება სწორედ იმიტომ დავამხეთ, რომ ის არადემოკრატიული ნაბიჯებს დგამდაო. რეალურად რა მივიღეთ, გვაქვს ბარბაროსული და საბჭოური კანონმდებლობა და უფრო უარესი დიქტატორული რეჟიმი... ციხეებში აუტანელი ვითარებაა, რასაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ეწირება. დამოუკიდებელი მეთვალყურე ციხეში შესვლას ვერ ახერხებს, პატიმრები იმდენად დაშინებულნი არიან, რომ რეალურ ვითარებაზე ვერ ლაპარაკობენ. რეალური ვითარება რომ აღწერონ, ისინი გაცილებით უარეს დღეში აღმოჩნდებიან. ამიტომაც, მათი დიდი ნაწილი დუმილს ამჯობინებს. სამწუხაროა, რომ, რაც უნდა მოხდეს ციხეში, ბაჩო ახალაიას და პენიტენციური სისტემის ნებისმიერი ხელმძღვანელის დასჯა არასოდეს ხდება. პატიმრებზე განხორციელებული ზეწოლების შემდეგ, ნებისმიერი პასუხის მიღება შეუძლებელი ხდება... წინა ხელისუფლების დროს მაინც ხდებოდა ციხის მაღალჩინოსნების დასჯა-გათავისუფლება. ასე თუ ისე, ცვლიდნენ ციხისა და დეპარტამენტის უფროსებს. შარშან კი ასეთი მასშტაბის ბუნტი მოხდა ორთაჭალის ციხეში, ამდენი ხალხი ჩახოცეს, მაგრამ არავინ დაუსჯიათ“ — ამბობს ნანა კაკაბაძე.

**ილია მარტყოფლიშვილი**

**ჩვენ**

● მოსახლეობაში გაჩნდა ინტერესი ტურიზმის სფეროში დასაქმებისა, ამიტომ მნიშვნელოვანი და სასურველია, ვაშლოვანში ამ მხრივ მიმდინარე პროცესის პარალელურად, დროულად დაიგეგმოს და განვითარდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ რაიონის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების გეგმა



**ტურიზმი**

*ისტორიულ ქიზიყში, დედოფლისწყაროს რაიონში, საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთში არის უნიკალური ადგილი, რომელსაც ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები ჰქვია. კახეთის ორ მთავარ მდინარეს, ორ მთავარ სასიცოცხლო წყაროს — იორსა და ალაზანს შორის მოქცეული დაცული ტერიტორიები მოიცავს ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალს (10142 ჰექტარი), ვაშლოვანის ეროვნულ პარკს (25 114 ჰა) და ბუნების ძეგლებს: ალაზნის ჭალა (204 ჰა), არწივის ხეობა (100 ჰა) და ტახტი-თეფა (9.7 ჰა). ამათგან თავისებურად გამორჩეულია არაორგანული ბუნების ძეგლი ტახტი-თეფა. იგი დალის მთის მახლობლად მდებარეობს და განსხვავებულია ყველა ფრისგან, რისი ნახვაც კი საქართველოში შეიძლება. ამ ტალახოვანი ვულკანის მნახველს ისეთი შეგრძნება ეუფლება, რომ არათუ სხვა ქვეყანაში, არამედ სხვა პლანეტაზე მოხვდა. ვულკანი მოთეთრო, ბრტყელთხემიანი ბორცვია, რომელიც გამუდმებით ფეთქავს და თუხთუხებს და კრატერიდან მუდმივად ინთხევა და ჟონავს სამკურნალო თვისებების მქონე ტალახი.*

*მოგვითხრობს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების დირექტორი პაატა ხუმარაშვილი:*

# მობრძანდით ჯინთა სამეფოში

„ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებს, აქ არსებულ ლაბირინთებად ჩახვეულ ხეობებს ევროპაში ანალოგი არ გააჩნია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ლანდშაფტური მრავალფეროვნება. ამ პატარა ტერიტორიაზე ერთმანეთს ენაცვლება არეულების, ჭალის ტყის, არიდული ნათელი ტყის, სტეპის და ფართოფოთლოვანი ტყის ლანდშაფტები. აქ თქვენ შეხვდებით მრავალ იშვიათ და ენდემურ მცენარეს, როგორიცაა შავი ღვია, საკმლის ხე, ქართული ზამბახი, ეიხლერის ტიტა, ჯადვარი, კახეთის მაჩიტა და სხვა. დიდ ინტერესს იწვევს მისი ფაუნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯიქი, მგელი, დათვი, ფოცხვერი; ფრინველებიდან: სვავი, ორბი, კოლხური ხოხობი, ბექობის არწივი და სხვა.

ვაშლოვანის ეროვნული პარკის ერთ-ერთ მთავარ საქმიანობა ეკოტურიზმია, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ინტერესების მქონე ვიზიტორების მასპინძლობას ბუნებრივ ველურ გარემოში. ამ მიზნით მსოფლიო ბანკის და გარემოს გლობალური ფონდის ფინანსური მხარდაჭერით — „საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში“, 2003 წლიდან ეტაპობრივად ხორციელდება ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების რეკრეაციული პოტენციალის განვითარება. ვაშლოვანის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ბუნებრივ გარემოში დაიგეგმა სახვადასხვა ტიპის ტურისტული მარშრუტები: საფეხმავლო, საცხენოსნო, სანაოსნო, სამანქანო, ფრინველთა დათვალიერების და სხვ. თითოეული მათგანი განსაკუთრებული და მიმზიდველია, მათი შინაარსი და მარშრუტზე მომსახურების პირობები განთავსებულია სპეციალურ ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული ადამიანისთვის. პირველ ეტაპზე, ველზე მოეწყო მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურა — ბილიკები, საპიკნიკე ადგილები, სანკვანძები, გადასახედები; ქ. დედოფლისწყაროში აშენდა ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრი, რომელიც ინტეგრირებულია ვაშლოვანის ადმინისტრაციულ შენობასთან, მოეწყო 7 ოჯახური სასტუმრო 56 კაცზე და ამით საფუძველი ჩაეყარა ქ. დედოფლისყაროში მცირე სასტუმრო ქსელის ჩამოყალიბებას, აშენდა ორი მცირე საინფორმაციო ცენტრი — „არწივის ხეობა“ და „ხორნაბუჯი“. გამოიცა ქართულ-ინგლისური ტურისტული გზამკვლევი (1000ც), რიფლეტი (2000ცალი). მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში გამოიცა ტურისტებისთვის ადგილობრივი მოსახლეობის წეს-ჩვეულებებისა და მათთან ურთიერთობის შესახებ სამენოვანი სახელმძღვანელო ცნობარი — „კახეთი“ (ვაშლოვანისა და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები), გაზეთი „ხორნაბუჯი“, ორენოვანი ბუკლეტი „არწივის ხეობის“ ბუნების ძეგლის შესახებ და სხვა.

პროექტის ფარგლებში რაიონში დაფინანსდა და ჩამოყალიბდა ტურიზმთან დაკავშირებული მცირე ბიზნესი — ტრადიციული ხელსაქმე (ქიზიყური ფარდაგები, ხალიჩები), მეკამეჩეობა (მაწონი, სულგუნი, უბრალო ყველი), დოლის პური (ძირძველი დოლის შოთები), ქართული ფუტკარი (ნატურალური მაისის თაფლი, ფიჭა, სანთელი), შავი ქლიავი (ტრადიციული ჩირი). ვაშლოვანის ადმინისტრაციის დახმარებით შეიქმნა კერძო სამეგზურო სამსახური, რომელიც ვიზიტორებს საგამყოლო მომსახურებას უწევს.

ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ამჟამად მიმდინარეობს ძირითადი ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა — ვიზიტორთა 17 თავშესაფარი (საძინებელი, სანკვანძი, სასადილო-ბუხრით), საპიკნიკეები, საკარვე ადგილები, ნავმისადგომები, მოწყობილი საფეხმავლო და საცხენოსნო ბილიკები, გადასახედები, საორიენტაციო და საინტერპრეტაციო საინფორმაციო დაფები, შესასვლელები, გზის მაჩვენებლები, ცხენების თავლები, ავტო-სადგომები, სანკვანძები. ჩამოყალიბების სტადიაშია ადეკვატური საკომუნიკაციო ქსელი, პარალელურად ფართოვდება სხვადასხვა მარშრუტის ქსელი, ვითარდება ტურისტულ სააგენტოებთან თანამშრომლობა, საფუძველი ეყრება საკონფესიო ურთიერთობებს. უმაღლესი სტანდარტით ეწყობა ვაშლოვანის ადმინისტრაციულ შენობასთან არსებული საინფორმაციო ცენტრი, რომელიც ვაშლოვანის ტურისტული ინდუსტრიის მართვის ცენტრის როლს შეასრულებს. 2007 წლის მანძილზე, სავარაუდოდ, დაგეგმილია 3000 ვიზიტორის მიღება.



მოსახლეობაში გაჩნდა ინტერესი ტურიზმის სფეროში დასაქმებისა, ამიტომ მნიშვნელოვანი და სასურველია, ვაშლოვანში ამ მხრივ მიმდინარე პროცესის პარალელურად, დროულად დაიგეგმოს და განვითარდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ რაიონის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების გეგმა, რომელსაც ვაშლოვანთან და მეზობელ სიღნაღთან ერთად, დიდი პერსპექტივა აქვს.

ტურიზმის განვითარებით ვაშლოვანში, ასევე მთელ რაიონში, ხელი შეეწყობა, როგორც გარემოსდაცვითი პრობლემების, ასევე მძიმე სოციალური და დემოგრაფიული საკითხების მოგვარებას, ტრადიციული აგრო-ბიზნესის, სხვადასხვა მომსახურებისა და მცირე ტრადიციული მრეწველობის განვითარებას, სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობის გამრავალფეროვნებასა და გაძლიერებას“.

ჩაიწერა
**ნანა ჭიჭინაძემ,**
„სრ. საკ. კორ.

**სამეგრელო**

# სოციალური დახმარება მთავარი საზრუნავია



***ცნობილია, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტებში შექმნილია და ფუნქციონირებს სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს განყოფილებები. ამჯერად ჩვენი თხოვნით თავიანთი საქმიანობის შესახებ გვესაუბრება აღნიშნული სააგენტოს სენაკის მუნიციპალიტეტის განყოფილების უფროსი ირმა მურღულია:***

**— ქალბატონო ირმა, როდის და ვისი განკარგულებით ჩამოყალიბდა სოციალური დახმარების და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს სენაკის მუნიციპალიტეტის განყოფილება?**

— სენაკის მუნიციპალური განყოფილება 2005 წლის იანვრიდან მოქმედებს. განყოფილების 11 თანამშრომელი მაღალკვალიფიციური მთავარი სპეციალისტებისა და სოციალური აგენტებისგან შედგება, რომლებიც თავდაპირველად შერჩეულნი არიან ტესტირების გზით. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, პერიოდულად უტარებენ ტრენინგებს და შემდეგ შესაბამის ტესტირებასაც, რომელიც ახლახან, 2007 წლის მაისში ყველამ წარმატებით გაიარა, რაც დასტურია იმისა, რომ მათი ცოდნა, სამუშაოს სპეციფიკასთან მიმართებაში, მაღალია.

**— თქვენი განყოფილების შექმნის დღიდან რამდენი ოჯახის განაცხადია დღემდე რეგისტრირებული და რამდენია ამ დახმარების ოდენობა? პრაქტიკულად, რამდენი ოჯახი იღებს ფულად დახმარებას?**

— სენაკის მუნიციპალური სააგენტოს შექმნის დღიდან სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზაში რეგისტრირებულია 8350 ოჯახი, აქედან კი დაბალი სარეიტინგო ქულა — 52000-ზე ნაკლები აქვს 2500 ოჯახს, მათ შორის თანხის მიმღებია 1300 ოჯახი, 850-მა დევნილმა ოჯახმა უარი განაცხადა ამ დახმარების მიღებაზე, რის გამოც დროებით შეუჩერდათ შემწეობის დანიშვნა, ხოლო დანარჩენ — 350 ოჯახს შეჩერებული აქვს შემწეობის გაცემა სხვადასხვა მიზეზის (დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის და ა. შ.) გამო, რაც გამოვლენილ იქნა სოციალური აგენტის მიერ.

**— სოციალურ დახმარებაში შედის სამედიცინო დახმარებაც, რას გულისხმობს სამედიცინო ბარათი?**

— ოჯახები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არიან რეგისტრირებულნი და შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით მინიჭებული აქვთ 70000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა, სარგებლობენ სამედიცინო დაზღვევით, თითოეულ ბენეფიციარზე გაცემულია სამედიცინო დახმარების პლასტიკური ბარათი.

**— განყოფილების მეშვეობით ხდება თუ არა უმუშევართა დასაქმება, პრაქტიკულად რა კეთდება ამ მიმართულებით?**

— საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა „სამუშაო ადგილებზე პროფესიული მომზადების“ სახელმწიფო პროგრამა, რომლის განხორციელებაც ნებისმიერ მოქალაქეს საშუალებას აძლევდა აემაღლებინა კვალიფიკაცია და დაუფლებოდა ახალ პროფესიას.

პროგრამის ძირითადი ამოცანაა პროფესიული მომზადების მაძიებელი მოქალაქის დაკავშირება მეწარმე სუბიექტთან, რომელიც სამითვის განმავლობაში ასაქმებდა მოქალაქეს და ამით ხელს უწყობდა მისი კვალიფიკაციის ამაღლებას. პროგრამის მონაწილე სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი იყო სტიპენდიით — 150 ლარის ოდენობით, პროგრამის პირველი ეტაპი განხორციელდა 2006 წლის 1 ოქტომბრიდან — 2007 წლის 1 იანვრამდე...

ჩვენი განყოფილების ახალგაზრდა კოლექტივის მიზანია, უყურადღებოდ არ დაგვრჩეს არც ერთი ოჯახი, ვინც მოგვმართავს დახმარებისათვის...

ესაუბრა
**იოსებ გობეჩია,**
„სრ“ საკ. კორ.

№ 118. სამშაბათი, 26 ივნისი, 2007 წელი.

● სააკაშვილის ბრძანებით შეწყდა 2000 წლის დეკემბერში ხელმოწერილი რუსეთ-საქართველოს სამთავრობათშორისო შეთანხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის რეაბილიტაციისა და ლტოლვილების დაბრუნების საქმეში ურთიერთმოქმედების შესახებ



◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილმა მოსკოვი „ფორმატიდან“ ამოაგდო

**დახმარება, რომელსაც რუსეთი უკვე მრავალი წელია უწევს სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას ამ თვითაღიარებული რესპუბლიკის ეკონომიკის აღდგენაში, კანონგარეშედ გამოცხადდა. სააკაშვილის ბრძანებით შეწყდა 2000 წლის დეკემბერში ხელმოწერილი რუსეთ-საქართველოს სამთავრობათშორისო შეთანხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის რეაბილიტაციისა და ლტოლვილების დაბრუნების საქმეში ურთიერთმოქმედების შესახებ.**

ნებისმიერი სამთავრობათშორისო შეთანხმების გაწყვეტა, რა თქმა უნდა, რიგითი მოვლენა არ არის. მაგრამ ამ შემთხვევაში, სააკაშვილის გადაწყვეტილება, ალბათ, სენსაციად არ უნდა მივიჩნიოთ – თბილისი უკვე კარგა ხანია გამოთქვამს პრეტენზიებს რუსეთის მხარის მიმართ და პერიოდულად აფრთხილებს მას, რომ გადასინჯავს არსებულ ფორმატს, თუ მოსკოვი „არ შეწყვეტს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ცალმხრივი, თბილისთან შეუთანხმებელი მოქმედების პრაქტიკას“.

სწორედ ასეთი ფორმულირება ჭარბობდა ქართული მხარის პოზიციაში აპრილში თბილისში გამართული მოლაპარაკების დროს, რომელზეც რუსეთის სამთავრობათშორისო ჯგუფს ხელმძღვანელობდა რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის თანაშემწე გენადი ბუკაევი. იმ მოლაპარაკების შედეგების მიხედვით კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ხაზგასმული იყო, რომ „რუსეთის მიერ ცხინვალის რეგიონში ცალმხრივად, საქართველოს ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად განხორციელებული ეკონომიკური პროექტები კატეგორიულად მიუღებელია, რადგან ეს არ თავსდება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ნორმებში“ და არის „ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმის პირდაპირი დაფინანსება“. კერძოდ, ქართულმა მხარემ გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ რუსეთი არალეგალურად, თბილისთან შეუთანხმებლად ახორციელებს ელექტროენერგიის ექსპორტს სამხრეთ ოსეთში და აშენებს გაზსადენს ჩრდილოეთ ოსეთიდან ცხინვალის მიმართულებით. ამასთან, თბილისში ძირითადი ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ სამხრეთ ოსეთის მთავრობისათვის რუსეთის მიერ გაწეულ ფინანსურ დახმარებას, ეუთოს დონორთა პროგრამისგან განსხვავებით, მინიმალური გამჭვირვალეობაც კი არ აქვს – მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება ითქვას, თუ სად მიდის და რას ხმარდება რუსეთიდან შემოსული მილიონები.

პრინციპში, ამ შეთანხმებასთან დაკავშირებით თითქმის ყველაფერი წინასწარ იყო ცნობილი. როგორც არასამთავრობო „თანასწორობის ინსტიტუტის“ წამყვანმა ექსპერტმა გიორგი ხაინდრავამ თქვა, საქმე ის არის, რომ 2000 წელს ხელმოწერილი შეთანხმება, არსებითად, ფუჭი დეკლარაციაა, რადგან მასში არ იყო დაფიქსირებული მთავარი – ურთიერთმოქმედების კარგად გაწერილი მექანიზმები. „ეს შეთანხმება ვერ მუშაობდა და ვერც იმუშავებდა. ყოველი მხარე მოქმედებდა ისე, როგორც მას საჭიროდ მიაჩნდა. ასეთ პირობებში ამ ფორმატიდან საქართველოდან გამოსვლა ბევრს არაფერს შეცვლის: რეალური ურთიერთმოქმედებისთვის საჭიროა ქართული და რუსული მხარეების თანხმობა, ასეთი რამ კი სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით არც ყოფილა და არც იქნება“, – თქვა გიორგი ხაინდრავამ, რომელსაც ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ეკავა კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პოსტი და უშუალოდ მუშაობდა ამ პრობლემატიკაზე.

როგორც გაირკვა, რუსეთ-საქართველოს შეთანხმებიდან თბილისის გამოსვლა ახალი ამბავი არ ყოფილა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურში გვითხრეს, რომ შესაბამის ბრძანებულებას პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხელი მოაწერა არა ახლა, არამედ ჯერ კიდევ 20 აპრილს, ანუ მანამ, სანამ გაიმართებოდა მოლაპარაკება ბუკაევის ჯგუფთან, რომელზეც რუსეთის დელეგაცია რატომღაც მხოლოდ კიდევ ერთხელ „გააფრთხილეს“. „უკვე მეორე დღეს შეეძლო ნებისმიერ მსურველს გაცნობოდა ამ დოკუმენტს ჩვენი სამინისტროს საიტის „საკანონმდებლო მაცნეში“. სწორედ ამ დღიდან ამოქმედდა კიდეც იგი. თუმცა გაუგებარია, თუ რატომ გამოიჩინეს მხოლოდ ახლა ყურადღება აპრილის ბრძანებულებისადმი“, – გვითხრა იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის თანამშრომელმა.

გაუგებარია ისიც, რომ თბილისში რუსეთის ფედერაციის საელჩოში პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებულების შესახებ შეიტყვეს მხოლოდ ადგილობრივი პრესის პუბლიკაციებიდან. არადა, აპრილის დოკუმენტში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევალებოდა, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების თაობაზე მიეწოდებინა ინფორმაცია რუსეთის მხარისთვის. თუმცა, არ იყო დაკონკრეტებული, თუ როდის უნდა გაეკეთებინა ეს საგარეო-პოლიტიკურ უწყებას.

თუ ქართულ პრესას ვერწმუნებით, ეს უნდა იყოს თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის დისკრედიტაციისათვის გამიზნული გეგმის ნაწილი. უფრო მეტიც, თბილისის გაზეთი „რეზონანსი“, რომელსაც მოჰყავს პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ამ ცოტა ხნის წინათ გამოთქმული სიტყვები, რომ სულ რამდენიმე თვეში გადაიჭრება სამხრეთ ოსეთის პრობლემა, ამტკიცებს, რომ მოსკოვმა გადაწყვიტა შეაქციოს ზურგი კოკოითს და რუსეთიდან ცხინვალში შესული ფინანსური სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა უკვე დაიწყო რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ. გაზეთი წერს, რომ სანკტ-პეტერბურგში სააკაშვილისა და პუტინის შეხვედრის შემდეგ გაჩნდა რაღაც ერთობლივი ქართულ-რუსული გეგმა, რომელიც ცხინვალში „ხავერდოვან გადატრიალებას“ ისახავს მიზნად. ეს პროცესი, წერს „რეზონანსი“, უკვე დაიწყო – გადადგა სამხრეთ ოსეთის მთავრობის ხელმძღვანელი იური მოროზოვი, თუმცა ამის შესახებ ჯერჯერობით არაფერს იტყობინებიან. გაზეთის ვერსიით, მოროზოვს შეცვლის სამხრეთ ოსეთის პროქართული დროებითი ადმინისტრაციის მეთაურის დიმიტრი სანაკოევის ერთ-ერთი უახლოესი თანამოსაგრე, რომლის ვინაობასაც ჯერჯერობით არ ამხელენ. მაგრამ უკვე აგვისტოს დამლევამდე, აღნიშნავს „რეზონანსი“, კოკოითი აღარ იქნება პრეზიდენტი და ცხინვალში მთელი ხელისუფლება დაექვემდებარება სწორედ ამ ახალ მთავრობის თავმჯდომარეს.

ცხინვალში ყველა ამ ვარიანტს, მხოლოდ ბოდვად მიიჩნევენ. მაგრამ სამხრეთ ოსეთის მხარის მიერ გამოთქმული შეფასებების მიუხედავად, ბრიუსელში, სადაც 26 ივნისს გაიმართება საქართველო ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის მეცხრე სხდომა, სწორედ დიმიტრი სანაკოევი გამოვა და ილაპარაკებს ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოწესრიგების გზებზე. ვიზიტი სამ დღეს გასტანს და ჩვენს ხელთარსებული ინფორმაციით, სანაკოევს მიიღებენ ევროკავშირის თვალსაჩინო მოხელეები. ამ ფონზე აღსანიშნავია, რომ ედუარდ კოკოითის ოფიციალური საერთაშორისო მოგზაურობები მხოლოდ სხვა თვითაღიარებული რესპუბლიკებით და მოსკოვით თუ შემოიფარგლებოდა.

**სხვათა შორის, მოსკოვში ძალზე ოპერატიულად რეაგირებენ ხოლმე ყოველივე იმაზე, რაც ეხება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ თვითაღიარებულ რესპუბლიკებს, მაგრამ ამჯერად არანაირი კომენტარი არ მოჰყოლია არც 2000 წლის შეთანხმებიდან საქართველოს ოფიციალურ გამოსვლას, არც პუტინ-სააკაშვილს შორის რაიმე არაოფიციალური მორიგებების მიღწევას და არც პროქართულად განწყობილი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის გასვლას საერთაშორისო დონეზე.**

**ანატოლი გორდიენკო**

НЕЗАВИСИМАЯ газета

# თვითაღიარებულები პუტინს წერილით მიმართავენ

**სოხუმში 26 ივნისს გაიმართება „დემოკრატიისა და ხალხთა უფლებებისათვის“ გაერთიანების საპარლამენტაშორისო ასამბლეის საბჭოს სხდომა, რომლის წევრები არიან აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, დნესტრისპირეთის თვითაღიარებული რესპუბლიკები. საბჭო მიიღებს მიმართვას რუსეთისადმი და მოითხოვს სამხრეთ ოსეთის დაცვას საქართველოს მხრიდან შესაძლო ძალისმიერი ზემოქმედებისგან, ასევე დნესტრისპირეთის დაცვას მოლდავეთის მხრიდან ეკონომიკური ბლოკადის მეორე ტალღისგან, რომელიც 1 ივლისისთვის არის მოსალოდნელი.**

თვითაღიარებულ სახელმწიფოთა პარლამენტარების შეშფოთება გამოიწვია სამხრეთ ოსეთის და დნესტრისპირეთის ირგვლივ შექმნილმა ვითარებამ. „დემოკრატიისა და ხალხთა უფლებებისათვის“ გაერთიანების საპარლამენტთაშორისო ასამბლეის გენერალურმა მდივანმა გრიგოლ მარაკუცამ განაცხადა: „ჩვენი ასამბლეის ერთ-ერთი ამოცანაა მივადევნოთ თვალყური მასში შემავალ რესპუბლიკებში შექმნილ სიტუაციას და მოვახდინოთ დროული რეაგირება. ეს რესპუბლიკები მარტო არ უნდა დარჩნენ დაპირისპირებულ მხარეებთან. ჩვენ განვიხილავთ სამხრეთ ოსეთის ირგვლივ შექმნილ ვითარებას. იქ არსებულ სიტუაციას საგანგებო შეიძლება ვუწოდოთ. ქართული მხარის მოქმედების გამო, როგორც ცნობილია, ცხინვალის რეგიონს არ ჰყოფნის სასმელი წყალი, ვითარება სულ უფრო მწვავდება, ყველაფერი მიანიშნებს იმას, რომ თბილისმა შესაძლოა გამოიყენოს ძალა სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ. ვაპირებთ ამის თაობაზე შესაბამისი განცხადებით მივმართოთ გაეროს, სხვა საერთაშორისო სტრუქტურებს, რუსეთის ხელმძღვანელობას და მოვითხოვოთ ჩვენი დაცვა.

როგორც მარაკუცამ თქვა, სხდომაზე განსახილველ საკითხთა შორის ერთ-ერთი მთვარი იქნება ის, რომ საქართველომ დაარღვია რუსეთის ფედერაციასთან 2000 წელს ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს ურთიერთმოქმედებას რუსულ-ქართული ურთიერთობის ზონაში ეკონომიკის აღდგენისა და ლტოლვილების დაბრუნების საკითხებში. პარლამენტარები ასევე განიხილავენ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის დროებითი ადმინისტრაციის მეთაურის დიმიტრი სანაკოევის ბრიუსელში ვიზიტის პერსპექტივებს. დაგეგმილია, რომ სანაკოევი გამოვა საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის სხდომაზე. ცხინვალში ვარაუდობენ, რომ ყოველივე ამის ლოგიკური გაგრძელება შეიძლება გახდეს ის, რომ სამხრეთ ოსეთს ძალის გამოყენების მუქარით მოახვიონ თავს ახალი სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში. მარაკუცას თქმით, ასამბლეა აპირებს სთხოვოს რუსეთის ხელმძღვანელობას სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების უფლებების დაცვა.

ამასთან დაკავშირებით სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა სპეციალური განცხადება, რომელშიც თბილისში მიღებულ ზომებს უწოდა მორიგი მტრული ნაბიჯი და აღნიშნა, რომ საქართველოს არ ძალუძს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.

როგორც მარაკუცამ შენიშნა, დნესტრისპირეთზეც ცდილობენ ზემოქმედებას. კიშინიოვი იმუქრება, რომ 1 ივლისიდან შემოიღებს ახალ ეკონომიკურ სანქციებს ამ რეგიონების მიმართ. თუ აქამდე მოლდავეთის საბაჟო ორგანოების წნეხის ქვეშ ხვდებოდა მხოლოდ დნესტრისპირეთიდან გასული საექსპორტო ნაკადი, ახლა შესაძლოა იმპორტიც ჩაიკეტოს. ერთი კვირის შემდეგ საზღვარგარეთიდან რეგიონში გაგზავნილ მთელ ნედლეულს აღარ გაატარებენ უკრაინის საზღვარზე, თუ არ იქნება ამაზე მოლდავეთის მხარის თანხმობა. **არადა, დნესტრისპირეთს გარესამყაროსთან დამაკავშირებელი სხვა დერეფანი არა აქვს. თუ ვლადიმერ პუტინთან პარასკევს გამართული შეხვედრის შემდეგ ვლადიმერ ვორონინი არ იტყვის უარს ამ რეგიონის წინააღმდეგ მორიგი სანქციის შემოღებაზე, დნესტრისპირეთის 600 ათას მცხოვრებს შიმშილობა დაემუქრება.**

**სვეტლანა გამოვა**

НЕЗАВИСИМАЯ газета

№ 118. სამშაბათი, 26 ივნისი, 2007 წელი.

# რას გვჭირს

**თუ საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი ჩვენი წერილით დაინტერესდება და მას თუნდაც ინფორმაციის წყაროდ ჩათვლის, მზად ვართ, მისი მიწვევა მივიღოთ, აგრარულ კომიტეტში მივიდეთ, მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხი გავცეთ, ხელისუფლების ოპონენტობა გავწიოთ**



**◉ სათქმელი უნდა ითქვას!**

# რატომ და ვინ ჩაშალა აჭარაში მიწის რეფორმა?

**(მეექვსე გვერდიდან)**

რეალობას რატომღაც აჭარის უმაღლესი საბჭო და მთავრობა არ აღიარებს. არც არაფერს აკეთებს ამ პროცესის კანონის ფარგლებში მოსაქცევად. ყოველივე ეს ცენტრალურმა ხელისუფლებამ არც მოიკითხა, რადგან მას სულ სხვა რამ აინტერესებს, რაზეც შესავალშივე ვთქვით: ეს ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონების ზღვისპირეთით დაინტერესება გახლავთ.

აჭარაში მიწის რეფორმის ჩაშლის ძირითადი მიზეზი ისიც არის, რომ აჭარის უმაღლესმა საბჭომ, მისმა თავმჯდომარემ, ბატონმა მიხეილ მახარაძემ, შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარემ ბატონმა ზურაბ მიქელაძემ, რატომღაც, ანგარიში არ გაუწიეს იმას, რომ უწინარესად სწორედ მათ უნდა გაეკონტროლებინათ საქართველოს კანონმდებლობის და, მით უფრო, მათივე საინიციატივო წესით მიღებული კანონის შესრულება, „სასოფლო-სამეურნეო მიწების საკუთრების შესახებ", საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 26 ნოემბრის დადგენილების აჭარაში მიწის რეფორმის მიმდინარეობა.

თავის მხრივ, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, ბატონმა ლევან ვარშალომიძემ, რომელიც აჭარაში მიწის რეფორმის საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარეა, დაუშვა იმის ფაქტი, რომ მთავრობის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტში, აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიწის მართვის სამსახურის მუშაკთა მონაწილეობით, ყველაფერი გააკეთდა საიმისოდ, , რათა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის რევიზია გაეწიათ და საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 26 ნოემბრის დადგენილებისთვის თავისი ინტერპრეტაცია მიეცათ. სათანადოდ არ შეფასებულა დაინტერესებული გარკვეული ჯგუფის მაპროვოცირებელი ნაბიჯები, კანონის დამახინჯების ფაქტები.

აჭარის მიწის მართვის სამსახურის ხელმძღვანელობამ, თავის მხრივ, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მიწის რეფორმა კანონის მიხედვით არ განხორციელებულიყო, რომ მიწა უწინარესად მისცემოდათ არა 1992 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ კომლებს, არამედ ჯერ იზრუნეს იმისათვის, რომ მიწა 2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ კომლებს მიეღოთ. შემდეგ კი იგი 2004 წლის 26 ნოემბრამდე წარმოშობილი კომლებით ჩაანაცვლეს, რომელშიც საქართველოს პარლამენტის მიერ „სასოფლო-სამეურნეო მიწების საკუთრების შესახებ" კანონში ცვლილების თაობაზე დადგენილების მიღების თარიღს დაამთხვიეს, რასაც რეალობასთან, მოქმედ კანონმდებლობასთან არაფერი ჰქონდა საერთო.

აჭარის ხელისუფლებაში მომუშავე მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები ყოველნაირად შეეცადნენ, რომ ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონებში მიწები მიეღო არა ასობით სოფლად მცხოვრებ უმიწო, მცირემიწიან კომლს, არამედ იმ კატეგორიის ოჯახებსაც, რომელთაც კანონი არ ითვალისწინებდა, ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ადრე დაშვებული უკანონობა, მიწების ყიდვა-გაყიდვის ფაქტები დაეკანონებინათ. ეს მარტო ოჯახების წარმოშობის ვადის გადაწევით არ ამოიწურებოდა. ბოლო წლებში ყოფილი სახელმწიფო მეურნეობების ტერიტორიებზე მიწების დაპატრონება და საცხოვრებელი სახლების უკანონო მშენებლობები პრინციპული რეაგირების გარეშე რჩებოდა, ეს ტენდენცია ახალი ხელისუფლების დროსაც გაგრძელდა. ცენტრალურმა ხელისუფლებამ კი, ახლა უკვე გასაგები მიზეზების გამო, ამ პროცესს სათანადო შეფასება არ მისცა.

ნაცვლად იმისა, რომ აჭარის მთავრობის აპარატის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტში თავმოყრილი დიდძალი ფაქტობრივი მასალა, რომელიც 2005 წლის მანძილზე მუშაობით შედგა, აჭარაში მიწის რეფორმის კანონიერი ჩატარებისთვის, ადგილებზე შექმნილი ვითარების ანალიზისა და შეცდომათა გამოსწორებისთვის გამოყენებულიყო, ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის გამოისობით, სანაგვეზე აღმოჩნდა. მიგვაჩნია, რომ ეს ფაქტი ახლა მაინც უნდა იყოს შესწავლილი და სათანადოდ შეფასებული.

იმ ადამიანებმა, რომლებმაც 1992 წლის 1 იანვრის შემდეგ წარმოშობილი კომლებისა და უკანონოდ წარმოშობილი კომლებისთვის მიწის უკანონოდ, უსასყიდლოდ გადაცემა სცადეს, თავიდანვე ვერ გაითვალისწინეს, რომ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 6 თებერვლის №128 დადგენილება, რომელიც დღესაც ძალაშია და რომელშიც ნათქვამია, რომ „1992 წლის 1 იანვრის შემდგომ გაყრის შედეგად წარმოშობილი ახალი კომლები დაკმაყოფილდნენ ამ მიზნით სარეზერვო ფონდის შექმნის შემდეგ", მიწით ყველა იმ კომლის დაკმაყოფილებას ითვალსიწინებდა, ვისაც სოფელთან კავშირი ჰქონდა. მთავარი იყო, პირველ რიგში, სწორედ 1992 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი კომლები დაკმაყოფილებულიყვნენ, ხოლო ამის შემდეგ სხვა კატეგორიის კომლების დაკმაყოფილებისთვის დაიწყებოდა მუშაობა. ზოგიერთმა სულსწრაფმა და წინდაუხედავმა სახელმწიფო მოხელემ ეს არ გაითვალისწინა.

ახლა აჭარაში მოღვაწე ბევრი ხელმძღვანელი ცდილობს, რომ ფაქტობრივად გადანაწილებული და უკანონოდ დაპატრონებული სასოფლო-სამეურნეო მიწები პრივატიზაციის შესახებ კანონის მეშვეობით „დაარეგულიროს" და ადრე დაშვებული უკანონობა ამ გზით დააკანონოს, მიწები გაყიდოს, მათ შორის უკანონო მფლობელებსაც მიჰყიდოს. მაგრამ ეს საკითხის „მოგვარების" არასწორი გზა გახლავთ, რომელსაც დაზარალებული მოსახლეობა ურეაგირებოდ არ დატოვებს.

როცა აჭარაში მიწის რეფორმა ფაქტობრივად ჩაიშალა, დღის წესრიგში დადგა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების პრივატიზაციის კანონის ამოქმედების საკითხი. საქართველოს კანონი კი აჭარაში სასოფლო-სამეურნეო მიწების სარეფორმოდ გათვალისწინებული მიწების პრივატიზაციას არ ითვალისწინებს, ამიტომ აჭარის ხელისუფლება სერიოზული წინააღმდეგობის წინაშე აღმოჩნდება.

ხელისუფლება ვალდებულია, შეფასდეს მომხდარი. პასუხი მოსთხოვოს მათ, ვინც ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აქტის შესრულებას ხელი შეუშალა და კანონზე ორიენტირებული მოსახლეობა, ოჯახები, სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის უსასყიდლოდ მიღებას რომ ელოდებოდნენ, დააზარალა. ასეთი ათასობით ოჯახია. ამიტომ კანონის დამრღვევ სახელმწიფო მოხელეებს პასუხი უნდა მოეთხოვოთ და სამართლიანობა უნდა აღდგეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ამას ისეთი შედეგები მოჰყვეს, რომელთა გასწორება შემდგომ ძნელი იქნება.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს იმაში ვხედავთ, რომ საქართველოს პარლამენტმა კიდევ ერთხელ უნდა გააგრძელოს აჭარაში მიწის რეფორმის ვადა, შეფასება მიეცეს მომხდარ თავგასულობას, აჭარაში მიწის რეფორმის ჩატარების პროცესში ჩართული იყოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლობა. ყველამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ სოფლად მცხოვრები ათასობით ოჯახი უმიწოდ არ უნდა დარჩეს. აუცილებელია შესრულდეს „სასოფლო-სამეურნეო მიწების საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონის უპირველესი მოთხოვნა, რომ მიწები უსასყიდლოდ და უწინარესად გადაეცეთ სოფლად მცხოვრებ უმიწო და მცირემიწიან კომლებს. ვერავინ ვერ უნდა გაბედოს, რომ უკანონობის დაკანონებით, ხელი შეეწყოს, კორუფციულ გარიგებას, ყველას უნდა ახსოვდეს, რომ მცირემიწიან აჭარაში მიწასთან თამაში ცეცხლთან თამაშია.

დაბოლოს, აჭარაში მცხოვრები მოსახლეობის მთავარი სათქმელიც უნდა ვთქვა: თუ მავანნი მათთვის საინტერესო ადგილის დასაპატრონებლად მშენებარე ეკლესიის დანგრევასაც არ ერიდებიან, მაშინ გვაქვს იმის თქმის საფუძველი, რომ ბათუმისა და ქობულეთის მიმდებარე პრესტიჟული ადგილების დაპატრონების მცდელობას აჭარაში მიწის რეფორმა შეეწირა, რადგან ამ მიწების დიდი ნაწილი სარეფორმო ფონდში იყო გათვალისწინებული, მაგრამ მოსახლეობისთვის გადასაცემად ვერ იმეტებენ.

მიუხედავად იმისა, რომ რეფორმის ჩასატარებლად ყველაფერი მზად იყო, იგი ჩაშალეს. მიზეზი ნათელია, ნათელია ისიც, რომ ამ თავგასულობას მოსახლეობა აღარ შეურიგდება, ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ თავგასულობასაც აქვს საზღვარი. ბევრმა შეიძლება არც ის იცის, რომ ზოგიერთმა ჩვენმა წინაპარმა მიწის გამო, სამწუხაროდ, სარწმუნეობაც კი დათმო, რომელსაც დღეს კვლავ უბრუნდება, წინაპართა იძულებით გადადგმულ ნაბიჯებს დღევანდელი ახალგაზრდობა ასწორებს, ამასაც დანახვა უნდა. აჭარაში კი მიწის რეფორმის პრობლემის გადაჭრა უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გახლავთ, რაც ცივი გონებით განსჯას მოითხოვს.

თუ საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი ჩვენი წერილით დაინტერესდება და მას თუნდაც ინფორმაციის წყაროდ ჩათვლის, მზად ვართ, მისი მიწვევა მივიღოთ, აგრარულ კომიტეტში მივიდეთ, მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხი გავცეთ, ხელისუფლების ოპონენტობა გავწიოთ.

იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენს წერილს ხელისუფლების რამენაირი გამოხმაურება მოჰყვება.

**თამაზ ცინცაძე,**
**ექსპარლამენტარი,**
**არასამთავრობო გაერთიანება „საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირის" თავმჯდომარე**

**◉ სემინარი**

# საერთაშორისო ექოკარდიოგრაფიული სკოლა თბილისში

***ამ დღეებში სასტუმრო „თბილისი ქორთიარდ-მერიოტში" მეტად საინტერესო სემინარი გაიმართა, სახელწოდებით „პროფესორ რაიმუნდ ერბელის შავი ზღვის აუზის ქვეყნების ექოკარდიოგრაფიული სკოლისა". ეს სკოლა საქართველოში ამოქმედდება და შავი ზღვის საპანიროს რეგიონს მოემსახურება. იდეა ორი წლის წინათ ფლორენციაში დაიბადა, სადაც ევროპის ექოკარდიოლოგიური ფორუმი მიმდინარეობდა. ფორუმზე იმყოფებოდა ქართველი კარდიოლოგი ლევან მეტრეველი, რომელიც იმხანად გერმანიის სამედიცინო სკოლას წარმოადგენდა. მან სურვილი გამოთქვა, რომ ანალოგიური სწავლება საქართველოშიც ყოფილიყო შესაძლებელი. დოქტორი ერბელი და მისი კოლეგები მას დათანხმდნენ, ჩამოსულიყვნენ საქართველოში და უსასყიდლოდ, უანგაროდ სემინარები ჩაეტარებინათ ექოკარდიოგრაფიაში.***

პრესკონფერენციაზე ახლადდაარსებული სკოლის ხელმძღვანელები შეხვდნენ მედიის წარმომადგენლებს. ექოკარდიოგრაფიული სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელია ახალგაზრდა ქართველი კარდიოლოგი **ლევან მეტრეველი,** განათლებისა და მეცნიერების განყოფილებას გაუძღვებიან დოქტორები **თომას ბაკი** და **სერგო ორჯონიკიძე.**

სკოლა პირველ სემინარს აგვისტოში გამართავს. მასში მონაწილეობის მიღება შეეძლებათ საქართველოსა და სხვა ქვეყნებში მომუშავე კარდიოლოგებს, რადიოლოგებს, თერაპევტებს, ოჯახის ექიმებს, პედიატრებსა და კარდიოქირურგებს. სკოლის „კურსდამთავრებულებს" პირველად მიენიჭებათ როგორც ქართული, ასევე ევროპული კრედიტ-ქულები. სემინარი ჩატარდება გერმანიაში, ესენის უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსუძ ეგიდით. კურსს კი, ესენის უნივერსიტეტის პროფესორი, საქვეყნოდ ცნობილი კარდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **რაიმუნდ ერბელი** წაიკითხავს.

— თსსუ-მ საგრძნობლად გააქტიურა პოსტდიპლომური განათლების სეგმენტი. აყალიბებს ასეთ სკოლებს, სპეციალისტებს რეზიდენტურის გასავლელად უცხოეთში გზავნის. გერმანიასა და საფრანგეთში უკვე სწავლობენ ქართველი მედიკოსები, მალე ალბათ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გაემგზავრებიან. ისინი კი, ვისაც საზღვარგარეთ წასვლის საშუალება არა აქვს, საქართველოში ჩვენი უნივერსიტეტის ბაზაზე დაარსებულ სპეციალიზებულ სკოლებში ისწავლიან, — განაცხადა ექოკარდიოგრაფიული სკოლის საპატიო თავმჯდომარემ თსსუ რექტორმა **გიორგი მენაბდემ.**

მისივე თქმით, ეს იქნება 6-თვიანი, ერთწლიანის სარეზიდენტო პროგრამები. ხუთი რეზიდენტი გერმანიის კლინიკებში წავა მიზანმიმართულად ნეიროქირურგიისა და ქირურგიის — შინაგანი მედიცინის სპეციალობებში რეზიდენტურის გასავლელად. დადებული ხელშეკრულებით ქართველი რეზიდენტებისთვის სწავლება უფასო იქნება. ისინი მხოლოდ ცხოვრების ხარჯს გაიღებენ.

როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, უახლოეს ხანში აშენდება 100 ახალი საავადმყოფო, სადაც, მხოლოდ და მხოლოდ, მაღალკვალიფიციური ექიმები დასაქმდებიან. ეს და მსგავსი სკოლები ჩვენს მედიკოსებს პროფესიის ამაღლებაში დაეხმარება. აგრეთვე თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით ბევრი სიცოცხლე გადარჩება და ამ ტექნოლოგიების მართვა ჩვენმა ექიმებმა ასეთ სკოლებში უნდა ისწავლონ.

**პირველ ეტაპზე ექოკარდიოგრაფიულ სკოლაში 150-200 ექიმი მომზადდება. ქართველი ექიმები სემინარებში სიმბოლურ თანხას, 30 ევროს გადაიხდიან. სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ექიმებს ეს 100 ევრო დაუჯდებათ. ანალოგიური სწავლება უცხოეთში 250-300 ევრომდეა. პირველად, ქართულ კრედიტ-ქულებთან ერთად ევროპული კრედიტ-ქულებიც გაიცემა.**

**ბელა ლომთაძე**

● სატყეო პოლიტიკის კანონპროექტში არაფერია ნათქვამი მიწის საკითხზე. ეს ის მიწაა, რომლებზეც ტყეებია გაშენებული. ტყის პრივატიზების დროს, როგორც ეს ხშირად ხდება, თავიდან მასივებს ქართველები ჩალის ფასად შეიძენენ, შემდეგ კი უცხოელებს ოთხმაგ ან ხუთმაგ ფასში მიჰყიდიან. ასეთ შემთხვევაში, თუ არ გვექნა კანონში ხაზგასმით აღნიშნული, რომ მიწა სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს, ტყე თავისი მიწიანად უცხოელის ხელში აღმოჩნდება



№ 118. სამშაბათი, 26 ივნისი, 2007 წელი.

SOS!

# შეცდომა თუ წინასწარგანზრახული „შეცდომა"?!

**ამ ბოლო ხანს ქვეყნის ხელისუფლება ბიუჯეტის შევსების მიზნით, ყველაფერს ყიდის. იქნება ეს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი თუ სხვა. ახლა ჯერი საქართველოს ტყეებზე მიდგა. გარემოს დაცვის სამინისტრო ცდილობს, რომ შეუქმნას ტყეების გაყიდვას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც, ექსპერტთა აზრით, მრავალი ლაფსუსითაა სავსე.**

## ხალხო, ტყესთან ერთად მიწაც იყიდება!

ჩვენს ქვეყანაში დღემდე არ ჩატარებულა ტყეების ინვენტარიზაცია და ძველი, კომუნისტური პერიოდის 80-იანი წლების ანგარიშებით ხელმძღვანელობენ. როდესაც ტყეების განკერძოების კანონპროექტი შედგა, გარემოსა და ბუნების დაცვის სამინისტრომ ტყეების ინვენტარიზაციის საკითხი, სახსრების უქონლობის მომიზეზებით, ახალ მფლობელს დაავალა. ექსპერტები ამ ფაქტთან დაკავშირებით გაოცებას გამოხატავენ პროექტის შემდგენელთა გულუბრყვილობის გამო — ნუთუ ყველა მრავალწლიანი იჯარით ამღები კეთილსინდისიერი აღმოჩნდება და ნარგავების ზუსტ რაოდენობას მიუთითებს?

კანონპროექტში ორაზროვნად და გაკვრით არის ნათქვამი, რომ ტყეს არ უნდა შეეცვალოს სახე და ფუნქცია. ექსპერტთა აზრით, ასეთი გაურკვევლობის პირობებში ადვილი შესაძლებელია, რომ 20-25 წლით ტყის იჯარით ამღებმა წასვლის



შემდეგ მოტიტვლებული ტერიტორია დაგვიტოვოს. მათივე აზრით, სასურველი იქნებოდა, რომ ტყეები ისევ სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილიყო, მაგრამ თუ სახელმწიფოს ამის სახსრები არა აქვს და ტყეების გადარჩენაზე ზრუნავს, კანონში აუცილებლად უნდა შეიტანოს პუნქტი, რომელიც მოიჯარეს და კერძო მესაკუთრესაც გარკვეულ ვალდებულებას აკისრებს ტყის მასივებთან დაკავშირებით და მათს შენარჩუნებასაც ავალდებულებს.

სატყეო პოლიტიკის კანონპროექტში არაფერია ნათქვამი მიწის საკითხზე. ეს ის მიწაა, რომლებზეც ტყეებია გაშენებული. ტყის პრივატიზების დროს, როგორც ეს ხშირად ხდება, თავიდან მასივებს ქართველები ჩალის ფასად შეიძენენ, შემდეგ კი უცხოელებს ოთხმაგ ან ხუთმაგ ფასში მიჰყიდიან. ასეთ შემთხვევაში, თუ არ გვექნა კანონში ხაზგასმით აღნიშნული, რომ მიწა სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს, ტყე თავისი მიწიანად უცხოელის ხელში აღმოჩნდება. მაშინ კი ვერავინ დაავალდებულებს მას კერძო მიწაზე ტყეს მოუაროს და შეუნარჩუნოს ძველებური სახე და ფუნქცია. ამ მიწაზე მას მოქმედების თავისუფლება ექნება.

გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტით, სახელმწიფო ტყესთან ერთად მიწასაც ყიდის. უცხოელისათვის კი მეორეზევრად უფრო მიმზიდველია.

ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტიდან გამოჟონილი ინფორმაციით, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო კანონპროექტის შედგენაში მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. აქ მთავარი პირები სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე და ეკონომიკის სამინისტრო არიან.

**ზაზა ბილიხოძე**

26 ივნისი, 2007 წელი

# განცხადება

## სატენდერო შეთავაზებით სს „კრწანისი-99"-ის აქციათა სამართლიან ფასად გამოსყიდვის თაობაზე

**სატენდერო შეთავაზებით სს „კრწანისი-99"-ის აქციათა სამართლიან ფასად შეძენისათვის „გამოსყიდვის საანგარიშო თარიღად" დადგენილია 2007 წლის 27 აგვისტო, რომლის მდგომარეობითაც არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან მოხდება მყიდველის მიერ აქციათა გამოსყიდვა.**

**გამოსყიდვის პირობები და პროცედურები:**

● განმცხადებელი ფლობს სს „კრწანისი-99"-ის მიერ გამოშვებულ ჩვეულებრივ სახელობით აქციებს 295953 რაოდენობით (80.08 პროცენტი) და შემთავაზებელს სურს გამოისყიდოს 73611 რაოდენობის (19.92 პროცენტი) ჩვეულებრივი სახელობითი აქციები.

●შესყიდვა მოხდება სატენდერო შეთავაზების ვადის (2 თვე) გასვლის შემდეგ (27.08.2007 წ.-ს მერე), აქციების გაყიდვაზე წინასწარი თანხმობის მიღების შემთხვევაში.

● სს „კრწანისი-99"-ის აქციონერთა სასარგებლოდ გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე განთავსებულია აქციების გამოსყიდვისათვის საჭირო თანხა (ერთი აქცია — 9 ლარი და 30 თეთრი).

●მყიდველს უფლება აქვს გააუქმოს სატენდერო შეთავაზება, განცხადების გავრცელების ან შეთავაზების ვადის გასვლის შემდეგ, თუ მას აღარ სურს მოცემული ფასიანი ქაღალდების შესყიდვა, ან არ იქნა მიღებული თანხმობები სასურველი რაოდენობის ფასიანი ქაღალდების გაყიდვაზე, ანდა აღარ სურს სატენდერო შეთავაზების გზით შესყიდვა.

●სატენდერო შეთავაზების რომელიმე პირობის შეცვლის შემთხვევაში გაკეთდება შეთავაზების განცხადების განახლებული ვერსია და დადგენილი წესით გავრცელება.

● სს „კრწანისი-99"-ის დარჩენილი 19.92 პროცენტის 73611 აქციის გაყიდვაზე თანხმობების სრული რაოდენობის არსებობის შემთხვევაში (თუ ყველა აქციონერი თანახმაა გაყიდვაზე) შემთავაზებელი გამოისყიდის აქციათა მთელ რაოდენობას.

აქციონერებს, საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ" $53^2$ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გამოსყიდვის ანგარიშის გაცნობა შეუძლიათ საბროკერო კომპანია შპს „პაბლიკ ინვესტმენტ მენეჯმენტ კომპანიში", შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს შენობა (სასტუმრო „აფხაზეთის" პირდაპირ), XI სართული, ოთახი №1120. ტ. 899 30-35-90.

ფეხბურთი

# შუაღამის ხიბლი



**დღეს იწყება სამხრეთამერიკული ფეხბურთის ოცდღიანი ზეიმი — „კოპა ამერიკას" მორიგ გათამაშებას ვენესუელა მასპინძლობს.**

**„ა" ჯგუფი.** არგენტინა, აშშ, პარაგვაი, კოლუმბია.

**„ბ" ჯგუფი.** ბრაზილია, მექსიკა, ჩილე, ეკვადორი.

**„გ" ჯგუფი.** ვენესუელა, ბოლივია, ურუგვაი, პერუ.

შეგახსენებთ, რომ „ტელეიმედი" ოცდაექვსივე მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს შემოგვთავაზებს. აი, მათი განრიგი.

**შენიშვნა: დრო ყველგან თბილისისაა.**

**26 ივნისი.** ურუგვაი — პერუ 02:05.
ვენესუელა — ბოლივია 04:50.
**27 ივნისი.** ეკვადორი — ჩილე 02:35.
ბრაზილია — მექსიკა 04:50.
**28 ივნისი.** პარაგვაი — კოლუმბია 02:35.
არგენტინა — აშშ 04:50.
**30 ივნისი.** ბოლივია — ურუგვაი 00:05.
ვენესუელა — პერუ 02:20.
**1 ივლისი.** ბრაზილია — ჩილე 00:05.
მექსიკა — ეკვადორი 02:20.
**2 ივლისი.** აშშ — პარაგვაი 02:35.
არგენტინა — კოლუმბია 04:50.
**3 ივლისი.** პერუ — ბოლივია 02:35.
ვენესუელა — ურუგვაი 04:50.
**4 ივლისი.** მექსიკა — ჩილე 02:35.
ბრაზილია —ეკვადორი 04:50.
**5 ივლისი.** კოლუმბია — აშშ 02:35.
არგენტინა — პარაგვაი 04:50.



მეოთხედფინალებში 7 და 8 ივლისს ერთმანეთს ჯგუფებში 2-2 უძლიერესი და ორი საუკეთესო მესამეადგილოსანი შეხვდებიან, ნახევარფინალები 10 და 11 ივლისს გაიმართება, შეხვედრა მესამე ადგილისთვის 14 ივლისისთვისაა დანიშნული, კონტინენტის ჩემპიონის ვინაობას კი 15 ივლისს შევიტყობთ.

ჩოგბურთი

# „რენას თასი" — სოლიდური დაფინანსებით

**იან ჰომერის სახელობის ჩოგბურთის კორტებზე დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი — რენა აბჟანდაძის თასის გათამაშება. შეჯიბრებაში 14 და 16 წლის ჩოგბურთელებთან ერთად ვეტერანები, მოყვარულები და უმცროსი ასაკის სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.**

თოთხმეტწლიანების ერთეულთა თანრიგში სალომე კვიტაშვილმა დენიზა კაზანიუკი დაამარცხა — 6:3, 6:2. მანვე ნინო სუჯაშვილთან ერთად წყვილებში ქეთი მებუკისა და ანი გოგვაძის დუეტს სძლია — 7:6,6:4. გიორგი ცივაძემ დავით ხუციშვილს აჯობა — 6:4, 2:6, 6:2. სამაგიეროდ, ხუციშვილმა ლუკა ფილფანთან ერთად გიორგი იორდანიდისა და სანდრო დავლიანიძის წყვილს მოუგო — 6:2, 6:2.



თექვსმეტწლიანთა ფინალში ეკა გორგოძემ ნინო მებუკე დაჯაბნა — 6:1, 6:1. ამ დაპირისპირებას სულაც არ შეუშლია ხელი გოგონებისთვის, საკმაოდ ძლიერი დუეტი შეექმნათ და წყვილთა შორის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასულიყვნენ. გადამწყვეტ პაექრობაში მათ ნინო სუჯაშვილისა და ნადეჟდა დუბიანსკაიას ტანდემი ჩამოიშორეს (6:3, 6:2) გზიდან.

ამავე ასაკში ვაჟთა შორის უძლიერესი იყო შოთა პაიჭაძე, რომელმაც უკრაინელ მაქსიმ მალიშევის ოცნებებს გადაავლო ცივი შხაპი — 6:3, 6:0. უკრაინელმა ჩოგბურთელმა პოლონელ პიოტრ გარანოვსკისთან ერთად წყვილთა თანრიგში აიღო რევანში — ბიძინა ამაშუკელისა და შოთა პაიჭაძის წყვილს სძლია 6:3, 6:2.

ვეტერანებში პირველ ადგილებზე ოფელია ბიჩინაშვილი და გივი ლაბაძე გავიდნენ.

საგულისხმოა, რომ „რენას თასის" წლევანდელი გათამაშება უმთავრესად კომპანია „თელასმა", „ბორჯომმა" და „კოკა-კოლამ" სოლიდურად დააფინანსეს.

# სპორტი

● მომავალში პროფლიგის უპირველესი მიზანი, ხელისუფლებასთან და ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე ზრუნვა იქნება — ესეც რამიშვილის სიტყვებია. პერსპექტივას უკავშირდება აგრეთვე ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ტელეტრანსლაციების უფლებების საკითხის მოგვარებაც



⊙ პფლ

## ისევ ის...

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან განსხვავებით, პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტის არჩევნებმა უსკანდალოდ ჩაიარა. ასეც იყო მოსალოდნელი — აღნიშნული ორგანიზაციის დამფუძნებელი და პირველი ხელმძღვანელი დიმიტრი რამიშვილი ყველასათვის მისაღები კაცია, მათ შორის „ზემოთაც". მან ოთხი წლით შეინარჩუნა პოსტი, თანაც ერთხმად.**





„ჩვენი პრიორიტეტი, უმთავრესად, პფლ-ის ეგიდით გამართულ ტურნირების პოპულარიზაცია და კომერციალიზაცია იყო, რაც, თავისთავად, ფეხბურთის დონის ამაღლებას ემსახურება. ვთვლი, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა," — აღნიშნა საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის გახსნისას ყოფილმა წყალბურთელმა. უკვე განხორციელებულ პროექტებზე საუბრისას მან ხაზი გაუსვა სერიოზული სპონსორების მოზიდვის ფაქტს ეროვნული თასისა და ქვეყნის სუპერთასის გათამაშებათა გამარჯვებულების დასაჯილდოებლად, აგრეთვე ამ უკანასკნელი ასპარეზობის აღდგენას. მომავალში პროფლიგის უპირველესი მიზანი, ხელისუფლებასთან და ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე ზრუნვა იქნება — ესეც რამიშვილის სიტყვებია. პერსპექტივას უკავშირდება აგრეთვე ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ტელეტრანსლაციების უფლებების საკითხის მოგვარებაც.

დავძენთ, რომ პფლ-ის ყოფილი გენერალური მდივანი რევაზ ლორთქიფანიძე ბიზნესში გადაბარგდა, თუმცა ფეხბურთთანაც არ წყვეტს ურთიერთობას და მოღვაწეობას ლიცენზირების კომიტეტში განაგრძობს.

მისი შემცვლელის ვინაობას საზოგადოება ამ დღეებში შეიტყობს.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

* * *

**სავალალო აღმოჩნდა ქართული კლუბის დებიუტი წლევანდელ ევროტურნირებში.** ეს გახლავთ „ზესტაფონი", რომელმაც ინტერტოტოს თასის გათამაშების პირველი ეტაპის სასტარტო შეხვედრა ყაზახეთში კუსტანაის „ტობოლთან" დათმო — 0:3. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციული ლაფსუსების გამო თემურ მახარაძის გუნდი ბრძოლის ველზე პირდაპირ აეროპორტიდან გამოცხადდა და გასაკვირი ის უფროა, მე-60 წუთამდე რომ მშრალად შეინახა კარი.

საპასუხო რაუნდს 30 ივნისს ვაკის სტადიონი უმასპინძლებს.

* * *

**კონკაკაფის თასის ფინალი.** აშშ-მექსიკა 2:1.

⊙ ორბიტაზე

## ანა ჩაკვეტაძე იმარჯვებს

**სხვათა შორის, რუსეთელი ჩვენებური ჩოგბურთელის ანა ჩაკვეტაძის კარიერაში ბოლო ხანების არცთუ ცოტა ხმაურიან გამარჯვებებს კიდევ ერთი მიემატა — ჰოლანდიურ ჰერტოგენბისში მიმდინარე ტურნირზე ordina open, რომლის საპრიზო ფონდი 175 ათასი დოლარი იყო და თანაც ძალზე ძლიერი შემადგენლობა რომ თამაშობდა, მან ჯერ ნახევარფინალში სლოვაკი ლამაზმანი დანიელა ჰანტუხოვა დაამარცხა — 6:3, 6:4, ხოლო ფინალში ამჟამად ერთ-ერთ უძლიერეს სერბ ჩოგბურთელს — ელენა იანკოვიჩს დაუპირისპირდა, რომელმაც თავის მხრივ დინარა საფინა გამოთიშა გათამაშებიდან — 6:3, 3:6, 7:6.**

ფინალური ორთაბრძოლა ერთობ დაძაბული გამოდგა, განსაკუთრებით პირველი სეტი — 7:6 (7:2ძ ანას სასარგებლოდ, მეორე სეტში სერბმა ქალიშვილმა იმძლავრა — 6:3, მესამე სეტი კი ანამ ნამდვილად აღმავლობით ჩაატარა და დამსახურებულად გაიმარჯვა — 6:3.

ეს ანასათვის კარიერაში გამარჯვებულის მე-4 ტიტულია, ხოლო წლეულს — მეორე

ახლა წინ უიმბლდონის დიდი, პრესტიჟული ტურნირია, იქ გამარჯვება ხომ მსოფლიო ჩემპიონობის ტოლფასია, სადაც ჩაკვეტაძის პირველი მეტოქე გერმანელი კერბერი იქნება.

ღმერთმა ხელი მოუმართოს!

## საუკეთესო შედეგებით

**ამერიკელმა მძლეოსნებმა მართლაც რომ თავი გამოიჩინეს ინდიანაპოლისში მიმდინარე აშშ ჩემპიონატზე.**

100 მეტრზე, თანაც შემხვედრ ქარში, თავი ისახელა ტაისონ გეიმ — 9,84. ასე სწრაფად არ ურბენიათ ექს-რეკორდსმენებს ლეროი ბარელსა და მორის გრინს. გეიმ 10 წამზე ნაკლები დრო — 9 ,9 აჩვენა ნახევარფინალშიც.

ქალთა შორის საუკეთესო შედეგით 400 მეტრზე იპირველა დიდი ტორტერმა — 49,64. აღსანიშნავია, რომ 2006 წლის საუკეთესო მძლეოსანი სანია რიჩარდსი მხოლოდ მეოთხე იყო. ნაკრებში კი პირველი სამეული ხვდება.

## მთვრალი ფეხბურთელი

**როგორც იტყვიან ხოლმე, ყველაზე „ვირგლა" თამაში ამერიკული ფეხბურთია, თანაც იქ მოთამაშეებს ზოგჯერ ავიწყდებათ, თუ სად იმყოფებიან — ფეხბურთის მოედანზე თუ ლუდხანაში.**

ამის ნათელი დასტურია „დოლფინზის" მოთამაშის ფრედ ევანსის საქციელი. საკმაოდ რომ გამოტყვრა, მან აღარ მოინდომა იმ ტაქსის დატოვება, სახლამდე რომ მიიყვანა. პოლიციელებმა ჯერ ზრდილობიანად სთხოვეს მანქანის სალონის დატოვება, მაგრამ არაფერი რომ არ გამოუვიდათ, ძალის გამოყენებაც სცადეს, რასაც თითქოსდა ელოდა სპორტსმენი, ატეხილ აყალმაყალში ორი პოლიციელი დაშავდა, ხოლო 140-კილოგრამიანი ევანსის მოსათვინიერებლად ორი ელექტროშოკერის გასროლაც დასჭირდათ.

სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობა გაიუარესა „ჩიკაგო ბირზის" მცველმა თენკ ჯონსმაც, როცა უკანონო იარაღის ტარებაში გამოიჭირეს. თუმცა ეს არ იკმარა და ახლა მაშინ დააპატიმრეს, მთვრალი ავტომანქანას რომ მართავდა.



⊙ უეფა

## სომხეთ-აზერბაიჯანის მატჩები არ შედგება

**ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ევროპული ფეხბურთის შტაბმა — უეფამ ჰოლანდიის ქალაქ ჰერენვენში გამართული აღმასკომის სხდომაზე.**

სხვა საორგანიზაციო საკითხებთან ერთად, აღმასკომმა იმსჯელა აზერბაიჯანისა და სომხეთის ეროვნული ნაკრებების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების თაობაზეც, რაც 8 და 12 სექტემბერს უნდა გამართულიყო.



ამ ქვეყნებს შორის რთული პოლიტიკური დაპირისპირების გამო, ეს მატჩები ნეიტრალურ მოედნებზე უნდა გადაეტანათ. ლაპარაკი იყო უკრაინის, რუსეთისა და საქართველოს ფედერაციებთან მოლაპარაკებაზე შეხვედრათა ადგილების გასასაზღვრად, რაც 23 ივნისამდე უნდა მოგვარებულიყო. როგორც ჩანს, მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო, სწორედ ამიტომაც უეფამ გადაწყვიტა — სომხეთ-აზერბაიჯანის მატჩები აღარ გაიმართება. როგორც უეფას პრეს-რელიზი იუწყება, არც ერთ ამ ქვეყანას ქულები არ დაერიცხება.

აღმასკომმა ჩემპიონთა ლიგის ახალ ფორმულაზეც იმსჯელა, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

⊙ მხარე





## სანამ არდადეგები დაიწყებოდა

**ჩხოროწყუში ამას წინათ მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით გაიმართა სკოლის მოსწავლეთა პირველობა მძლეოსნობაში, ჭადრაკსა და მინიფეხბურთში. გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას.**

**გოგონები. 100 მ. რბენა.** 1. მარიამ ქვარცხავა, 2. თეონა ნაჭყებია, 3. თეონა წურწუმია. **400 მ.** 1. თეონა სიჭინავა, 2. თეონა შენგელია, 3. თეონა წურწუმია და მარიკა დადიანი. **ჭადრაკი.** 1. სალომე სიჭინავა, 2. თამთა სიჭინავა, 3. მარიამ სიჭინავა. **მინიფეხბურთი.** 1. ზუმის საჯარო სკოლა, 2. ჩხოროწყუს II საჯარო სკოლა, 3. ოჩხამურის გოგონათა გუნდი.

**ვაჟები. 100 მ.** 1. ბექა ხორავა, 2. მარლენ ქავთარაძე, 3. ზაზა წურწუმია. **400 მ.** 1. ირაკლი გულორდავა, 2. გიორგი ჯალაღონია, 3. ბექა ხორავა და მარლენ ქავთარაძე. **ჭადრაკი. პირადი.** 1. ბაჩანა ფიფია, 2. ამროზ ლემონჯავა, 3. ედიკ ხორავა. **გუნდური.** 1. ლესიჭინეს II საჯარო სკოლა, 2. ლესიჭინეს I საჯარო სკოლა, 3. ზუმის საჯარო სკოლა. **მინიფეხბურთი.** 1. ლესიჭინეს I საჯარო სკოლა. 2. ჩხოროწყუს გიმნაზია, 3. ზუმის საჯარო სკოლა.





გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ შელიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ანატოლი ლემონჯავამ დააჯილდოვეს.

**თეა ტყებუჩავა,**
**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სპორტის სპეციალისტი.**

**სურათებზე: ასპარეზობისა და დაჯილდოების მომენტები.**

№ 118. სამშაბათი, 26 ივნისი, 2007 წელი.

# მარად თანამედროვე

**იცოცხლა სამშობლოსთვის, მაგალითი დაუტოვა შთამომავლობას, თუ როგორ უნდა ილვაწო სამშობლოსთვის და როგორ უნდა შესწირო სამშობლოს თუ რამ გაგაჩნია ღირებული, წინაპართაგან ბოძებული, მომავლისთვის გადასაცემი**




# შემოსაწირი ირაკლი აბაშიძისა

## აჩრდილების გამოხმობა

**მადლობის მეტი რა მეთქმის ირინე აბაშიძის – ირაკლი აბაშიძის საფიცარი ქალიშვილისადმი – საჩუქრად გამომიგზავნა „ინტელექტის“ მიერ ახლახან გამოცემული უსაყვარლესი მამის „ასი ლექსი“, რომელიც თავად ქალბატონ ირინეს შეურჩევია კრებულისათვის.**

ვფურცლავ წიგნს, კიდევ ერთხელ ვკითხულობ დიდი პოეტისა და ერისკაცის სხვადასხვა წელს შექმნილ შედევრებს, გონებაში ცოცხლდება იგი, უმცროს მეგობრად რომ მთვლიდა და ბედნიერება მქონდა, რედაქციაში შემოსული მისი ლექსებისა თუ სტატიების ერთ-ერთი პირველი მკითხველი ვყოფილიყავი.

...დაბადების 75 წლისთავის წინა დღეებში ბარნოვის ქუჩაზე (ახლა მისი სახელობისააძ ავედი, სახლში მივაკითხე. ტრადიციულად თავის სამუშაო ოთახში შემიძღვა. ვსაუბრობთ, ნებანება მარცვლავს კრიალოსანს.

წამოდგა, წამოიმართა, ოთახის კუთხეში კარადის თავზე დაწყობილი ვაშლებიდან რამდენიმე ამოარჩია, მომაწოდა, თვითონაც ჩაკბიჩა.

– გავისველოთ პირი, ჩემი ეზოს ვაშლია, წყნეთური, გაუთლელად უკეთესია... მე დავკრიფე...

– დასავლეთში თუ გაქვთ ეზო-გარემო, ბატონო ირაკლი?

– ხონში? არა, იქ აღარავინ მყავს. თორმეტი და-ძმიდან, ორიღა დავრჩით, ყველაზე სუსტები რომ ვიყავით ბავშვობაში... დედაჩემის ორდენი ხომ არ გინდა გიჩვენო? ვინახავ... (მაგიდის უჯრა გამოსწიაძ ა, შეხედე, „მატერინსკაია სლავა“, პირველად რომ გაიცა ასეთი ორდენი, მაშინ მიიღო დედამ... ახლა მამის ხანჯალს განახებ... შთამომავლობით დარჩა (ექებსძ, ნახე როგორია... განათლებული კაცი იყო მამაჩემი, მერე, ბედი ხომ იცი – 1907 წელს თვალისჩინი დაკარგა საცოდავმა.

გონებაში წამოტივტივდა: „თუ იმერეთში სინათლით სავსე, გინახავთ ჩვენი პატარა თემი და უსინათლო ვაჟკაცი გახსოვთ – მშობელი მამა ის იყო ჩემი“.

ვსაუბრობთ და იკვეთება ირაკლი აბაშიძის

მრებიან ჩემი მეგობრები, მაგრამ რიღასი უნდა მეშინოდეს... „დავდივარ, როგორც პოეტური მემკვიდრეობა...„ რა ხნის გავხდი, ხედავ? როგორი საქმეა, დავით კლდიაშვილსა და ვასილ ბარნოვს მოვესწარი... 24-25 წლის ბიჭი მოსკოვში საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე მოვხვდი.

– რა დაგახსომდათ იქიდან ყველაზე უფრო?

– უპირველესად – გორკი, თვითონ ყრილობის შემადგენლობა, სულ ახალგაზრდები ვიყავით. ერთ-ერთი „უხუცესი“ – შალვა დადიანი სამოცი წლისა იყო, ვინღა დარჩა იმათგან, ზოგი უბედურად, ზოგიც ჩვეულებრივ წავიდა ამ ქვეყნიდან... რა ვიცი, მინდა ერთი „მოგონებებს“ გულდაგულ ჩავუჯდე... სამწუხაროდ, დღიურები არ მიწერია და ბევრი საწვალებელია. უმდიდრესი არქივი მაქვს... წესრიგშია მოსაყვანი...

**მოგონება.** ერთხელ შემთხვევით ახალგაზრდების კამათს შევესწარი – პოეზიაზე ჰქონდათ საუბარი. ვისზე აღარ ილაპარაკეს, ერთის ნათქვამი დღემდე დამახსომდა: თქვენ არ იცით და, მე, ძმაო, „მთაწმინდის მთვარე“, „ნი-

– აქ ყოველივე გაშიფრულია, დრო ცდის ყველაფერს, ესე იგი, მომავალი. გამოგიტყდებით, მკითხველის სიყვარულს თავიდანვე ვგრძნობდი, მეტადრე, ბოლო სამი ათეული წელიწადი – სიჭარმაგეში.

– ბუნებრივია, კრიტიკოსიც ბლომად გყოლიათ ამ ხნის მანძილზე.

– იცოცხლე... ადრეც და ახლაც. გაკეთებულის განქიქება ადვილია, ისე კი ჯანსაღი კრიტიკა საქმეს უხდება, თუ იგი სიყვარულით არის ნათქვამი...

– დღევანდელ ქართულ ახალგაზრდულ პოეზიაზე რას იტყვით?

– ნიჭიერი ხალხია, ოღონდ ცოტა ერთმანეთს ჰგვანან. ვისურვებდი, როგორც მაიაკოვსკი ამბობდა „პოეტები, ბევრი პოეტები, კარგები და სხვადასხვანაირნი“. საერთოდ, რამდენჯერმე ვიფიქრე, ჩემი აზრი გამომეთქვა (თუნდაც „კომუნისტში“ძ დღევანდელ ახალგაზრდულ პოეზიაზე, მაგრამ თავს ვიკავებ მანამ, სანამ ამ პოეზიაში მკაფიოდ გამოიკვეთებოდეს მრავალფეროვანი ხმები და სახეები.

ბევრის დამტევი სიტყვაა.

### პიროვნება

**– ერთიანი, სრულქმნილი „მაღალი, უხვი, მდაბალი...“**

**უბის წიგნაკიდან:**

აბა, სხვამ ვინ უნდა მიულოცოს თავის ერს დღესასწაულები და დღეობები, ვინ უნდა მოუთხროს ქვეყანას წარსულსა და დღევანდელობაზე, თუ არა ასეთმა ადამიანმა? ზოგი რომ ჭოჭმანობს, ბატონი ირაკლი ყოველთვის მზად არის რედაქციის სამსახურად. და ხომ არ გგონიათ, კიდევ ერთხელ, თავის გამოჩენისთვის აკეთებს ამას. რაში სჭირდება. უბრალოდ, მან სხვებზე უკეთ იცის, რომ მისი სიტყვა ხალხს და ქვეყანას სჭირდება.

და, რაც მთავარია:

ვინ გაცლის მიკითხვას ან სახლში, ან ენციკლოპედიაში. ეს ამოდენა კაცი, ჟურნალისტური ოპერატიულობით თვითონ მოიტანს ნაწერს რედაქციაში, ჩვენს ბოდიშებს კიდევ ერთხელ მოისმენს, მოგვეფერება, რაიმე ახალ ხუმრობასაც იტყვის, გაგვახალისებს და თავის გზას გაუყვება. ამას კი დაგვიბარებს: „ნახეთ ერთი, მგონი რაღაც გამომივიდა“...

თანამედროვე ქართულ პოეზიაში, ალბათ, ძნელად თუ იპოვის მკითხველი მეორე პოეტს, ამდენი ლექსი რომ მიეძღვნას გარდაცვლილი მეგობრებისათვის.

– როგორ არის, ბატონო ირაკლი? „მე ვცოცხლობ ახლა თქვენს ლანდებში, თქვენს აჩრდილებში...“

– ხო... წავიდა ხალხი... ახალგაზრდობაში მკვდარი რომ დამესიზმრებოდა, შეშინებული ვილვიძებდი, ახლა მესიზ-

ნოწმინდის ლამე“ და „ო, ენავ, ჩემო, დედაო ენავ“... ქვეყანას მირჩევნიაო...

„ო, ენავ, ჩემო“, ანუ უფრო სწორად, „ხმა კატამონთან“ თქვენც იცით, მართლაც ერთ-ერთი უბრწყინვალესი ქმნილებაა დღევანდელი ქართული პოეზიისა, ხოლო, საერთოდ, „პალესტინის ციკლმა“ კიდევ უფრო აამაღლა

### პოეტი

**ირაკლი აბაშიძე... ახალი კუთხით დავინახეთ მისი ნიჭი და პოეტური თვალსაწიერი. მას შემდეგ ბევრი შესანიშნავი ლექსით გაგვახარა. ასეა დღესაც, სამოცდათხუთმეტი წლისა.**

ამ დღეებში გამოვიდა და თქვენ ალბათ მალე შეიძენთ „საბჭოთა საქართველოს“ მიერ დასტამბულ საყვარელი პოეტის მომცრო კრებულს „თუ ხარ ნამდვილი“, რომელშიც უმთავრესად სწორედ ბოლო წლებში შექმნილი და გამოქვეყნებული (ბევრი – გაზეთ „კომუნისტში“ძ ლექსებია შესული და თქვენ ერთხელ კიდევ დარწმუნდებით, რომ ჭეშმარიტი პოეზია არ იქმნება მარტო სიჭაბუკის ასაკში. აკი თვითონ ამბობს პოეტი. „ბოლოს და ბოლოს, თუ ხარ ნაღდი, თუ ხარ ნამდვილი, თუ ხარ პოეტი, ხარ და ცისკრის კარი გეღება, – შენ შიში ნუ გაქვს, სამთავ ჭირის – სამთავ ნადირის – არც დრო, არც სივრცე, არც ასაკი შენ არ გეხება“.

– ბატონო ირაკლი, როგორი უნდა იყოს პოეტის მოვალეობა დროის წინაშე?

– რასაკვირველია, პოეტი თანამედროვეობის შვილია, დიდებულად თქვა აკაკიმ, „გარემოების საყვირიო“. ჩვენ განუწყვეტლივ გავიძახით: „ოსტატობისთვის ბრძოლა!“ ოსტატობისთვის ბრძოლა კი ნიშნავს ამაღლებული პოეტური სიტყვით ეხმიანებოდე შენი დროის ტკივილებსა თუ სიხარულს. მე მიხარია, რომ რაღაცით ვუპასუხე ყოველივე ამას.

– თქვენ ერთ ლექსში ასეთი სტრიქონები გაქვთ: „ქებაც, ყვედრებაც, კიცხვაც, მადლობაც, წყრომაც, ვარამიც, – სიტყვა ეკუთვნის შთამომავლობას, სხვას არარაის“.

### საზოგადო მოღვაწე

**და თუ დღევანდელ საქართველოში ვინმეზე უნდა ითქვას ეს სიტყვები, სიტყვები, რომლებიც ამ შემთხვევაში ერისკაცობის მძიმე და საპატიო გვირგვინს უტოლდება, უპირველესად ირაკლი აბაშიძეზე.** საბჭოთა მწერლობის პირველ ყრილობაზე იგი – ახალგაზრდა პოეტი იჯდა, ხოლო 50 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო პლენუმზე, დაბრძენებული სოციალისტური შრომის გმირი. დროის ეს მონაკვეთი კი აღსავსე იყო ქართული მწერლობის, ქართული კულტურის სამსახურით. აქ მარტო 1966 წელს, რუსთაველის 800 წლისთავის იუბილის აღნიშვნა იკმარებდა, რომელმაც, შეიძლება ითქვას, მის მხრებზე გადაიარა.

აქ აუცილებლად უნდა ითქვას იმაზე, თუ რა მოუღლელად უძღვება წლების მანძილზე ირაკლი აბაშიძე რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, როგორც მისი თავმჯდომარე. დეპუტატებთან მისი ყოველი შეხვედრა – ეს არის საქმიანი სჯა-ბაასი ათასგვარ სამომავლო საქმეზე. პოეტი-აკადემიკოსი – თვითონ საქართველოს სსრ სამი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

– ბატონო ირაკლი, თქვენ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მთავარი რედაქტორი ბრძანდებით. რა სიახლეა თქვენთან?

– მიხარია, რომ მკითხველი სულ მალე მიიღებს ენციკლოპედიის მერვე ტომს. ენციკლოპედიის გამოცემა რომ დიდი ეროვნული საქმეა, კარგად მოგეხსენებათ და მიხარია, რომ ამ საქმეში წილი მიდევს. თორმეტივე ტომს რომ გამოვცემ, მერე, ალბათ, მეკუთვნის დასვენება.

* * *

დაამთავრა კიდეც, დააგვირგვინა კიდეც ქართული ენციკლოპედიის გამოცემა და ავადმოსაგონარ ზამთარში, გაუბედურებული საქართველოს ავადსახსენებელ უსიამო დღეებში დაემშვიდობა იგი საყვარელ სამშობლოს...

გულნატკენი წავიდა...

რას არ უგონებდნენ, რას არ აგონებდნენ ტელეფონში ახალი „ერისკაცნი“ ქვეყნისთვის დამაშვრალ პიროვნებას.

ასეთ საქართველოში სიცოცხლე აღარც ღირდა.

და მისი ბოლო ნაღვლიანი ამონათქვამი ეგ იყო:

*დაგვტოვეთ მარტო!..*
*მე დღეს ხმაც და*
*სიმიც დამაცვდა,*
*იმ საზღვრის ხაზთან,*
*იმ შავ ხაზთან*
*დღეს მეც შევჩერდი.*
*დაგვტოვეთ მარტო –*
*ერთი სიტყვაც*
*მაქვს ქვეყანასთან,*
*დაგვტოვეთ მარტო*
*ახლა მე და ეს მზისქვეშეთი.*
*მე ცამდე სავსე*
*ათას დრამით,*
*ათას ქარიშხლით,*
*ყველა ქარიშხლის,*
*ყველა დრამის*
*სუნთქვით მცნობელი...*
*ერთი რამ სიტყვაც,*
*ერთი დამრჩა*
*მე ანგარიში –*
*დაგვტოვეთ მარტო*
*მე და ჩემი წუთისოფელი.*

* * *

ვფუცრლავ კრებულს. აგერ მისი უახლოესი მეგობრებისა და თანამოკალმეების გამონათქვამები:

„პალესტინური ლექსების ციკლში მრავალი მარგალიტია, მაგრამ ჩემს გულს ყველაზე მეტად მოხვდა სავსებით იშვიათი, დიდი ოპტიმიზმის სხივით გამტკბარი „ხმა კატამონთან“. **კონსტანტინე გამსახურდია.**

„მე ვფიქრობ, რომ ჩვენს საუკუნეში პაოლო იაშვილის შემდეგ ქართულ მწერლობას არ ჰყოლია სხვა ასეთი ავთანდილისებური იერის პიროვნება – ასეთი „თამაშით და მღერით“, ამხელა ტვირთთა მზიდველი!“ **გურამ ასათიანი.**

„მისი ყოველი ფიქრი და ღვაწლი მხოლოდ ერის ბალავარსა და შენობაში მისატანად განიზრახვებოდა“. **ჭაბუა ამირეჯიბი.**

„მადლობა, დიდი მადლობა, არაერთგზის სულიწმინდით აღვსილო ძმაო, ჩემო ირაკლი, ლექსისათვის „ხმა კატამონთან“. **მუხრან მაჭავარიანი.**

„მის ქართულ სიტყვას სდიოდა ნამდვილი საკმევლის სუნი“. **ჯანსუღ ჩარკვიანი.**

* * *

ერთ-ერთ თავის ბოლოდროინდელ ლექსში ირაკლი აბაშიძე სამშობლოს მიმართავდა:

**მაცოცხლე შენთვის,**
**მამყოფე, შენთან,**
**მე კიდევ დამრჩა შემოსაწირი.**

მართლაც, იცოცხლა სამშობლოსთვის, მაგალითი დაუტოვა შთამომავლობას, თუ როგორ უნდა ილვაწო სამშობლოსთვის და როგორ უნდა შესწირო სამშობლოს თუ რამ გაგაჩნია ღირებული, წინაპართაგან ბოძებული, მომავლისთვის გადასაცემი.

ამას „100 ლექსი“ ადასტურებს.

**ვილენ მარდალეიშვილი**

● ანთიმოზ ივერიელმა ოცზე მეტი ეკლესია ააშენა. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ყოველთა წმიდათა“ მონასტერი ქ. ბუქარესტის ცენტრში. ეს ადგილი საქართველოდან ჩასული სტუმრებისთვის წმინდა ადგილად ითვლება



◉ უცნობი კოლექციები

# „მოვქარგე ესე დიდება“...



**როგორ და რა იქარგებოდა, ვინ ქარგავდა და საერთოდ რა გზა გამოიარა ქართულმა ნაქარგობამ? ყოველივე ეს აისახა გამოფენაზე, რომელიც წარმოადგინა საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმმა სახელწოდებით „XII-XIX საუკუნეების ქართული ნაქარგობა“.**

როგორც იქნა ასრულდა მუზეუმის თანამშრომელთა ოცნება — საზოგადოებრიობისთვის ეჩვენებინათ მათ ფონდში დაცული უნიკალური კოლექცია. მათივე თქმით, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ეს დარგი ყველაზე ნაკლებად არის შესწავლილი და ხალხისთვის უცნობია. არადა, მუზეუმში დაცული მხატვრული ნაქარგობის ხუთი ათასზე მეტი ნიმუში თავისი მაღალმხატვრული დონით თამამად უტოლდება მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლებს.

ამ კოლექციის მოძიება XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებულა და იგი უკავშირდება წერა-კითხვის გამავრცელებელი და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებების მოღვაწეობას. მოგვიანებით იგი შევსებულა საეკლესიო მუზეუმისა და კერძო პირთა მიერ სხვადასხვა დროს შემოწირული ნიმუშებით.



ეს ხელსაქმე ძირითადად ხელწიფებოდათ წარჩინებულ, დიდგვაროვან მანდილოსნებს, ისწავლებოდა ეკლესია-მონასტრებში. ხელსაქმის მრავალფეროვან ტრადიციაში ისინი უბრალო ნემსითა და საგანგებოდ დამზადებული ძაფებით აქსოვდნენ დიდ შემოქმედებით ფანტაზიას, რელიგიური მსოფლაღქმისა და ფერწერული აზროვნების კულტურასა და დახვეწილ გემოვნებას.

სპეციალისტები ქართული ნაქარგობის ნიმუშებს ძირითადად ორ ჯგუფად ჰყოფენ: საეკლესიო და საერო დანიშნულების ნივთებად. მათგან პირველი აერთიანებს საეკლესიო ღვთისმსახურებისთვის განკუთვნილ ნივთებსა და სასულიერო პირთა სამოსს. მათ მრავალფეროვნებას განსაზღვრავს როგორც გამოყენების ფართო შესაძლებლობები, ასევე ქარგვის უნიკალური მხატვრულ-ტექნიკური მეთოდები.

ექსპოზიციაზე მუზეუმმა მხატვრული ნაქარგობის 100 რჩეული ნიმუში წარმოადგინა. მათი ნაწილი რესტავრირებულია, ნაწილი კი რესტავრაციის პროცესშია. მნახველი იხილავს გარდამოხსნებს, რომელთა შორის უძველესი მეფე გიორგი XIII სახელს უკავშირდება, ენქერებს — სამღვდელმთავრო სამოსის ნაწილს, ოთხკუთხედის ფორმის შესამოსელს, რითაც აჯილდოებდნენ უმაღლეს სასულიერო პირებს; კრეტსაბმელებს, დაფარნებს, მიტრებს, საფლავთა ქვის გადასაფარებლებს. ისინი შესრულებულია ტილოზე, ხავერდზე, აბრეშუმის ქსოვილებზე ოქრომკედით, ვერცხლმკედით, ზეზით, ძვირფასი ქვებით, მძივებით...

ექსპონატებს შორის ყველაზე უძველესია სასულიერო პირის სამოსის დეტალი — „საბუხარი“ კაცხის მონასტრიდან. იგი XII საუკუნით არის დათარიღებული და ტრაპეციის ფორმის სამაჯურს წარმოადგენს. საინტერესო იკონოგრაფიული თავისებურებებით გამოარჩევენ სპეციალისტები ბატონიშვილ თამარის მიერ მოქარგულ დაფარნას, რომელიც სრულიად განსხვავებული ძეგლია. ერთი შეხედვით მარტივ კომპოზიციაში იკითხება არაერთი სიუჟეტი და არსობრივადაც მრავალშრიანია.

გამოფენის კურატორი **იზოლდა მელიქიშვილი** ამბობს, რომ ასეთი მასშტაბით ეს გამოფენა პირველია და იგი ნაწილია იმ პროექტისა (პროექტის ავტორი — მარიამ გველესიანი), რომელიც ამერიკის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის დაფინანსებით ხორციელდება. ამ ფონდის გრანტით ხელოვნების მუზეუმში 2006 წლიდან მიმდინარეობს ნაქარგობისა და ქსოვილების კოლექციის დაცვა-შენახვა და კონსერვაცია. მუზეუმის საცავი აღიჭურვა თანამედროვე სამუზეუმო მოთხოვნების შესაბამისი კარადებით, კონსერვაციისთვის საჭირო მასალებით და კომპიუტერული ტექნიკის სრული კომპლექტით, რის შედეგადაც შეიქმნა კოლექციის მონაცემთა ბაზა.

**ქართველ მქარგველ ოსტატთა ნატიფი ხელწერა გირჩევთ თავად ინახულოთ და დარწმუნდეთ, როგორ აისახებოდა ამ ხელსაქმეში XII-XIX საუკუნეების დროების კულტურულ-სოციალური ყოფა.**

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

◉ სულიერება

# ძირით — ქართველი, საქმით — უბადლო

**26 ივნისი წმინდა ანთიმოზ ივერიელის ხსენების დღეა**

**წმინდა ანთიმოზ ივერიელი თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი იყო, იცოდა მრავალი უცხო ენა, გათვითცნობიერებული იყო თეოლოგიაში, ლიტერატურასა და ბუნებისმეტყველებაში. ის ბრწყინვალედ ფლობდა ხელოვნების ყველა დარგს: მხატვრობას, გრავირებას, მოჩუქურთმებას, ცნობილი იყო როგორც შესანიშნავი კალიგრაფი, დახელოვნებული ხეზე მჭრელი და ნიჭიერი მოქანდაკე.**

აღსანიშნავია, რომ ქართველი ადამიანი რუმინული სალიტერატურო ენის რეფორმატორად ითვლება. იგი ბრწყინვალე მწერალი და აღიარებული ორატორი იყო. მან სიცოცხლე შესწირა მეორე სამშობლოდ ქცეულ ვლახეთის (რუმინეთი) თურქთა უღლისაგან განთავისუფლებას... ცნობები ამ საოცარი ადამიანის სიყრმისა და სიჭაბუკის შესახებ მწირადაა შემონახული. ის სამცხე-საათაბაგოს მკვიდრი იყო. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ყმაწვილი არჩილ მეფეს ახლდა რუსეთში და დიდად ეხმარებოდა მას ქართული სტამბის შექმნაში. საქართველოში დაბრუნებული ანთიმოზი ჩრდილოკავკასიელებმა შეიპყრეს და მონად გაყიდეს. ამის შემდეგ იგი ვლახეთში მოხვდა.

ვლახეთში ანთიმოზი სათავეში ჩაუდგა სასტამბო საქმეს. საქართველოდან გადახვეწილმა ქართველმა ოსტატმა, რომელიც ყველგან და ყველაფერში ხაზს უსვამდა თავის ქართულ წარმომავლობას და აღნიშნავდა, რომ „ძირით ქართველი“ გახლდათ, შეძლო გადაექცია ვლახეთი მართლმადიდებლობის ცენტრად. ანთიმოზ ივერიელმა ოცზე მეტი ეკლესია ააშენა. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ყოველთა წმიდათა“ მონასტერი ქ. ბუქარესტის ცენტრში. ეს ადგილი საქართველოდან ჩასული სტუმრებისთვის წმინდა ადგილად ითვლება.

...თურქმა ჯარისკაცებმა, რუმინელი ხალხის ერთგული მიტროპოლიტი — ანთიმოზ ივერიელი, შუაღამისას გაიყვანეს ქალაქიდან, რადგან მოსახლეობის მღელვარების შეეშინდათ და მდინარე დუნჩიას ნაპირებზე სიცოცხლეს გამოასალმეს.

ასე დამთავრდა სიცოცხლე ქართველი წმინდანისა, რომელიც ვლახელი ხალხის სულიერი გაძლიერებისა და ეროვნული კულტურის აღორძინებისთვის იბრძოდა. 1992 წელს რუმინეთის ეკლესიამ ანთიმოზ ივერიელი წმინდანად შერაცხა.

2000 წლიდან თბილისის 166-ე სკოლას წმინდა ანთიმოზ ივერიელის სახელი მიენიჭა.

**გიული ლიპარტია**

ხელოვნება

# ამირან ჭიჭინაძე



**ქართულმა კინოხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ცნობილი კინოდრამატურგი და მწერალი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი ამირან ჭიჭინაძე.**

**ბატონი ამირანი კინოში შედარებით გვიან მოვიდა და მისი პირველივე სცენარი ფილმისათვის „გიორგობისთვე“ საერთაშორისო მოვლენად იქცა. იგი არის ავტორი პირველი სრულმეტრაჟიანი სატელევიზიო ფილმისა „მყუდრო სავანე“. მის კალამს ეკუთვნის სცენარები ისეთი საყოველთაოდ აღიარებული ფილმებისათვის, როგორებიცაა: „რეკორდი“, „თუში მეცხვარე“, „დილის ნისლივით“, „შვიდი პატარა მოთხრობა პირველ სიყვარულზე“, „ბერიკაცები“, „ნაზარის უკანასკნელი ლოცვა“, „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“, „ხაფანგი“, „შვიდკაცა“, „ხიზნები“, „რა გაცინებს“, „მიუსაფარი“, „აქ თენდება“, „ანგელოზის გადაფრენა“ (ამ ფილმში ა. ჭიჭინაძე ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს).**

**დოკუმენტურ-პუბლიცისტურ ფილმზე „აფხაზეთის სისხლიანი სეზონი“ ბატონი ამირანი თავის ვაჟიშვილთან, კინორეჟისორ გიორგი ჭიჭინაძესთან ერთად მუშაობდა და ორივემ სახელმწიფო პრემია დაიმსახურა ამ ფილმისათვის.**

**ბატონი ამირანი წლების განმავლობაში იყო ტელეფილმების სტუდიის (1968-1973 წ.წ.), კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის (1974-1977 წ.წ.), კინოსტუდია „ქართული ფილმის“ (1977-1985 წ.წ.) მთავარი რედაქტორი.**

**ამირან ჭიჭინაძის შემოქმედებითი ინტერესები მხოლოდ კინოდრამატურგიით არ შემოიფარგლება. იგი ავტორია პროზაული ნაწარმოებებისა: „ზაფხული ჩემს უბანში“, „ჩემი დღე“, „ორი მოთხრობა“, „ვისაც მზის ამოსვლა არ უნახავს“, „ჭკუა“, „მოთხრობები პირველ სიყვარულზე“. იგი მუშაობდა ახალ წიგნზე, რომლის გამოცემას უახლოეს ხანში აპირებდა.**

**წავიდა ჩვენგან ნიჭიერი, შესანიშნავი პიროვნება. ბატონი ამირანი ძალიან დააკლდება მის ოჯახს, ძალიან დაგვაკლდება ჩვენ, ქართველ კინემატოგრაფისტებს და მწერლებს, ქართულ საზოგადოებას.**

**მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.**

**საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირი.**

**საქართველოს რკინიგზის ინსტიტუტის ადმინისტრაცია და პროფესორ-მასწავლებლები თანაუგრძნობენ თანამშრომელს ინგა ნინიძეს მამის**

**რევაზ ზარიძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, სს „აკ. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ინსტიტუტის გენერალური დირექტორის მოადგილეს, ბატონ კოტე სახვაძეს გარდაეცვალა დედა**

**ქეთევან რიჟამაძე-სახვაძე**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**მეუღლე ვასიკო კერესელიძე, შვილები თამარი, შოთა, დები ნატალია, ნინო, ნათელა, ირინა, ძმა ნიკოლოზ ჯანიაშვილები, ნანა და ჯემალ კაციტაძეები ოჯახით, სიძეები ვასილ რევიშვილი, ბიჭიკო გულუაშვილი შვილებით თეა, თინათინი, ირაკლი, გიორგი, ალექსანდრე, გიორგი, შვილიშვილი ირინა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**



**ვალენტინა ალექსანდრეს ასული ჯანიაშვილი-კერესელიძე**

**პანაშვიდი 26, 27 VI, 17 სთ. გამოსვენება 28 VI, 12 სთ. ნუცუბიძის III მ-რ. 3 კვარტალი, კორპ. 7. ხარების სახელობის ეკლესიიდან, 14 სთ.**

---

**მეუღლე შორენა, შვილები ქეთევანი, გიორგი, შვილიშვილი სალომე, და ლამარა, ძმები ლევანი, ვალოდია, რეზო, ელდარი, სიძე ირაკლი ტრიპოლსკი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**გიორგი (ასანა) ნადირაძე**

**პანაშვიდი 26, 27 VI, 17 სთ. დაკრძალვა 28 VI, 15 სთ. მის: ბაგები, I კორპ. II სადარბაზო.**

---

**2007 წლის 16 ივლისს 15 საათზე სს „გზის მშენებელი №11“-ის იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, სადგური ლილო, ადმინისტრაციული კორპუსი, გაიმართება სს „გზის მშენებელი № 11“-ის აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:**

1. დირექტორის წლიური ანგარიში;
2. აუდიტის არჩევა;
3. სამეთვალყურეო საბჭოს დამტკიცება;
4. სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხები.

**გთხოვთ, თან იქონიოთ პირადობის მოწმობა ან პასპორტი.**

**სს „გზის მშენებელი №11“-ის სამეთვალყურეო საბჭო.**

# ბოლო გვერდი

● 2001 წელს, როცა ვლადიმერ პუტინი რუსეთის ხელისუფლების სათავეში მოვიდა, განაცხადა, რომ არ სურს საზოგადოებაში მღელვარება გამოიწვიოს, ლენინის ნეშტის მავზოლეუმიდან გატანის გამო



## ◎ მილოცვა

# სიკეთის მთესველ კარგ ყმას...



*ყველა ადამიანს ამ წუთისოფელში თავისი ცხოვრების გზა გააჩნია, რომლის მკვეთრი მოსახვევი, რიგ შემთხვევებში გამოცდებს გვიწყობს და ლაბირინთებშიც მოგვაქცევს ხოლმე, — ამ შარა-გზაზე ყოველგვარი რეპეტიტორებისა და კომპასის გარეშე ლაღად მოსიარულე მრავალნაცად მართალ პიროვნებას, სიკეთის მეზაირახტრესა და კეთილშობილების ნიჭით დაჯილდოებულ „ალტრუისტ მიმინოს", ქართული სუფრის მშვენებასა და აღიარებულ წევრს ნოდარ ვაშაკიძეს 60 წლის იუბილეს ვულოცავთ.*

*მეშვიდე ათწლეულის სიჭარმაგის აღმართს შემდგარი მოყვასის „ხურჯინით" დახუნძლულსა და დაღლილს გამძლეობასა და მგლის მუხლს გისურვებდით, რათა დალაშქრულ გზათა გადმოსახედიდან სიყვარულის შარავანდებს კვლავ და კვლავ მიმოფანტავდე.*

*კოლეგების — ავიაციის დარგის მესვეურთა და შენი მთავარი ნავსაყუდელის ლამაზი ოჯახის იმედსა და ერთგულების სიმბოლოს უღრუბლო ცა და მრავალჟამიერი სამიდღემჩიოდ:*

*შენი მოკრძალებითა და შინაგანი სამყაროთი ჭარბად გვაზიარე ადამიანური ურთიერთობების ნიმუშებს, გვიმრავლოს.*

*შენს გვერდით ყოფნა საამაყოა — ჩვენთვის ეს ერთგვარი პასუხისმგებლობაც გახლავთ.*

პატივისცემითა და უზომო მადლიერებით
**შენი მეგობრები**

## ◎ ბოლოს და ბოლოს!

# ლენინის ნეშტი შეიძლება 2008 წლის იანვარში დაკრძალონ

**კომუნისტები დათანხმდნენ მსოფლიოს პროლეტარიატის ბელადის ნეშტის დაკრძალვას. სამაგიეროდ, ისინი მას წინასაარჩევნო კომპანიისას ქვეყანას მოატარებენ. წინასაარჩენო „ტურნე" დაემთხვევა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 90 წლისთავს. ეს შეთანხმება მათ კრემლის ადმინისტრაციასთან დადეს. თუმცა კომუნისტები, წლების განმავლობაში აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ ლენინის დასაფლავების იდეას.**

ამ წლის ბოლოს ლენინის ნეშტს გამოასვენებენ მავზოლეუმიდან და დაკრძალავენ მოსკოვის ერთ-ერთ სასაფლაოზე, — იტყობინება საინფორმაციო სააგენტო „ნოვი რეგიონი". სააგენტოს ცნობით, ლენინის მუმიფიცირებული ნეშტით მთელი ქვეყნის მოვლას აპირებენ, რათა რუსეთის ყველა მოქალაქემ შეძლოს პატივი მიაგოს რევოლუციის ლიდერს, უკანასკნელ გზაზე გააცილოს. ამის შემდეგ კი ნეშტს ოფიციალურად მიაბარებენ მიწას. სავარაუდოდ, მას 2008 წლის 21 იანვარს, ბელადის გარდაცვალების დღეს, დაასაფლავებენ.

არაოფიციალური ინფორმაციით, თუ ლენინის ნეშტს მიწას მიაბარებენ, მავზოლეუმში ვლადიმერ ულიანოვის მუზეუმი გაიხსნება.

შეგახსენებთ, რომ 2001 წელს, როცა ვლადიმერ პუტინი რუსეთის ხელისუფლების სათავეში მოვიდა, განაცხადა, რომ არ სურს საზოგადოებაში მღელვარება გამოიწვიოს, ლენინის ნეშტის მავზოლეუმიდან გატანის გამო.

მოამზადა
**ოლღა ცისკარიშვილმა**


## განცხადება

### სს „ყაზბეგის" აქციონერთა კრების მოწვევის შესახებ

**სს „ყაზბეგის" დირექცია იწვევს სს-ის აქციონერებს საზოგადოების მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2007 წლის 3 ივლისს, 12 საათზე, ქ. რუსთავში, მშვიდობის ქ. №6-ში მდებარე სააქციო საზოგადოების სააქტო დარბაზში.**

**დღის წესრიგი:**

1. 2006 წლის წლიური ანგარიში:

აქ წლიური ანგარიშის წარმოდგენა დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშებთან ერთად;

ბქ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

2. გენ. დირექტორის ანგარიშის დამტკიცება;

3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;

4. 2007 წლის აუდიტის არჩევის შესახებ.

საერთო კრების საალრიცხვო დღედ დანიშნულია 2007 წლის 1 ივნისი.

დღის წესრიგის საკითხების თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს-ის დირექციაში.

**ქ. რუსთავის სს „ყაზბეგის"
გენ. დირექტორი
ნ. ბახტაძე**


## ◎ ინფორმაცია

# დასაქმდება სამი ათასამდე სტუდენტი



**სტუდენტთა დასაქმების პროგრამის ფარგლებში თბილისში ზაფხულის განმავლობაში 2700 სტუდენტი დასაქმდება.**

თბილისის მერიის ბიზნეს-ცენტრში გუშინ სტუდენტთა დასაქმების პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც ქალაქის მერი გიგი უგულავა და სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი მამუკა ქაცარავა ესწრებოდნენ.

როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, სტუდენტთა დასაქმების პროგრამა ივლისის შუა რიცხვებიდან დაიწყება და ერთ თვეს გაგრძელდება. სტუდენტები ძირითადად დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამუშაოებზე დაკავდებიან და გასამრჯელოდ 300 ლარს მიიღებენ. სტუდენტებს სპეციალურ კაპებსა და მაისურებს დაურიგებენ და სამუშაო ობიექტებზე გადაანაწილებენ.

**ინტერპრესნიუსი**

## ◎ კადრი



მოგვაწოდა დავით სულაქველიძემ

## ◎ ანეკდოტები

— ძალიან მიყვარს მოშვება, მოდუნება! შემიძლია ჩავნებივრდე სავარძელში და სამი, ზოგჯერ ოთხი საათის განმავლობაში ვუყურო თევზებს აკვარიუმში.

— მერე ცოლი არ ღიზიანდება?

— რა მისი საქმეა, რას გავაკეთებ სამსახურში?

* * *



— ეს რა საშინელი ჩვევა აქვთ ქალებს — ფეხები მამაკაცებს შემოაწყონ მხრებზე.

— მერე რა არის ამაში ცუდი?

— ცუდი ის არის, რომ ისინი ამას სულ სხვა, საპირისპირო მხრიდან აკეთებენ.

* * *

მამაკაცს მუდამ როდი მიესადაგება გამოთქმა: „თურმე შეგიძლიათ, როცა მოისურვებთ!".

* * *

გაიგე, მიხოს თურმე ტერორისტულ აქტს რომ უმზადებდნენ?

— არა, სად და როგორ მოხდა ეს?

— ახალი წლის დილით მას, ნაბახუსევს, საკუთარ საწოლში სექსბომბი აღმოუჩენია.

* * *

ივან ივანიჩი ძმაკაცებთან წუწუნებს:

— რაღაც ძალიან გატანჯული ვარ ბოლო დროს, ნერვიული, ცოლი მეუბნება, ყველაფერი იმის ბრალია, რომ ყოველგვარ სისაძაგლეს სვამო. რომ ვაკვირდები, მთლად კი არ ტყუის. ამიტომ ყველაფერი უნდა შევცვალო. დღესვე გავსინჯავ პარსვის შემდეგ დასამშვიდებელ ლოსიონს.


**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში".
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემლები

შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14.
ტ: 899 537616; 98-96-33.

შპს „თანადგომა -1"
ქიზიყის ქ. № 12.
ტ: 899 797679; 98-96-32.

მთავარი რედაქტორი
**ალეკო ასლანიშვილი**
მორიგე რედაქტორი
**კონსტანტინე გურგენიძე**

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.